



# ციბეხანი

№ 10 / 14 - 27 ოქტომბერი / 2009

- ტალიაშვილის დასკვნის თეთრი ლაქები **გვ. 14**
- თურქეთი – აფხაზეთის ახალი პარტნიორი **გვ. 38**
- პირვენი რუსულ საგუზაგოებს შორის **გვ. 20**
- „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ **გვ. 27**
- მირზა შაფის ქუჩის უკანონო ნგრევა **გვ. 32**
- კიდევერთი ნაღმი კავკასიაში **გვ. 40**
- ჟურნალისტური ეთიკის ქარტია **გვ. 46**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი



**გვ. 25**

## სუბარის ახალი მოედანი



რადიო „უცნობი“ წარმოგიდგინებთ დილის გადაცემას **„დილა მშვიდობისა“**

ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად  
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოქიითხვები
- მავარი სიმღერები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID: ucnobidila



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)





ფოტო: თეიმურაზ ბარბაქაძე

**ნომერში:**

- 02 რედაქტორი
  - 04 წერილები
  - 06 მოკლედ
  - 08 ვრცლად
  - 12 ორი აზრი
- უნდა მონაწილეობდეს თუ არა საპატრიარქო ქართულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობებში? დავით ზურაბიშვილი V.S. შოთა ხინვაგაშვილი



**პოლიტიკა**

- 14 თეთრი ლაქები

- 18 თვალსაზრისი ევროკავშირის მარცხი საქართველოში ნიკუ პოპეშკუ
- 20 რეპორტაჟი კონფლიქტის ზონიდან რუსულ საგუშაგოებს შორის
- 22 ინტერვიუ ხოდორკოვსკი - მედვედევის ტესტი ინტერვიუ პროფესორ ტიმოთი კოლტონთან
- 25 თვითმართველობის არჩევნები სუბარის ახალი მოედანი ეკონომიკა
- 27 უკიდვანო ლიბერალიზმს მიღმა
- 30 თვითმართველობის ფინანსური მხარე თვითმართველობის შირმა **ყურნალისტური გამოძიება**
- 32 უკანონო ნგრევა მირზა შაფის ქუჩაზე

**კონფლიქტები**

- 38 თურქეთი - აფხაზეთის ახალი პარტნიორი



**მეზობლები**

- 40 კიდევ ერთი ნალმი კავკასიაში
- 42 ირანის ატომური პოლიტიკა ატომური ირანი: როდის მოვა მაჰდი?!
- 44 ირანის ატომური პოლიტიკა ირანული წინააღმდეგობის ალია-ბალია **საზოგადოება**
- 46 მართალი საკუთარი სინდისის წინაშე

- 50 არასრულწლოვანი პატიმრები აქ ცხოვრობენ დამნაშავე მოზარდები
- 52 რეპორტაჟი (ციული მედიცინა) დედობა მხოლოდ ცხრა თვით
- 56 წიგნები ვაშინგტონის მეგ ზური კოდეის თანხლებით

**ბარეკანზე:**

სოზარ სუბარი  
ფოტო:  
თემო ბარძიმაშვილი



ყურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

**ნახაი**  
**ვებ-გვერდი:**  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

**ბლოგები:**

ნინო ბექიშვილი  
ლევან როინიშვილი  
ეროსი კინმარიშვილი  
ნინია კაკაბაძე  
გიორგი ცხადაია  
ლამა ბაქრაძე

---

**მულტიმედია:**

**არასრულწლოვანი პატიმრები**

სალომე ჯაში



როცა სოხუმელ ჟურნალისტს ინალ ხა- შიგს „ლიბერალისთვის“ თურქულ-აფხა- ზური ურთიერთობის მიმოხილვა ვთხოვე, და თან მასალის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო მივეცი, მითხრა, რომ ამ სტა- ტიის დასაწერად დრო საერთოდ არ სჭირ- დებოდა. „თურქეთთან ურთიერთობებზე ჩვენ, წლებია, იმდენს ვფიქრობთ, მაგ სტატიას თუ გინდა ლექსად მოგწერ“, – მიპასუხა ნახევრად ხუმრობით.

„ლიბერალის“ ეს ნომერი უკვე სტამ- ბაში იქნება, როცა 10 ოქტომბერს თურ- ქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიცარიან ხელს მოაწერენ დოკუმენტს, რომელიც ამ ქვეყნებს შო- რის დიპლომატიურ კავშირს აღადგენს. შესაძლოა, შემდეგი ნაბიჯი, თურქეთ- სომხეთის მრავალი წლის განმავლობაში ჩაკეტილი საზღვრის გახსნა იყოს. ამაზე „ლიბერალის“ შემდეგ ნომერში დავწერთ და თურქეთ-სომხეთის საფეხბურთო მა- ტჩსაც გავაშუქებთ, რომელიც თურქეთში გაიმართება.

ციურინში გაფორმებული ისტორიუ- ლი დოკუმენტის მნიშვნელობა სცდება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ფარგლებს.

სომხეთის „შემორიგებით“ თურქეთის მზარდი გავლენა რეგიონში, სადაც აქამ- დე ერთადერთი დომინანტი რუსეთი იყო, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება და რეგიონის გეოპოლიტიკურ სურათს შე- ცვლის.

ანკარა დელიკატურ, მაგრამ პრინცი- პულ ნაბიჯებს უკვე აფხაზეთისკენაც

დგამს, სადაც დიდი ხანია მოუთმენლად ელიან ნებისმიერ მოთამაშეს, რომელიც რუსეთის გავლენას გაანეიტრალებს.

კრემლი თურქეთის აფხაზეთში შემოს- ვლას ამ ეტაპზე ხელს არ უშლის. უფრო მეტიც, ამას აფხაზი ხალხის წინაშე საკუ- თარ დამსახურებათა ნუსხაში ინერს და აფხაზებს ეუბნება, ჩვენ ვიცით რა მნიშ- ვნელოვანია თქვენთვის თურქეთთან ურ- თიერთობა. მიდით, ჩამოიყვანეთ, თქვენი მუჰაჯირები, ჩვენ მათ სახლებს ავუშენე- ბთო.

ამ ფონზე თემურ იაკობაშვილის გან- ცხადება, რომ საქართველოს მთავრობა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართე- ბაში სტრატეგიული დოკუმენტის გამო- ქვეყნებას გეგმავს, რომელიც „ლია კარის პოლიტიკას“ დაეფუძნება, ცოტა დაგვი- ნებული ხომ არ არის?

თურქეთის აფხაზეთში შესვლის ინი- ციატორი საქართველო რომ ყოფილიყო, რენტიგრაციის მინისტრს დღეს არ მოუ- ხდებოდა მსგავსი კომენტარების კეთება: „არ ვაპირებთ იზოლაციაში მოვაცქიოთ ოკუპირებული ტერიტორიები და ვუბი- ძგოთ მათ, რუსეთმა იმაზე მეტად დაიმო- ნოს, ვიდრე უკვე არიან“.

**მოგვწერეთ,**  
**სოფო ბუკია,**  
**კავკასიისა და კონფლიქტების**  
**განყოფილების რედაქტორი**  
[sopho.bukia@liberali.ge](mailto:sopho.bukia@liberali.ge)

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბექიშვილი / ახალი ამბები ნათია ასალაშვილი რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია ბამომცემი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსპა ბამომცემი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბამომცემი: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი. [www.liberali.ge](http://www.liberali.ge)





## ... და ერთი ჭიქა ღვინო თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან

დააგემოვნეთ არაჩვეულებრივი ღვინო  
თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან  
და გაიხანგრძლივეთ ურთიერთობით  
მიღებული სიამოვნება.



**TBILVINO**



### თურქეთი როგორც აფხაზეთის კონფლიქტის ბასალა

ჟურნალ „ლიბერალის“ ბოლო ნომერში ირაკლი ალასანიამ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მან წარმოადგინა საკუთარი ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ აფხაზეთის მიმართულებით. ამ სტატიაში ალასანია გამოდის იდეით, ხელი შევეწყობოთ თურქეთს აფხაზეთში მისი გავლენის გაზრდაში. მისი აზრით, საქართველოს ხელს აძლევს, რომ თურქეთი აფხაზი სეპარატისტებისთვის იყოს „რუსეთის გარდა, ახალი საგარეო ალტერნატივა“. სამწუხაროდ, ეს იდეა ვერანაირად ვერ უწყობს ხელს საქართველოს ტერიტორიების გათავისუფლებას რუსული ოკუპაციისგან. სანამ რუსეთის მმართველ რეჟიმს შეუძლია და თან სურს, გააგრძელოს ოკუპაცია – ოკუპაცია გაგრძელდება. სამაგიეროდ, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის შედეგად რუსეთს მოუწევს ქართული ტერიტორიის დატოვება, საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა (და ვალდებულება იქნება), აღადგინოს კანონი და წესრიგი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

თუმცა, თუკი ალასანიას იდეა პრაქტიკულ განხორციელებას ჰპოვებს, რუსეთის წასვლის შემდეგ ჩვენ აღმოვაჩინებთ აფხაზეთში სხვა დიდ ძალას თურქეთის სახით, რომელსაც აფხაზეთში თავისი გეოსტრატეგიული ინტერესები და ამ რეგიონის ბედთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა ექნება. სტატიაში არის სხვა საინტერესო მომენტებიც. მაგალითად, ავტორი წერს, რომ „სპეციალური სამხრეთი ქართულ-აფხაზურ-თურქული (!) მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს საზღვაო მიმოსვლის პირობებზე შეთანხმება“. ამ თემაში მთავარი ის არის, რომ სოხუმის მარიონეტული რეჟიმი წარმოდგენილია საქართველოს და თურქეთის თანასწორ მხარედ. ეს მიდგომა, პრაქტიკულად, საქართველოს მხრიდან აფხაზეთის აღიარებას უდრის. სამწუხაროდ, ალასანიას ეს სიტყვები არ არის შემთხვევითი. თავის განცხადებებში მას არაერთხელ უთქვამს, რომ საქართველომ უნდა აღადგინოს ურთიერთობები „რუსეთთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან“. მთლიანად სტატიიდან გამომდინარე,

აფხაზეთი განიხილება არა როგორც რუსული ოკუპაციის ქვეშ მყოფი რეგიონი, არამედ როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო აქტორი. ასეთი მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. საქმე ისაა, რომ თუკი აფხაზეთი ოკუპირებული ტერიტორიაა, მაშინ იგი ავტომატურად ბრუნდება საქართველოში რუსეთის წასვლის შემდეგ. ხოლო თუკი აფხაზეთი არის დამოუკიდებელი აქტორი, მაშინ რუსეთი იქნება აქ თუ არ იქნება, აფხაზეთის სტატუსი მაინც რჩება საერთაშორისო დავის საგანი. სტატია გვთავაზობს, გავასაღოთ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებლად მოქმედი ერთეული - მივცეთ მას საშუალება, ლეგალურად ჰქონდეს დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური საგარეო ურთიერთობები. თუკი ეს იდეები გატარდება, ეს საქართველოს მიერ სოხუმის რეჟიმის საერთაშორისო ლეგიტიმაციას ნიშნავს. ირაკლი ალასანიას მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა ვერაფერს შეგვმატებს, მაგრამ ძალიან ბევრს დაგვაკარგვინებს.

დავით ბატაშვილი  
ოქტომბერი 09, 2009  
[www.facebook.com](http://www.facebook.com)



### მე, მე და მე

„ლიბერალის“ 16 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა სტატია „მე, მე და მე“. სტატიაში ლაპარაკია საქართველოს წამყვან ტელეარხებზე მოსალოდნელი ცვლილებებზე. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა პატარა აბზაცმა, რომელშიც პროფესიონალური თავმოყვარეობა შემიღაცა. მომეცა ციტატა სტატიიდან:

**„იმედის“ ახალი ხელმძღვანელობა სტრატეგიასთან და ძველ პერსონალთან ერთად „იმედის“ ლოგოსაც ცვლის, რომლის**

**ამოტრიალებული გამოსახულებაც არკადი პატარკაციშვილის ინიციალებია.**

2002წ.-დან 2004წ.-ის ჩათვლით ვიყავი ტელეკომპანია „იმედის“ მთავარი დიზაინერი და იმ „ავადსახსენებელი“ ლოგოს ავტორი მე გახლავართ. თავიდან იყო წარწერიანი ლოგოს შექმნის იდეა, მაგრამ შემდეგ ვარჩიეთ სიმბოლიკა, რადგან უცხოეთში რაიმე გადაცემის გაგზავნის შემთხვევაში, უცხოელი მაყურებლისთვის ქართულშრიფტისანი ლოგოტიპი გაუგებარი იქნებოდა. ლოგო საბოლოო სახით ჩემ მიერ 2002 წლის ზაფხულში შეიქმნა. მაშინ დილომის შენობა ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იყო, ამიტომაც „იმედის“ მაშინ არცთუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი სტუდია „აუდიენციის“ შენობაში ვმუშაობდით. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ლოგოს შექმნის პროცესს „იმედის“ მთელი მაშინდელი პერსონალი ესწრებოდა. ლოგოს საბოლოო ვარიანტი „იმედის“ გენერალურ პროდიუსერთან, ბატონ ოთარ შამათავასთან ერთად აირჩა. სიმართლე გითხრათ, არ მგონია, მაშინ რომელიმე ჩვენგანს სცოდნოდა, რომ ბადრი პატარკაციშვილს „არკადი“ ერქვა. ყოველ შემთხვევაში, ჩემგან ლოგოში ამ სახელის ჩაქსოვის შესაძლებლობა გამორიცხულია. სინამდვილეში ლოგო შედგება ორი ნაწილისაგან – ეს არის დიდი ასო „ი“(იმედის საწყისი ასოს ნაწილი), რომელიც რკალითაა გამოხატული; ლოგოს მეორე ნაწილია გრაფიკულად გამოხატული ფრთა – ეს იმიტომ, რომ ჩემთვის „იმედი“ ოცნების ასრულება, რაიმე კარგის მოლოდინია. ოცნებისას ადამიანი ზევით, ცას აპყურებს და თითქოს აფრენას ლამობს. ყურადღება მიექცა ასევე ლოგოს მდებარეობას, ანუ ლოგოს ახლანდელ რაკურსში არანაირად არ შეიძლება იკითხებოდეს არკადი პატარკაციშვილის ინიციალები. საერთოდ, როდესაც ადამიანი ასეთ გაბედულ დასკვნას აკეთებს, ალბათ პროფესიონალიზმის გამოხატვა იქნებოდა, დასკვნის გამოტანამდე ლოგოს ავტორს გასაუბრებოდა.

არ ვარ „იმედის“ ლოგოს განახლების ან შეცვლის წინააღმდეგი. უბრალოდ იმ აბსურდულმა მიზეზმა აღმაშფოთა, რისთვისაც ამის გაკეთება უნდათ. და ბოლოს, როგორც დიზაინერი სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ლოგოში არკადი პატარკაციშვილის ინიციალების დანახვა ეს ან ბოროტი ხუმრობაა, ან აბსურდი, თან სამწუხაროდ, ტენდენციურობის ნიშნები ეტყობა, რაც არანაირად არ ეთანხმება ტელეკომპანიის დამოუკიდებლობის იდეას.

**მამუკა (თეიმურაზ) ჯაფარიძე**

გამომდგარა ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს  
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)  
თქვენთვის სასურველ მისამართზე.



**ლიბერალი**

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი  
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი  
25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
23 37 31, (877) 78 78 05  
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია  
ელ-ფოსტით: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)





## სასამართლო მოსმენები დაიწყო

8 ოქტომბერს „რუსთავი 2“-ის პროექტ „ვარკველავები აკადემიის“ შენობის ჩამონგრევის მიზეზებთან დაკავშირებით სასამართლო მოსმენები დაიწყო. თბილისის საქალაქო სასამართლო უბედურ შემთხვევაში კომპანია „არტ-იქსის“ მუშაკ-მშენებლის, დავით გვასალიას ბრალეულობას განიხილავს. გვასალია საქმეში ერთადერთი ეჭვმიტანილია.

სასამართლო გამოძიებას ქალაქ თბილისის სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე, დალი მეტრეველი ხელმძღვანელობს. დავით გვასალიას ინტერესებს იცავენ ადვოკატები – კახა და გიორგი ყავლაშვილები, უბედური შემთხვევის დროს გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის ოჯახის წევრების, ბრალდების მხარის ინტერესებს კი – ადვოკატები მერაბ ჩიქოვანი და გიგი მოსაშვილი. პროცესზე მათ დააყენეს პროექტ „ვარკველავების აკადემიის“ მონაწილეების, გამოძიების ექსპერტების, სამშენებლო კომპანია „ჯორჯიან ბილდინგის“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის და კომპანია „არტ-იქსის“ ხელმძღვანელების დაკითხვის შუამდგომლობა, რადგან ამ პირების ჩვენებები წინასწარი გამოძიების მასალებში არ ფიგურირებდა.

შემდეგი სასამართლო პროცესი 21 ოქტომბერს გაიმართება, სადაც სასამართლო ადვოკატების შუამდგომლობებთან დაკავშირებით საკუთარ გადაწყვეტილებას გამოაცხადებს.

დავით გვასალიამ წაყენებული ბრალდება ალიარა – სარეკონსტრუქციო სამუშაოების არაკვალიფიციურად ჩატარება, რამაც შენობის ნგრევა გამოიწვია. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ უბედურ შემთხვევაში, ეჭვმიტანილი დავით გვასალიას გარდა, სხვა პირებიც არიან დამნაშავეები.

## პრიზი ხელვისთვის

ნობელის პრემიის კომიტეტმა აშშ-ს 44-ე პრეზიდენტს დაუფასა „განსაკუთრებული ძალისხმევა საერთაშორისო დიპლომატიასა და ხალხებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაში“ და პრეზიდენტობის მერვე თვეს, ბარაკ ობამას მშვიდობის დარგში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია გადასცა. კომიტეტი ობამას სამშვიდობო დიპლომატიის წარმატებად მიიჩნევს მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლას და ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობას.

კომიტეტის გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე გახდა კრიტიკის საგანი. შემფასებელთა უმრავლესობისთვის, სურვილი – „გახადო სამყარო მშვიდობიანი“ არ არის ჯილდოს გასაცემად საკმარისი არგუმენტი. როგორც ჩანს, ეს თავად პრემიის ადრესატმაც იცის: „გულწრფელად რომ ვთქვა, არ

ვფიქრობ, რომ ვიმსახურებ, ვიყო იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ამ პრიზით დაუჯილდობიან“, – თქვა პრეზიდენტმა ობამამ.

ამერიკის პრეზიდენტს საერთაშორისო ასპარეზზე ჯერ არც ერთი მნიშვნელოვანი წარმატება არ აქვს, თუმცა უკვე შეექმნა რამდენიმე პრობლემა. მას ავლანეთში ამერიკული საჯარისო შენაერთების რაოდენობის გაზრდა უნევს. ერაყში სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკა ერთ-ერთ ყველაზე მილიტარიზებულ ქვეყნად რჩება.

კრიტიკოსების აზრით, მშვიდობის პრემია მან სამყაროს მისულუ ხედვისთვის მიიღო და არა კონკრეტული ქმედებისთვის. ამიტომ ამ ჯილდოთი კიდევ მეტად გაიზარდა ის უზარმაზარი პასუხისმგებლობა, რაც ბარაკ ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ დაეკისრა.

## რუსეთის საზღვაო ფლოტი აფხაზეთში

რუსეთის საზღვაო-სასაზღვრო სამსახურის გემები და კატარლები, ასევე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემები, ნეიტრალური წყლების გავლით, აფხაზეთში ტვირთების უსაფრთხო გადაზიდვას უზრუნველყოფენ. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტი“-ს რუსული ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელმა აცნობა.

მანამდე რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, სერგეი ლავროვი აფხაზეთის დეფაქტო ლიდერთან, სერგეი ბაღაფთან შეხვედრის შემდეგ აცხადებდა, რომ ნეიტრალური წყლების გავლით აფხაზეთში მიმავალი ტვირთების რუსი მესაზღვრეების მიერ გაცხილება სატიერთო და სამგზავრო გემებს საქართველოს მხრიდან პროვოკაციებს აარიდებს.



### ცვლილებები განათლების სისტემაში

განათლების სისტემაში ცვლილებები – ერთიან ეროვნულ გამოცდებს მეოთხე სავალდებულო გამოცდა დაემატება, გარდა ამისა, მომავალი წლიდან სკოლის მოსწავლეები მე-12 კლასში გაივლიან უნარ-ჩვევების კურსს, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებელში მისაღებად მხოლოდ უნარ-ჩვევებს ჩააბარებენ, თანაც – მშობლიურ ენაზე.

ამ საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ მთავრობის სხდომაზე ისაუბრა. მისი თქმით, გამოცდებთან დაკავშირებული ეს მნიშვნელოვანი საკითხები „სახალხი დიალოგის“ დროს გამოიკვეთა.

მინისტრის ინფორმაციით, მეოთხე სავალდებულო გამოცდას აბიტურიენტი აირჩევს შვიდი შეთავაზებული საგნიდან – მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ლიტერატურა, გეოგრაფია ან ისტორია.

უნარ-ჩვევების კურსს სკოლაში, მე-12 კლასში მათემატიკის მასწავლებელი ჩაატარებს. „ეს ბავშვებს შესაძლებლობას მისცემს, მიხედნენ, თუ რა ტიპის გამოცდაა უნარ-ჩვევები და ეროვნულ გამოცდებზე მათთვის ეს სიურპრიზი აღარ იქნება“, – აცხადებს ნიკა გვარამია.

მისი თქმით, აზერბაიჯანული და სომხურენოვანი მოსახლეობისთვის მხოლოდ ერთი გამოცდის დაწესება ეროვნულ გამოცდებში მათი მონაწილეობის დაბალმა აქტივობამ განაპირობა. ახალი წესების მიხედვით, საერთო კონკურსში ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას, ასევე ცალკე გამოიყოფა მათთვის დაფინანსებაც. თუმცა, გვარამიას განმარტებით, პირველ წელს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის გაძლიერებულად სწავლა სავალდებულო გახდება, რის შემდეგაც ისინი უმაღლესი განათლების მიღებას ქართულ ენაზე გააგრძელებენ.



რისხვეპი

**15,5** ტერაბიტის სიჩქარის მონაცემების გადაცემა 7000 კილომეტრზე – ასეთი რეკორდი დაამყარეს კომპანია Bell Labs-ის ფრანგმა სპეციალისტებმა. ეს რეკორდი ოპტიკურ ბოჭკოვანი ხაზების ამჟამინდელ შესაძლებლობებს 10-ჯერ აჭარბებს.

**300** მილიონი ლარით მცირდება საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალი, 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით.

**75** პატიმარი გათავისუფლდება აშშ-ს მთავრობის გადანყევტილების თანახმად, გუანტანამოს სპეცბანაკიდან.

**15** ათასი ლარი ჯდება თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის დაქირავება.

**98** ბანკი დაიხურა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე 2009 წლის განმავლობაში.

### სიტყვები



„აი, თქვენი მეგობარი საქართველოს გაკვეთილი. ეს ხალხი დაბომბეს და შეურაცხვეს. მათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარება ამერიკას სთხოვეს, მაგრამ ამერიკამ მხოლოდ ცარიელი სიტყვები გაიმეტა. ქართველებმა თხოვნა კიდევ გაიმორეს და ამერიკული გემებიც ბოლოს და ბოლოს გამოჩნდნენ, მაგრამ არა ოსეთისა და აფხაზეთის დასაბრუნებლად, არამედ ისეთი ნივთების ჩამოსატანად, რაც მათ არაფერში სჭირდებოდათ – რამდენიმე კარავი, ცოტაოდენი საკვები და სარეცხი საშუალებები. ასე რომ, ამაზე კარგად დაფიქრდით“.

უსამა ბინ ლადენი  
25 სექტემბერი, აუდიო ჩანაწერი.

„რომ ამბობენ, – საქართველოს არ უნდა გაესროლაო, – აბა რა უნდა გვექნა?! ვინც არ გაისროლა, რუკიდან გაქრა. საბჭოთა კავშირი შევიდა ავღანეთში, ავღანეთმა წინააღმდეგობა არ განია და დღეს რა დღეშია ეს ქვეყანა, ყველამ კარგად ვიცით. შევიდნენ ჩეხოსლოვაკიაში და 20 წლით ჩამოაცილეს განვითარებას. ხოლო მან, ვინც გაისროლა, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა“.

მიხეილ სააკაშვილი  
2 სექტემბერი, მცხეთა.

„მარტო ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომით ქართულ ფეხბურთში არაფერი არ შეიცვლება. აქ უფრო ღრმად უნდა ჩავიდეთ, თუ გვინდა, რომ საქართველოში ფეხბურთი იყოს ისეთ დონეზე, როგორც ქართველ გულშემატკივარს უნდა. ამას სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, რათა შეიქმნას ინფრასტრუქტურა, არა მარტო თბილისში, არამედ საერთოდ, საქართველოს მასშტაბით. თანხები უნდა გამოიყოს იმისათვის, რომ მიეხედოს ეროვნულ ჩემპიონატსა და ბავშვთა ფეხბურთს, თუ არა და ვიქნებით სულ ასე, პრეზიდენტების და მწვრთნელების ცვლილებებით“.

კახა კალაძე  
გაზეთი „რეზონანსი“, 3 ოქტომბერი.

ილუსტაცია: ბაზუსა მანუელაშვილი



ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დომენტი სიჭინავა, თბილისი 2009

ფოტო: ნინო ბოლუა

## ერთი კანდიდატის არჩევნები

ფედერაციის პრეზიდენტობა პოლიტიკური გარიგებების შესაბამისად წყდება. ფედერაციას განვითარების შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ კი ის სახელმწიფო გავლენისაგან თავის დაღწევას შეძლებს.

1 ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფარული კენჭისყრა გაიმართა. ხმის უფლების მქონე 31 დელეგატის, საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლებისა და ვეტერანი სპორტსმენების შეკრების მიზნით ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევნები იყო.

საარჩევნო პრინციპით – 50%+1 – კანდიდატს გამარჯვებისთვის 16 დელეგატის მხარდაჭერა ჰყოფნიდა, თუმცა მომავალი პრეზიდენტი ხმის უფლების მქონე 31 დელეგატიდან 29-მ აირჩია. არჩევანის გაკეთება რთული არ ყოფილა – გამარჯვებული დომენტი სიჭინავა ამ პოსტზე ერთადერთი კანდიდატი იყო.

ფორმალური პროცედურების დასრულების შემდეგ დარბაზში შეკრებილებს არჩევნების შედეგები გამოუცხადეს – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე პრეზიდენტი გახდა ზუგდიდის კლუბ „ბაიას“ და ზუგდიდის საფეხბურთო ბაზის ხელმძღვანელი, დომენტი სიჭინავა.

შედეგის გამოცხადებისას გამარჯვებული სიჭინავა სხდომის დარბაზში არ იმყოფებოდა – მას პირდაპირი ჩართვა ჰქონდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში. „დროზე მოვიდეს, სანამ ვინმეს დაურეკავს!“ – წამოიძახა ამ დროს ვილაცამ.

ეს რეპლიკა დარბაზში ყველასთვის

გასაგები იყო, რადგან სწორედ სატელეფონო ზარმა გადაწყვიტა ფედერაციის არჩევნების შედეგები 2007 წელს.

მაშინ ხმების რაოდენობის მიხედვით გამარჯვებული გიორგი ნემსაძე ხელისუფლების წარმომადგენლის სატელეფონო ზარის შემდეგ არჩევიდან ერთ საათში პრეზიდენტობიდან გადადგა და ფედერაციის ხელმძღვანელობა კონკურენტს – ნოდარ ახალკაცს დაუთმო. 2007 წლის არჩევნების გაშუქებისას სპორტული პრესა წერდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის ვინაობა არა არჩევნებზე, არამედ ნაციონალური მოძრაობის ოფისში გადაწყდა.

ფედერაციის შიდა საქმეებში არსებულ პოლიტიკურ გავლენაზე ლაპარაკობს კავშირ „ჩვენი ფეხბურთის“ ვიცე-პრეზიდენტი ლევან ყიფიანიც. ის ამბობს, რომ ფედერაციის არჩევნებში 2007 წელს განსაკუთრებული როლი მიუძღოდა მაშინდელ სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გოკა გაბაშვილს: „ახალკაცი გაბაშვილის პროექტი იყო. ეს ბევრჯერ დაუტრაბახია თვითონ გოკას პირად საუბარშიც კი. [...] ფედერაციის წევრები თავისუფლები არ არიან და პრობლემებიც სწორედ ამიტომ იჩენს თავს. რეგიონული ფედერაციების, კლუბების, ბავშვთა ფეხბურთის წარმომადგენლებმა,

ვეტერანებმაც კი, მაშინაც, როგორც ყოველთვის, გაჩუმება ამჯობინეს. ვილაცას ხელფასის დაკარგვის ემინია, ვილაცას სკამის, ვილაცას პენსიის“.

სპორტული გაზეთები მაშინ გიორგი ნემსაძის პოლიტიკურ მხარდამჭერსაც ასახელებდნენ. უურნალისტების აზრით, ნაციონალურ მოძრაობაში ფედერაციის არჩევნებმა დაპირისპირება გამოიწვია – გაბაშვილსა და დავით კირკიტაძეს შორის. ქვემო ქართლის გუბერნატორი არ მალავს, რომ გიორგი ნემსაძე ახლაც ქართული ფეხბურთის ფედერაციის მმართველის საუკეთესო კანდიდატად მიაჩნია: „მე ძალიან ახლოს ვიცი მას, უდიდეს პატივს ვცემ როგორც მას, ისე მის ოჯახს და ვფიქრობ, რომ რაც უფრო მეტი იქნება მასავით მორწმუნე, საქმის მკეთებელი და განონსწორებული ადამიანი, მით უფრო წაადგება ქართულ ფეხბურთს. [...] შეიძლება მეტი ინფორმაცია მაქვს, რატომ გადადგა, მაგრამ მეტის თქმის უფლება არ მაქვს“, – ამბობს კირკიტაძე „ლიბერალთან“ ინტერვიუში.

კირკიტაძე საუბრის დროს ხშირად იმეორებს, რომ თავადაც ყოფილი ფეხბურთელია და კარგად ესმის ეს საქმე. მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანს ახლა რუსთავის „ოლიმპი“ წარმოადგენს. ცოტა ხნის წინ გუბერნატორი რამდენიმე გაზეთის პირველ გვერდზეც მოხვდა, იმის გამო, რომ ბოლნისში „ოლიმპისა“ და „სპარტაკის“ თამაშის შემდეგ მსაჯს სხვა გულშემატკივრებთან ერთად დახვდა გასახდელთან და ისე სცემა, რომ მსაჯი საავადმყოფოში მოხვდა. თვითმხილველების თქმით, კირკიტაძე ამირან კაჭახიძეს, რომელიც ფედერაციის მსაჯთა განყოფილების ხელმძღვანელია, სამსახურიდან გათავისუფლებითაც დაემუქრა. თუმცა, ეს ამბავი საგულდაგულოდ მიიჩქმალა. დაზარალებული კაჭახიძე ინციდენტის შემდეგ საჯაროდ აცხადებდა, რომ კირკიტაძემ სცემა, თუმცა დღის ბოლოს თქვა, რომ თავდამსხმელის ვინაობა არ ახსოვდა. ინციდენტის ამსახველი ვიდეოკადრები არ გასულა არც ერთი ნაციონალური მაუწყებლის საინფორმაციო გამომშვებებში.

ფედერაციის ახალ პრეზიდენტს პირველი კომენტარის გაკეთება სწორედ ბოლნისის ინციდენტზე მოუწია: „რაც მოხდა, ცხადია, ამაზრზენია და ასეთ ფაქტებზე გაჩუმებას არ ვაპირებთ. ყველა ის ადამიანი დაისჯება, რომელიც ბოლნისის ჩხუბში იყო ჩართული, – აცხადებს დომენტი სიჭინავა, თუმცა იქვე ამატებს, – წამდვილად არ მინახავს, რა მოხდა ბოლნისში,



გადმოცემით ვიცი. კაჭახიძეს კირკიტაძემ სცემა ან ხელი დაარტყაო, – ასეთი რამ არ გამიგია“.

კავშირი „ჩვენი ფეხბურთის“ თავმჯდომარე და ვეტერანი ფეხბურთელი მიხეილ ყაველაშვილი ფიქრობს, რომ ხელისუფლება ფედერაციაზე გავლენას ახლაც მყარად ინარჩუნებს: „იმაზე თუ გინევეს ფიქრი, რომ ფეხბურთის კრიტიკა ხელისუფლების კრიტიკას ნიშნავს, იმიტომ, რომ იქიდან მოდის ყველაფერი, მაშინ სხვა გზა აღარ გრჩება – უნდა გაჩუმდე“. ყაველაშვილი ნელს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ნააყენა საკუთარი კანდიდატურა, მაგრამ მალევე მოხსნა. მისი თქმით, არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა, რადგან შეიტყო, რომ დომენტი სიჭინავა ხელისუფლების კანდიდატი და მას პოლიტიკური წრეებიდან აქვს მხარდაჭერა.

2009 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს ნაკრების იტალიის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გადადგა, რის შემდეგაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური გახდა. „როგორც იცით, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მიმდინარე შესარჩევ ციკლში სახარბიელო შედეგი არ უჩვენებია და თამაშის მოგება ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, მე თავს უფლებას ვერ ვაძლევ, შევინარჩუნო ის თანამდებობა, რომელიც მაქვს“, – განაცხადა ახალკაცი, პრესკონფერენციიდან პირდაპირ გერმანიაში გაემგზავრა და დღემდე საქართველოში არ დაბრუნებულა.

„აბსოლუტურად არაადეკვატური იყო ახალკაცის იმ მიზეზით წასვლა თანამდებობიდან, რაც ის დაასახელა. საბოლოოდ, ზუსტად ისე წავიდა, როგორც მოვიდა – პოლიტიკური ნების გამო“, ამბობს ლევან ყიფიანი.

მისი თქმით, ახალკაცის პრეზიდენტობის დროს მაღალანაზღაურებადი, ცნობილი მწვრთნელების ჩამოყვანა ხელისუფლების პოლიტიკა იყო.

„სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯებოდა ერთი უცხოელი მწვრთნელის წელიწადში რამდენიმე თვით ჩამოყვანაზე, როცა საფეხბურთო მოედნებიც კი დღემდე პრობლემაა. პირად საუბრებში „ფიფას“ წარმომადგენლებიც დელიკატურად გვეკითხებოდნენ, – ნუთუ ამხელა თანხების დახარჯვა შეგიძლიათ, როცა მოედნების ნაკლებობის გამო წლიდან წლამდე ფეხბურთში ბავშვების რაოდენობა კლებულობს?“ – იხსენებს ლევან ყიფიანი. მისი აზრით, ცნობილი მწვრთნელების ჩამოყვანა უფრო პი-არ

აქცია იყო, ვიდრე ფეხბურთის დონის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

თუმცა მას შემდეგ, რაც დაფინანსების უდიდესი ნაწილის ნაკრებზე დახარჯვამ შედეგი ვერ მოიტანა, ხელისუფლებამ ტაქტიკა, და ფედერაციის პრეზიდენტი შეცვალა. „რალაც მომენტში ხელისუფლება მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა“, – ამბობს ყიფიანი. ახალი გეგმის მიხედვით, აღარ მოინგევენ უცხოელ მწვრთნელებს და დეკემბრიდან საქართველოს მთავარ ნაკრებს, სავარაუდოდ, გამოცდილი ფეხბურთელი, თემურ ქეცბაია განვრთნის. პრიორიტეტი ხდება ინფრასტრუქტურის მონყობა, თბილისსა და რეგიონებში საფეხბურთო სტადიონების მშენებლობა და პროფესიონალური



**დომენტი სიჭინავას ბიოგრაფია**

**დაბადების ადგილი:** სოფელი სპარტა, ყარაჩაი ჩერქეზეთი

**განათლება:** ქალაქ ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლა; მსახურობდა საბჭოთა არმიაში. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ხარკოვის რადიოელექტრონიკის ინსტიტუტში.

**მუშაობის გამოცდილება:**

- ▶ 1991-1994 - კომპანია „დიდი მიზანი“ - დირექტორის მოადგილე
- ▶ 1995 -2005 - მოსკოვის ტერეზა დუროვას სახელობის სახელმწიფო თეატრი - გენერალური დირექტორი
- ▶ 2005-2006 - კომპანია „რუსული რესტავრაცია“ - ფინანსური დირექტორი
- ▶ 2006-2009 - რუსეთის ფედერალური უნიტარული საწარმო - ფინანსური დირექტორი
- ▶ 2006 წლიდან - საფეხბურთო კლუბ „ბაია-ზუგდიდის“ პრეზიდენტი
- ▶ 2009 წელი - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

ფეხბურთით ახალგაზრდების დაინტერესება.

ეს მოთხოვნები თითქმის სრულად ემთხვევა ფედერაციის ახალი პრეზიდენტის წინასწარჩვენო პროგრამას, რომელშიც პრიორიტეტები ასეა განანილებული: 1. ინფრასტრუქტურის მონყრეგება (ყველა რეგიონში უნდა აშენდეს საერთაშორისო სტანდარტების დონის საფეხბურთო სტადიონები); 2. ბავშვთა ფეხბურთი; 3. ჩემპიონატებისა და რეგიონული კლუბების განვითარება. პროგრამაში არაფერია ნათქვამი ამ პრიორიტეტების დაფინანსების გეგმაზე.

ფედერაციის ახალ პრეზიდენტს, სავარაუდოდ, ბევრი გამოწვევა ექნება, რადგან ხელისუფლების სასურველი კანდიდატობა არ არის იმის გარანტია, რომ მისდამი კეთილგანწყობა დიდხანს გაგრძელდება. დომენტი სიჭინავს ყველა წინამორბედმა, ფედერაციის პირველი პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცი უფროსი გარდა, საკუთარი სურვილით, ვადაზე ადრე დატოვა არჩევნების შედეგად დაკავებული თანამდებობა და ეს გადწყვეტილებები ყოველთვის პოლიტიკური სპეკულაციების საგანი ხდებოდა.

დომენტი სიჭინავა „ლიბერალთან“ საუბრისას ამბობს, რომ პოლიტიკური წრეების მისდამი დამოკიდებულებაზე არაფერი იცის, თუმცა ფედერაციის საქმიანობაში სახელმწიფო უწყებების დახმარების იმედი აქვს: „ნებისმიერი დახმარება, თუნდაც ერთი ბურთი და ფორმა, ფედერაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ხელისუფლება აუცილებლად უნდა ეხმარებოდეს ფეხბურთს“.

დომენტი სიჭინავა 2006 წელს ზუგდიდის საფეხბურთო კლუბს ჩაუდგა სათავეში და დღეს ეს კლუბი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. ზუგდიდის ბაზა სტანდარტებით ევროპულს უტოლდება. სიჭინავას მომხრეები ამბობენ, რომ ახალი პრეზიდენტი ძველ თანამდებობაზე საქმისთვის არც ენერგიას იშურებდა და არც საკუთარ ფინანსებს. ვადამდელი არჩევნების წესის შესაბამისად, დომენტი სიჭინავა ფედერაციას წელიწად-ნახევარი უხელმძღვანელებს. ამ დროში მას აქვს შანსი, თავისი მხარდამჭერების იმედები გაამართლოს და მათ, ვინც მასში მხოლოდ ხელისუფლების მარიონეტს ხედავს, დაუმტკიცოს, რომ ნაციონალების ფავორიტის როლშიც შეუძლია ისეთივე პროგრესის მიღწევა, როგორც ეს ერთი კლუბის მაგალითზე მოახერხა. თუმცა ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ფედერაციის თვითმმართველობას ხელისუფლებამაც მისცეს განვითარების საშუალება.



# დნესტრისპირეთი, შესაძლოა, რუსეთს შეუერთდეს

დნესტრისპირეთის დე ფაქტო პრეზიდენტი, იგორ სმირნოვი მოლდოვასთან დაახლოებას შეუძლებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მისი „რესპუბლიკა მზად არის, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდეს“. სმირნოვი რუსი სამხედროების გაყვანის შესახებ მოლდოვის ხელისუფლების მოთხოვნის საპასუხოდ აცხადებს, რომ დნესტრისპირეთში რუსეთის სამხედრო ძალის ყოფნა რეგიონში სტაბილურობას უზრუნველყოფს.

სმირნოვი აცხადებს, რომ მოლდოვის ხელისუფლების სათავეში მემარჯვენეების მოსვლის დროიდან ისევ მკვეთრად გაიზარდა რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების შელახვის საშიშროება.

დე ფაქტო ლიდერის თქმით, რესპუბლიკაში წლის ბოლომდე გაიმართება რეფერენდუმი ახალი, რუსეთის კონსტიტუციის მსგავსი საკანონმდებლო აქტის მიღება-არმილების საკითხთან დაკავშირებით.

თუ კონსტიტუციაში ცვლილებები მოხდება, ქვეყნის ლიდერს საკმაოდ ბევრი ახალი უფლება მიეცემა: დნესტრისპირეთში ორპალატიანი პარლამენტი ამოქმედდება; ზედა პალატის წევრებს კი ქვეყნის პირველი პირი დანიშნავს. ახალი კონსტიტუცია დნესტრისპირეთში ახალ – პრემიერ-მინისტრის თანამდებობასაც შემოიღებს. ცვლილებების თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტს ასევე ექნება პარლამენტის ქვედა პალატის არჩეული წევრების გათავისუფლების უფლება; ასევე შეეძლება დანიშნოს ან გაათავისუფლოს ადმინისტრაციების ხელმძღვანელები და კონსტიტუციური, უმაღლესი და საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეები.



დემიტრი მეღვედვი და იგორ სმირნოვი

# ქურდი ღევენაში

57 წლის ტარიელ ონიანი, უფრო ტაროს სახელით ცნობილი, კრიმინალური სამყაროს ლეგენდარული პერსონაჟია. დღეს ის ციხე „მოტროსკაია ტიშინაშია“ და მხოლოდ ამიტომაც ცოცხალი. ასეთია სამართალდამცველების ვერსია.

კირილ ბელიანინოვი. ნაწყვეტი სტატიიდან, რომელიც ჟურნალ „ოგონიოკის“ 5 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა.



ტარიელ ონიანი სასამართლო პროცესზე, მოსკოვი

დაჭმუჭნულ ქალაქის ნაგლეჯზე სულ ხუთი მიწყობილი სტრიქონი ეწერა: „ქურდებს სიცოცხლე. ამის დაწერის მიზეზი შემდეგი ვითარება გახდა: წესიერო პატიმრებო, საქმის კურსში გაყენებთ, რომ მტც-ში („მატროსკაია ტიშინა ცენტრალი“) იმყოფება ადამიანი, ვინმე ტარიელ ონიანი. ქურდების სიტყვით, ის არის ბ...-ი და თუ ეს კაცი თქვენ ბაითში იმყოფება, ან თუ შეხვდებით, შესაბამისად მოიქეცით“.

წერილის ქვეშ 36 ხელმოწერაა. მათ შორის არის შემდეგი სახელები: იაპონჩიკა, ბაბუ ჰასანი, ლაშა რუსთაველი, იური პიჩუგა, ვასია ვოსკრესი, ოლეგ მუხა, კოსტია შრამი, ლიოზა ზაბავა, სერიოგა სურგუტსკი, შაქრო მაღალოი, კობა რუსთაველი და სხვები. ნახევარზე მეტი ხელმოწერილი სლავური წარმოშობის ქურდია, თვით ამ ქალაქის ნაგლეჯს კი გაცილებით დიდი წონა აქვს, ვიდრე სასამართლო განაჩენს: იქ დასახლებული ადამიანი უნდა მოკვდეს.

თუ ოფიციალურ ვერსიას ვენდობით, ქურდული განაჩენის შინაარსი სამართალდამცავებს 19 სექტემბერს ჩაუვარდათ ხელში. ამბობენ, თითქოს „კანონიერებმა“ იაპონჩიკის სახელით ცნობილ

ვიჩესლავ ივანკოვზე თავდასხმის ვითარების გამოძიება თავად ჩაატარეს და დასკვნეს, რომ ეს ონიანმა შეუკვეთა.

როგორც წესი, ასეთი წერილები ოპერატიული მუშაკების სეიფებში ხვდება. ამჯერად კი ეს ქალაქის „ნაგლეჯი“ სამართალდამცავებმა არათუ რამდენიმე ჟურნალისტს უჩვენეს, არამედ გადაწყვიტეს, მისი შინაარსი ერთ-ერთი ფედერალური ტელეარხის ეთერითაც გაეცვლებინათ. ასე რომ, ციხის ფოსტის გამოყენების საჭიროება თავისთავად გაქრა: ტარიელ ონიანისთვის გამოტანილი განაჩენის შესახებ ყველა ციხის, კოლონიისა და საგანგებო იზოლაციის მკვიდრებმა მილიონობით ტელემაცურებელთან ერთად შეიტყვეს.

ტარიელ ონიანი 1952 წელს ტყიბულში დაიბადა. პირველად ციხეში ის 17 წლის ასაკში მოხვდა და მას შემდეგ 7-ჯერ გასამართლდა ყაჩაღური თავდასხმის, იარაღის უკანონო ტარების, ნარკოტიკების შენახვისა და გამოძალვის ბრალდებებით. არსებული ცნობების მიხედვით, კანონიერი ქურდის სტატუსი მან 1970-იანი წლების ბოლოს მიიღო, რამდენიმე წელიწადში კი ამ წრეში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი გახდა.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



**მომხრე**  
**დავით ზურაბიშვილი**  
რესპუბლიკური პარტიის წევრი

# უნდა მონაწილეობდეს ქართულ-რუსულ პოლიტიკურ დიალოგს

რუსეთსა და საქართველოს შორის გარკვეული კომუნიკაციის საშუალება რომ უნდა არსებობდეს, და ეს საქართველოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, მგონი, სადავო არ არის.

ცხადია, რა ხელისუფლებაც უნდა იყოს საქართველოში, პრინციპულად შეუძლებელია სრულფასოვანი, მათ შორის, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა იმ ქვეყანასთან, რომელსაც ჩვენ ტერიტორიაზე კიდევ ორი საელჩო აქვს გახსნილი და რომლის მხრიდანაც დღემდე არსებობს პირდაპირი სამხედრო აგრესიის საფრთხე.

მიუხედავად ამისა, უფრო ზუსტად კი სწორედ ამის გამო, არსებული საფრთხეების თავიდან არიდების კონტექსტში, ურთიერთობები რუსეთის გავლენიან წრეებთან უბრალოდ აუცილებელია და საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებში შედის.

როდესაც ოფიციალურ დონეზე კონტაქტები პრაქტიკულად განწყვეტილია და რუსეთის ხელისუფლება ღიად აცხადებს, რომ ის საერთოდ არ დაელაპარაკება სააკაშვილს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნის არაოფიციალური ურთიერთობები. საზოგადოებრივი ურთიერთობები ყველა ქვეყანაში საგარეო პოლიტიკის ისეთივე ნაწილია, როგორც დიპლომატია. არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრები, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ. საკმაოდ ხშირად გამოიყენება პოლიტიკაში გამწვავებული ვითარების შერბილებისთვის და აქ არცთუ უმნიშვნელოა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი.

არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ რუსეთის საპატრიარქო ფაქტობრივად სახელისუფლო სტრუქტურას წარმოადგენს და ისევე მონაწილეობს რუსული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში, როგორც, ვთქვათ, თავდაცვის სამინისტრო. ამასთან, ოფიციალური მოსკოვისგან განსხვავებით, რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე ფორმალურად აღიარებს საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციას. ბუნებრივია, ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს მხოლოდ ფორმალური აღიარებაა და რუსეთი ამ რეგიონებში სხვადასხვა სქიზმატური დაჯგუფებების სახით მოქმედებს, მაგრამ ფორმალურ მხარესაც აქვს მნიშვნელობა. საქართველოსთვის პოლიტიკური მანევრის სივრცე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე რუსეთის სახელმწიფო ოფიციალურად არ აღიარებდა სეპარატისტულ რეჟიმებს, თორემ რეალურად ეს რეჟიმები მაშინაც მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერით არსებობდნენ.

ამდენად, კონტაქტები რუსეთის საპატრიარქოსთან პრაქტიკულად ნიშნავს არაპირდაპირ კონტაქტს რუსეთის ხელისუფლებასთან. საერთოდ სასულიერო პირებს არაერთხელ უკისრიათ დიპლომატიური მისია, მათ შორის საქართველოშიც, საკმარისია სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში ვოიაჟები გავიხსენოთ. აღარაფერს ვამბობ რომის პაპზე, რომელიც, გარდა იმისა, რომ კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი იერარქია, საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაა.

ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიებს შორის ყოველთვის შეიცავდა და დღესაც შეიცავს გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვას. ეს არანაირ კავშირში არაა სეკულარობის პრინციპთან, რომელიც უნდა მოქმედებდეს ქვეყნის შიგნით.



რუსეთის პატრიარქი კირილე და დიმიტრი მედვედევი, მოსკოვი 2009

ისეთ ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, სახელმწიფო დიახაც უნდა ცდილობდეს არაოფიციალური არხების გამოყენებას და აქ საქართველოს საპატრიარქოს ნამდვილად შეუძლია თავისი სიტყვის თქმა.

ამ შემთხვევაში ჩვენთან არის სხვა პრობლემა. კერძოდ, არსებობს უნდობლობა საქართველოს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. ხელისუფლება შიშობს, რომ ეს საეკლესიო ურთიერთობები, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს მისი სანაღმდეგოდ. არის საკმაოდ გავლენიანი ჯგუფი, რომელიც სწორედ ამ საფრთხეს აყენებს წინა პლანზე და საქართველოს საპატრიარქოს ფაქტობრივად რუსული გავლენის ინსტრუმენტად წარმოაჩენს.

რომ არა ეს შიში, რომელსაც აძლიერებს ის გარემოება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და პირადად პატრიარქი ქვეყნის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს, ნებისმიერი ნორმალური ხელისუფლება შეეცდებოდა კომუნიკაციის ამ არხის გამოყენებას რუსეთთან ურთიერთობებში. ამ მხრივ გარკვეული მცდელობებს სააკაშვილსაც ჰქონდა, მაგრამ როცა არაფორმალური შეთანხმება გაქვს, მერე არ უნდა გამოხვიდე და საჯაროდ არ უნდა განაცხადო, – პატრიარქმა ჩემი მითითებები შეასრულაო. არსებობს საჯარო დიპლომატია და არსებობს კულუარული. არაფორმალური კონტაქტები კულუარული დიპლომატიის ნაწილია და აქ ე.წ. „შიარი“ უბრალოდ უადგილოა.

ასე რომ, თუ ხელისუფლება მოქმედებს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მან აუცილებლად უნდა გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რაც საქართველოს საპატრიარქოს აქვს. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნების, მეცნიერების თუ სხვა სფეროებში არსებულ კონტაქტებზე. ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ყველას და ყველაფერს უნდა აკონტროლებდეს, მაგრამ უკვე არსებულ ურთიერთობებში სახელმწიფო ინტერესების „ჩადებას“ რომ ცდილობდეს, ამაში არაფერია დასაძრახი. ამას აკეთებს ყველა ქვეყანა და ეს უნდა გააკეთოს ქართულმა სახელმწიფომაც. ■



# თუ არა საპატრიარქო პოლიტიკურ ურთიერთობებში?



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II



მონინალმდევე

შოთა ხინჩაგაშვილი

ნაციონალიზმის კვლევების მაგისტრი

საქართველოსა და რუსეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობები ადრე თუ გვიან აუცილებლად აღდგება. ეს გარდაუვალი კანონზომიერებაა. მთავარი ის არის, რომ „დიპლომატიური ურთიერთობების განწყევლა“ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ეს არსებითად სიმბოლური უქესტია, თორემ ურთიერთობა ყოველთვის არსებობს. ამ ურთიერთობის ფორმალური მოთავე ამჟამად შვეიცარიაა, რომლის თბილისსა და მოსკოვში განთავსებულ საელჩოებში შესაბამისი სექციებია გახსნილი.

ამ მარტივი ტრუიზმის ხაზგასმა ხშირად მიწვევს ხოლმე, რადგან მისი უგულებელყოფა „დიპლომატის შენარჩუნებასა“ თუ „აღდგენაში“ საქართველოს საპატრიარქოს მონაწილეობის გარდაუვალი აუცილებლობის მთავარი „არგუმენტი“. საპატრიარქო ხშირად განიხილება ერთ-ერთ უკანასკნელ და მნიშვნელოვან რესურსად, რომლისთვისაც ზემოთ ხსენებული მისიის დაკისრება ღირს.

არ ვარ დარწმუნებული, რომ ხსენებული „მისია“ ნათელია, ანუ ის საერო და სასულიერო ჯგუფებს შორის იდენტიურად გაზიარებული და შეთანხმებული იყოს. არაფრისმთქმელია იმის მტკიცება, რომ საპატრიარქო სახელმწიფო ინტერესების სადაზღოვნა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს „სახელმწიფო ინტერესები“ შეიძლება ყველას სხვადასხვანაირად ესმოდეს. დავაზუსტოთ: დიდ საიდუმლოს უკვე აღარ წარმოადგენს სასულიერო ელიტის პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაცია, რომელიც, როგორც მინიმუმ, ამბივალენტურია და დემოკრატიული წესით განსაზღვრულ სახალხო არჩევანთან ახლოსაც არ არის. ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ეკლესიის ანტიდასავლური, რუსოფილური რესენტემენტები ის ორი ურთიერთგამომრიცხავი მოცემულობაა, რომლის აღიარებას მხოლოდ გულწრფელობა

სჭირდება. შესაბამისად, აბსურდია ვარაუდი, თითქოს მიტროპოლიტები აღმასრულებელი ხელისუფლების გზას აგრძელებენ და „სახელმწიფოს ეხმარებიან“. ეჭვი მაქვს, გზა მრუდდება (ზოგისთვის კი მრუდე სწორდება და თავის ბუნებრივ ვექტორს უბრუნდება).

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საქართველოს საპატრიარქო არსებითად პოლიტიკურ ინსტიტუციად იქცა, რომელმაც თანამედროვე სახე გასული საუკუნის 40-იან წლებში, სტალინის მეურვეობის ქვეშ მიიღო და დღემდე, თავისი გაუმჭვირვალე პოლიტიკური შეხედულებებითა და გაუმჭვირვალე დაფინანსებით, საგრძნობი ძალაუფლების მპყრობელია. ეს ძალაუფლება მხოლოდ მის მატერიალურ ან საკრალურ რესურსებში არ გამოიხატება, გასათვალისწინებელი გაცილებით მეტია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არ არის იმ ტიპის სასულიერო ორგანიზაცია, რომელიც, სახელმწიფოს მფარველობის მეშვეობით, მხოლოდ საზოგადოების დიდი ნაწილის სულიერი ცხოვრების ორგანიზებითა დაკავებულია. ამის გააზრება ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია. თვალი გადავავლოთ უახლოეს წარსულს: საპატრიარქო კონკურენციის პირობებში თანაარსებობდა გამსახურდას ნაციონალიზმთან, შევარდნაძის მმართველობისას საბოლოოდ განიმტკიცა გავლენა (მხოლოდ საკონსტიტუციო შეთანხმება რად ღირს?), დღეს კი, მართალია, სააკაშვილთან ზომიერ დაპირისპირებაშია, მაგრამ მასთანვე გარიგებით მაინც არნახული, სტაბილური ძალაუფლებით ტკბება. ეს დინამიკა ორ გარემოებაზე მიგვანიშნებს. ერთი მხრივ, უმაღლესი სასულიერო ელიტა მეტ-ნაკლებად ყოველთვის ახერხებდა საერო ხელისუფლებასთან შეთანხმებას. სანამ ლიდერს სკამი არ მოერყევა (როგორც თავის დროზე გამსახურდას და შევარდნაძეს მოერყათ), ერის სულიერი მამა პარლამენტის გახსნასაც დაესწრება და, თუ საჭირო გახდა, ყველაზე ძლიერთან მებრძოლ პოლიტიკურ დაჯგუფებასაც დააძალავს სეფისკვერს. თუმცა, მიუხედავად ზემოთქმულისა, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „ქართული პარადოქსით“, საპატრიარქო არ წარმოადგენს საერო ხელისუფლების აბსოლუტურ „დანამატს“ და მის ორგანულ ნაწილს, როგორადაც რუსეთის საპატრიარქო განიხილება ხოლმე.

ილია მეორე და სააკაშვილი ხშირად თანამშრომლობენ და ურთიერთკომპრომისებზეც მიდიან (როგორც წესი, ქვეყნისა და ქართული საზოგადოების საზიანოდ), მაგრამ ორივეს აქვს პრეტენზია, განსაზღვროს თანამედროვე ქართველის კულტურული და პოლიტიკური მეობა. ორივე იდენტობის პოლიტიკის წარმმართველია და ეს ორი ვერსია იმთავითვე ურთიერთგამომრიცხავია. ამის ფონზე მიტროპოლიტების მოსკოვში სიარული საფუძველშივე ანტიდემოკრატიული ქმედებაა და ლეგიტიმურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საზოგადოების დიდი ნაწილი საერთოდ არ იცნობს მათ მიერ რუსეთთან გამართული მოლაპარაკებებისა და განხილვის რეალურ საგანს.

P.S. ვთქვათ, ჩემი ვარაუდი უსაფუძვლოა და საპატრიარქოს მიერ გამართული შეხვედრები პირდაპირ პასუხობს ქვეყნის ინტერესებს, როგორადაც ისინი განსაზღვრა მოსახლეობის უმრავლესობამ. თუ ეს ასეა, ჩნდება გაცილებით უფრო ფუნდამენტური კითხვა – მაშინ რაშია სხვაობა საქართველოს საპატრიარქოსა და რუსეთის ხელისუფლების იმ მორჩილ დანამატს შორის, რომელსაც იქაც საპატრიარქო ეწოდება?

არჩევანი მარტივია: ან რუსულ ყაიდაზე უნდა გავაგრძელოთ პოლიტიკური რეალობის აგება – პოლიტიკის რელიგიით, ხოლო რელიგიის პოლიტიკით გასვრა, ან ვალიაოთ, რომ სკეულარული პრინციპებისადმი ერთგულება ამის თავიდან არიდების ერთადერთი რეალური საშუალებაა. **■**





ფოტო: ტენჯინ ბარამიძე/საქართველო

რუსეთის ტანკები ივრეთში, აგვისტო 2008





## კოლიჯია

ტალიანინის კომისიის დასკვნა

# თეთრი ლაქები

კომისიის ათთვიანი მუშაობა

პასუხგაუცემელი კითხვებით

დასრულდა – როგორ დაიწყო ომი

სამხრეთ ოსეთში საქართველოსთვის

და რუსეთისთვის.

---

### ოლესია ვართანინი

1000-გვერდიან ანგარიშში სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ კარდინალურად ახალ ინფორმაციას ვერ ნახავთ, იმ უზრალო მიზეზით, რომ თითქმის ყველა იქ მოხვედრილი ფაქტი ეფუძნება საჯარო ინფორმაციას და ნაწილობრივ – კონფლიქტში მონაწილე ქვეყნების განმარტებებს ზოგიერთ ამ ფაქტთან დაკავშირებით.

ტექსტისთვის დართულ შენიშვნებში ხშირად შეხვედებით პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ან კონფლიქტის მონაწილე ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლების საჯარო განცხადებებს. ეს ყველაფერი აკურატულადაა შედგენილი კონფლიქტის ხან ერთ მხარეზე და ხან მეორეზე დაყრდნობით, თუმცა საკუთარი გამოძიების მცდელობის შედეგად მოპოვებული ან დამოუკიდებლად მოძიებული რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ანგარიშში არ ჩანს.

ანგარიშშივე აღნიშნული, რომ კომისიას ხელი არ მიუწვდებოდა საიდუმლო ინფორმაციასა და თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოებზე, რასაც შეიძლება ერთგვარი სიცხადე შეეტანა იმ საკითხში, თუ როგორ დაიწყო აგვისტოს ომი. ანგარიშში არ არის ახსნილი ამ გადანყვებილების მიღების მიზეზი.

ახალი ამ ანგარიშში მხოლოდ ამა თუ იმ მოვლენის დეტალური ინტერპრეტაციაა საერთაშორისო კანონმდებლობასთან მიმართებაში. თუმცა ბევრ საკითხთან დაკავშირებით ეს არგუმენტაცია აზრს კარგავს, ისევე იმ მიზეზით, რომ კომისიამ ვერ მოახერხა, დაეზუსტებინა ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც რუსეთისა და საქართველოს მხრიდან სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე რამდენიმე საათის განმავლობაში ხდებოდა.



# რად ვერ დადგინდა

**1** კომისიამ ვერ უპასუხა კითხვას, შედიოდა თუ არა რუსული არმია სამხრეთ ოსეთში იმ მომენტში, როდესაც ქართველებმა ცხინვალსა და მიმდებარე სოფლებს შეუტყის.

ქართულმა მხარემ ცხინვალზე შეტევის ერთ-ერთ მიზეზად მის ტერიტორიაზე რუსული ჯარის გადაადგილების შეჩერება დაასახელა. მათი თქმით, 7 აგვისტოს, დღის განმავლობაში, ვიდრე ღამით ცხინვალს ცეცხლს გაუხსნიდნენ, რუსული მიიმე ტექნიკა როკის გვირაბის გავლით უკვე სამხრეთ ოსეთისკენ მიემართებოდა.

რუსული მხარე ამ ინფორმაციას უარყოფს და ამბობს, რომ მიიმე ტექნიკა და ჯარი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე პირველად მხოლოდ 8 აგვისტოს, შუადღეს, სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ შევიდა.

ამასთან დაკავშირებით ჭეშმარიტების დადგენა იმის გასარკვევადაა მნიშვნელოვანი, ჰქონდა თუ არა საფუძველი ქართველების მიერ ცხინვალისთვის შეტევას. თუმცა ანგარიშში, გარდა ამ საკითხის შესახებ მხარეების პოზიციების აღწერისა, ვერაფერს ნახავთ. იქ ნათქვამია, რომ ამ პუნქტის თაობაზე „კომისია საბოლოო გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდა“.

**2** კომისიამ ვერ შეძლო გაერკვია, ის სამხედრო შენაერთები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, რუსეთის შეიარაღებული ჯარის ნაწილი იყო თუ სამშვიდობო-თა კონტინგენტი, რომელმაც ვერ მოახერხა ქართული მხარისთვის თავის ჩასვლის შესახებ ეცნობებინა.

კომისიის თქმით, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, მხოლოდ ის შეუძლიათ ივარაუდონ, რომ სამხრეთ ოსეთში ოპერაციის დაწყების დროს იქ გარკვეული რაოდენობით რუსი ჯარისკაცები იმყოფებოდნენ, თუმცა რა რაოდენობით, ვერც ამას აზუსტებს.

ამ მონაცემების დადგენა საშუალებას მისცემდა ქართულ მხარეს, ცხინვალზე შეტევის საფუძველიანობა დაემტკიცებინა. ამგვარად ისინი დაადასტურებდნენ, რომ რუსულ მხარეს შეიძლებოდა ქართული ანკლავისთვის ცეცხლის გახსნაში მიეღო მონაწილეობა. ასე რომ, ქართველების შეტევა აუცილებელი იყო სამხრეთ ოსეთში თავისი მოქალაქეების დასაცავად.

**3** კომისიის თქმით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ ოპერაციის დაწყების დროს ჩრდილოეთი ოსეთიდან გარკვეული რაოდენობის მოხალისე კონფლიქტურ ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

თუმცა ამავდროულად კომისია იმასაც ამბობს, რომ არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ ეს შეიარაღებული ჯგუფები ქართულ სოფლებზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ და რუსული ოფიციალური ორგანოების მითითებით მოქმედებდნენ.

ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, ეს ფაქტი რომ დადასტურებულიყო, ეს საქართველოს საშუალებას მისცემდა, აეხსნა ცხინვალსა და მიმდებარე სოფლებზე შეტევის მიზეზი.

**4** კომისიამ ვერც იმის გარკვევა მოახერხა, უტევდნენ თუ არა ქართველი სამხედროები რუსი სამშვიდობოების შტაბს მანამდე, ვიდრე 8 აგვისტოს, შუადღეს რუსეთი ოფიციალურად დაიწყებდა სამხედრო ოპერაციას სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე.

სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად რუსეთი სწორედ თავისი სამშვიდობოების დაცვას ასახელებდა. მათი თქმით, ქართველი სამხედროები მიზანმიმართულად უტევდნენ მათ ღამით, 7-დან 8 აგვისტოს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

იმ შემთხვევაში, თუკი კომისია სამშვიდობოებზე შეტევას დაადასტურებდა, რუსეთი შეძლებდა დაემტკიცებინა, რომ ლეგალური უფლება ჰქონდა, თავისი სამშვიდობოების დასაცავად ადგილობრივი ოპერაცია ჩაეტარებინა.

**5** კომისიამ ვერ გაარკვია, მონაწილეობდნენ თუ არა რუსი სამშვიდობოები ქართულ სოფლებზე თავდასხმებში.

ეს დაადასტურებდა ქართულ ვერსიას, რომ იმ დროისთვის, როდესაც თბილისმა ცხინვალისთვის ცეცხლის გახსნის განკარგულება გასცა, საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ რუსული აგრესია უკვე დაწყებული იყო. ეს ასევე საშუალებას მისცემდა ქართულ მხარეს, სამშვიდობოებს შორის მსხვერპლის არსებობა გაემართლებინა, თუკი კომისია ასეთ ფაქტს გამოავლენდა.

სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა (რომელთა გარკვევაც იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ დადგენილიყო რომელი მხარე ცრუობდა და რომელი ამბობდა სიმართლეს), კომისიას არ მოუხმია არანაირი ინფორმაცია, მათ შორის არც ეუთო-ს იმ ოთხი დამკვირვებლისგან, რომლებიც კონფლიქტის დროს ცხინვალში იმყოფებოდნენ.

მას არ გამოუჩვენებია ასევე არც გენერალ მარატ კულახმეტოვის პასუხები, რომელიც რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტს მეთაურობდა და კომისიის წინაშე ამ შემოდგომაზე წარდგა.

ანგარიშში არ ჩანს, რომ ექსპერტებმა გამოკითხეს იმ სოფლების ქართული და ოსური მოსახლეობა, რომელიც, მხარეების თქმით, მთელი ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში შეტევებს განიცდიდა. ეს იმის გაგებას გააიოლებდა, თუ რამდენად სერიოზული იყო თავდასხმები ქართულ სოფლებზე 7 აგვისტოს. შეიძლებოდა თუ არა ქართულ მხარეს ეს ცხინვალზე შეტევის მიზეზად გამოეყენებინა.

## ფაქტები და ინტერპრეტაციები საქართველოსთან მიმართებაში

საქართველოს ხელისუფლება სამხედრო ოპერაციის დაწყების სამ მიზეზს ასახელებდა:

- რუსული არმიის შემოღობვის შეჩერების მცდელობა;
- სამხრეთი ოსეთის ქართული სოფლების წინააღმდეგ შეტევის შეჩერება;
- მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა.

**1** საერთაშორისო კანონმდებლობით ქართველებს არ ჰქონდათ უფლება, სამხრეთი ოსეთისთვის შეეტიათ.

ეს მტკიცება ეყრდნობა 90-იან წლებში დადებულ სამ შეთანხმებას, რუსეთთან, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთთან, ასევე ეუთო-სთან – სოჭში ხელმოწერილ შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ და 1996 წლის მემორანდუმს, რომლის საფუძველზეც რეგიონში მუშაობა დაიწყო ეუთო-ს მისიამ. ამ შეთანხმებათა დარღვევით, – ნათქვამია ანგარიშში, – საქართველო გაერო-ს ძირითადი ქარტიის ჩარჩოებს გაცდა.

## 2 საქართველომ გამოიყენა არაპროპორციული ძალა ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების მიმართ, თუკი ამ ოპერაციას ქართული სოფლების მოსახლეობის დაცვად განვიხილავთ.

კომისია ამბობს, რომ ცხინვალზე შეტევის მხოლოდ „პოლიტიკურ მიზეზს“ ხედავს. კომისიის წევრების სიტყვებით, ავიაციის, შეიარაღებისა და 10 000 ადამიანის შემადგენლობით სამხედრო კონტინგენტის გამოყენება არ შეიძლება განიხილებოდეს ქართულ სოფლებზე პოზიციური შეტევების შეჩერების მცდელობად.

## 3 ანგარიში ასკვნის, რომ თავდაცვის ოპერაციის მიღმა, შესაძლოა, სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის რეალური სურვილი იმალებოდეს.

კომისია მოიხმობს ქართული სამშვიდობო კონტინგენტის გენერლის, მამუკა ყურაშვილის 7-დან 8 აგვისტოს ღამით ნათქვამს, რომ სამხრეთ ოსეთში დაიწყო ოპერაცია კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად.

# ფაქტები და ინტერპრეტაციები რუსეთთან მიმართებაში

კომისიის მთავარი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის თანახმად, რუსეთს არ ჰქონდა უფლება, განეხორციელებინა ამ მასშტაბის სამხედრო ოპერაცია, იმ საბაბების მომიზეზებით, რისი დეკლარირებაც მაშინ ხდებოდა.

რუსეთი სრულმასშტაბიანი ოპერაციის დაწყების სამ მიზეზს ასახელებდა: ოსი ხალხის გენოციდის შეჩერების აუცილებლობა, საკუთარი მოსახლეობის დაცვა და რუსი სამშვიდობოების მხარდაჭერა.

კომისია დაწვრილებით განიხილავს თითოეულ მიზეზს და შემდეგ ასკვნის:

## 1 სამხრეთ ოსეთში გენოციდი არ ყოფილა.

კომისია ასახელებს ოსური მხრიდან დალუპულთა რაოდენობას – დაახლოებით 250 ადამიანი, მშვიდობიანი მოქალაქეებისა და სამხედრო პირების ჩათვლით, და ამბობს, რომ ასეთი მსხვერპლი არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს გენოციდის მცდელობად.

## 2 რუსეთს არ შეეძლო სამხრეთ ოსები და აფხაზები საკუთარ მოსახლეობად მიეჩნია.

კომისია დაწვრილებით ჰყვება სამხრეთ ოსეთში პასპორტიზაციის პროცესის შესახებ. აქ ნათქვამია, რომ უმრავლესობამ პასპორტები 2004 წლიდან მიიღო, და რომ ეს ხდებოდა საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის სრული დარღვევით.

## 3 რუსეთს არ გააჩნდა საკანონმდებლო ბაზა, ომის გზით დაცვა საკუთარი მოსახლეობა მისი ტერიტორიის გარეთ.

რუსეთის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ის მოვალეა, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. კომისიის თქმით, იქ არ არის დაკონკრეტებული, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია ომის გზით. სხვა შემთხვევაში, ნათქვამია ანგარიშში, ეს ხდებოდა არალეგალურად და საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის სრული დარღვევით.

**კომისიამ ვერ მოახერხა, დაეზუსტებინა ის მოვლენები, რაც სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე რამდენიმე საათის განმავლობაში ხდებოდა.**

## 4 რუსეთს საკუთარი სამშვიდობოების დაცვის უფლება ჰქონდა, თუკი ქართული მხარე მათ მართლაც უტყევდა.

თუმცა ეს არ უნდა მომხდარიყო ამ მასშტაბით – საავიაციო შეტევები ქვეყნის სხვადასხვა ადგილას, ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რომელიც ბევრად გაცივდა ამ ტერიტორიებს, შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ამოქმედება და ა. შ.

## 5 7 აგვისტოს რუსეთის ჯარი მიზანმიმართულად იყო განლაგებული სამხრეთ ოსეთის საზღვართან

თუმცა კომისია კანონმდებლობაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ამის განხილვა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიად არ შეიძლება, ვიდრე ისინი საზღვარს არ გადალახავდნენ. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ მათი იქ ყოფნა ასევე არ შეიძლება გამოდგეს ქართველების მხრიდან ცხინვალზე შეტევის მიტანის საფუძველად.

## 6 რუსეთს არ ჰქონდა არანაირი საფუძველი, აფხაზეთში შესულიყო და აფხაზ ჯარისკაცებს კოდორის დაპყრობაში დახმარებოდა.

სამხრეთ ოსეთში ოპერაციის დაწყების შესახებ რუსული მხარის არანაირი ოფიციალური არგუმენტაცია არ შეიძლება გამხდარიყო აფხაზეთში მათი მოქმედებების მიზეზი.

## 7 საქართველოში რუსული ოპერაციის დაწყება არ შეიძლება გამართლდეს არც „სამშვიდობო მიზნებით“, არც „ჰუმანიტარული მისიით“ და არც „სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიწვევაზე საპასუხო მოქმედებით“.

# ევროკავშირის მარცხი საქართველოში



საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საქმეში ევროკავშირი უსუსური აღმოჩნდა.

ნიკუ პაუჰკუჰე, საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული საბჭოს (ECFR) მკვლევარი

ტალიაინის კომისიის დასკვნის ფონზე ალბათ უპრიანი იქნებოდა, უფრო დეტალურად განგვეხილა, რა გააკეთა თავად ევროკავშირმა საქართველოში კონფლიქტების მოსაგვარებლად. ყველამ კარგად ვიცით, რომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და 2008 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მცდელობის გააქტიურების შემდეგ ვითარების დაძაბვასა და კონფლიქტური რეგიონების გამალეზულ მილიტარიზებაში პასუხისმგებლობა რუსეთსაც (სამხრეთ ოსეთთან ერთად) და საქართველოსაც თანაბრად ეკისრებათ. მაგრამ, ყურადღების ღირსია ის უუნარობაც, რომელიც ევროკავშირმა ამ სიტუაციაში გამოიჩინა.

ტალიაინის კომისიის დასკვნაში ეს თემა გაკვრით არის ნახსენები: „ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირი უფრო მეტად ინტერესდებოდა საქართველოში. ამ ურთიერთობებს შეიძლება მჭიდრო ვუნდოთ ეკონომიკური დახმარების თვალსაზრისით; ზომიერად მეგობრული – ქვეყანათაშორისი კავშირების მხრივ; გულყანათაშორისი კავშირების მხრივ; გულყანათაშორისი კავშირების მხრივ, როცა საქმე სადავო პოლიტიკურ პრობლემებს ეხებოდა... და დისტანცირებული, როცა უსაფრთხოების დელიკატური საკითხები იყო გადასაჭრელი. ამის თვალსაზრისით მაგალითია ის ფაქტი, რომ 2004 წელს საქართველოში ეუთო-ს მისიის მუშაობაზე მოსკოვის მიერ ვეტოს დადების შემდეგ ევროკავშირმა არ მოისურვა, ეკისრა რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონიტორინგი“.

ამ საგულდაგულოდ ანონ-დანონილი ფრაზების მიღმა ცხადად ჩანს, რამდენად უსუსური გამოდგა ევროკავშირი საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საქმეში. 2004 წლის ბოლოს რუსეთმა ვეტო დაადო ეუთო-ს 150-კაციანი სადამკვირვებლო ჯგუფის მისიის გაფართო-

ებას. თბილისმა რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონიტორინგი მაშინ ევროკავშირს სთხოვა. 2005 წელს საფრანგეთი (რომელიც 2008 წლის აგვისტოში პირველი გამოვიდა მშვიდობის მაძიებლის როლში) ესპანეთთან, იტალიასთან, საბერძნეთთან და, ნაწილობრივ,

2007-2008 წლების განმავლობაში ევროკავშირი ცდილობდა, გაეძლიერებინა თავისი მისია, რომელიც ორი პოლიციელისა და ორი მესაზღვრისგან შედგებოდა. იდეაში ამ მისიის წევრებს ოსურ და აფხაზურ მხარეებთან პოლიციურ და სასაზღვრო საკითხებთან



ფოტო: იუსტიციის მინისტრის განცხადებით

■ რუსი ჯარისკაცები გორის შესასვლელთან, აგვისტო 2008

გერმანიასთან ერთად, კატეგორიულად შეენინაღმდეგა კავკასიის საქმეში ევროკავშირის ჩარევას. შედეგად, 150 დამკვირვებლის ნაცვლად, საქართველომ მიიღო ევროკავშირის ე.წ. სასაზღვრო მხარდაჭერის საგანგებო წარმომადგენელთა მხოლოდ 3-კაციანი ჯგუფი, რომელიც მოგვიანებით 12 კაცამდე გაიზარდა. ეს იყო უდავოდ ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც ევროკავშირის მხარეს დაპირისპირების პრევენციის მექანიზმების შექმნისა და კონფლიქტის დარეგულირების საქმეში დაუშვა.

**■ კონფლიქტების იგნორირება ყველასთვის საზიანოა. კონფლიქტები უნდა ვაკონტროლოთ და თავიდან ავიცილოთ. „უმოქმედობა რუსეთის გალიზიანების შიშით“ კი თავის მართლების სამარცხვინო მიზეზია.**



დაკავშირებული დიალოგის საორგანიზაციო საკითხები უნდა მოეგვარებინათ. მაგრამ ეს პროცესი შეაჩერა საბერძნეთისა და რამდენიმე სხვა ევროპული ქვეყნის წინააღმდეგობამ, რომლებსაც არ სურდათ ამ ნაბიჯით რუსეთის გალიზიანება. მოგვიანებით კი აგვისტოს ომმა ეს ინიციატივა საერთოდ ჩაშალა.

ამის პარალელურად, 2008 წლამდე ევროპამ 30 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა კონფლიქტის ზონების გარშემო რეგიონების რეკონსტრუქციისთვის, მაგრამ ამ კონფლიქტებთან დაკავშირებული პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად არაფერი გაუკეთებია. დღეს კი სამხრეთ ოსეთში ევროკავშირის ფულით აღდგენილი სკოლების დიდი უმრავლესობა ნანგრევებადაა ქცეული. აი, რა ხდება, როცა ცხელ წერტილებში ფულის ჩადება პო-

შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირების საშიშროება მინიმუმამდე შემცირდებოდა. ამის დანახვა შეუძლებელი გახდა მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან. ამავეს ამბობდა მრავალი ადამიანი ომამდეც (მათ შორის, სხვადასხვა ევროპული ორგანიზაცია).

საბოლოო ჯამში, ევროკავშირის მოუწონია, ერთი და იგივე საფასური ორჯერ გადაეხადა. თუკი 2005 წელს მან რუსეთის გაბრაზების შიშით უარი თქვა საქართველოში 150-კაციანი მისიის გაზავნაზე, 2008 წელს 300 მონიტორი მიავლინა და თითქმის მილიარდი ევრო გადაუხადა საერთაშორისო ფონდს ომის მატერიალური ზარალის აღსადგენად. გარდა ამისა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ცივი ომის შემდეგ არნახული კრიზისი წარმოშვა.

კა არ არის. კრიზისი ევროპის ისეთ ახლომდებარე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, მხოლოდ დაძაბავს ურთიერთობას ევროკავშირსა და რუსეთს შორის. ევროპამ ყველაფერი უნდა გააკეთოს რეგიონში სტაბილურობის აღსადგენად, რითაც სათანადო ფონს შექმნის რუსეთთან და სხვა აღმოსავლელ პარტნიორებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად. კონფლიქტების იგნორირება ყველასთვის საზიანოა. კონფლიქტები უნდა ვაკონტროლოთ და თავიდან ავიცილოთ. „უმოქმედობა რუსეთის გალიზიანების შიშით“ კი თავის მართლების სამარცხვინო მიზეზია.

■ კონფლიქტის პრევენცია საქართველოში უკვე დაგვიანდა. მაგრამ ჯერ კიდევ არის ამის შანსი მთიან ყარაბაღში, დნესტრისპირეთსა და ყირიმში. ამ ორ უკანასკნელ რეგიონში ომის საფრთხე

**■ ახლა უკვე ძნელია ვარაუდების გამოთქმა, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ აგვისტოს ომამდე კონფლიქტის ზონების მიდამოებში საერთაშორისო (ვგულისხმობ ევროკავშირის) მონიტორინგის არსებობის შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირების საშიშროება მინიმუმამდე შემცირდებოდა.**



■ გორის დატოვებისას, აგვისტო 2008

ლიტიკური სტრატეგიით არაა ზურგგამაგრებული (იმავე პრობლემას – ოლონდ ბევრად უფრო დიდი მასშტაბით – ვაწყდებით ავღანეთსა და ერაყში, სადაც ინფრასტრუქტურის აღდგენას ან ელექტროენერჯის გაყვანას არანაირი აზრი არ აქვს, თუ უსაფრთხოების გარანტიები არ იქნება).

ახლა უკვე ძნელია ვარაუდების გამოთქმა, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ აგვისტოს ომამდე კონფლიქტის ზონების მიდამოებში საერთაშორისო (ვგულისხმობ ევროკავშირის) მონიტორინგის არსებობის

აქედან გამომდინარეობს მარტივი დასკვნა, რომელსაც კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერ სახელმძღვანელოში ამოიკითხავთ: კონფლიქტის პრევენცია უფრო იაფი და საშური საქმეა, ვიდრე ომის შედეგების აღმოფხვრა. თავად ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია გვეუბნება, რომ ევროკავშირი „კრიზისის წარმოქმნამდე უნდა იყოს მზად მოქმედებისთვის. კონფლიქტის პრევენცია არასოდეს არის ნადრევი“. უფრო კონკრეტულად კი, შემდეგი გაკვეთილები მივიღეთ:

■ უმოქმედობა „რუსეთის გალიზიანების“ შიშით გონივრული პოლიტი-

საკმაოდ მცირეა. ამიტომაც კონფლიქტის სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით მოგვარება ევროკავშირისთვის უფრო მისაღები სტრატეგია იქნება.

■ ევროკავშირის მისია საქართველოში კიდევ დიდხანს უნდა დარჩეს. მაგალითისთვის, მშვიდობისმყოფელთა საერთაშორისო ძალები კვიპროსზე 35 წელიწადს იდგნენ. სწორედ ეს დრო დასჭირდა ჭრილობების მოშუშებასა და მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგის გასამართავად საჭირო პირობების შექმნას. ■

რეპორტაჟი კონფლიქტის ზონიდან

# რუსულ საგუშაგოებს შორის

ქართული სოფელი პერევი რუსებმა ბუფერულ ზონად აქციეს. ორ საგუშაგოს შორის მოქცეულ მოსახლეობას მეზობელ საჩხერეში ჩასასვლელად პასპორტები სჭირდება.


ეკა ქადაგიშვილი

რამდენიმე წუთით იხსნება და „საზღვარი“ გადაკვეთილია.

საგუშაგოს მიღმა ნახევრად გადახურული სამორიგო ჯიხურია. ჩამქრალი კოცონის გვერდით დასანთებად გამზადებული შეშა ყრია. საგუშაგოზე მიძიმე ტექნიკა არ დგას, თუმცა ტანკების ნაკვალევი მდინარე ყვირილას პირას ჯერ კიდევ არ ნაშლილა. საგუშაგოზე უცნაური სიჩუმეა, ისევე როგორც მთლიანად სოფელში. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს პერევი ცარიელია.

მანქანის ხმის გაგონებაზე სახლებიდან ხალხი ნელ-ნელა გამოდის. ბევრი მათგანი სატვირთო მანქანას ფეხით მოჰყვება.

ოკუპირებულ სოფელში საერთაშორისო



რუსული საგუშაგო პერევის შესასვლელში, ოქტომბერი 2009

ფოტო ანა კადაგიშვილი

ფოტო ანა კადაგიშვილი

სოფელი პერევი საჩხერის რაიონის ეკუთვნის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარს დასავლეთიდან ესაზღვრება. პერევიდან ორ კილომეტრში სოფელი სინაგურია, რომელიც სამხრეთ ოსეთის რეგიონულ ცენტრს, ჯავას საავტომობილო გზით უკავშირდება. აგვისტოს ომის დროს პერევის შესასვლელი რუსულმა რეგულარულმა არმიამ და სამხრეთ ოსეთის სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს. მას შემდეგ სოფელი ოკუპირებულია. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია პერევის „ბუფერულ ზონად“ მიიჩნევენ და ამიტომაც სოფლის ორივე ბოლოს სახელდახელოდ აშენებულ „სასაზღვრო პუნქტებს“ ახლა ყვე-

ლა საერთაშორისო ნორმისა და შეთანხმების დარღვევით რუსი ჯარისკაცები ამაგრებენ.

პირველი რუსული საგუშაგო პერევის შესასვლელში, მდინარე ყვირილას პირას დგას. რუსებისთვის აქედან ბუფერული ზონა იწყება. გაერო-ს სატვირთო მანქანის მიახლოებისას ორი მორიგე რუსი ჯარისკაცი ფეხზე დგება და გზას კეტავს. ახალგაზრდა ლეიტენანტი გაერო-ს თანამშრომლის ნარდგენილ სიას კითხულობს, მისი მენყვილე რიგითი კი ჰუმანიტარული პროდუქტით სავსე სატვირთო მანქანას ამოწმებს. სიაში გაერო-ს ორი თანამშრომლის და ორი ჟურნალისტის გვარია. პასპორტებს არ ამოწმებენ. პერევი შესასვლელი გზა

სო ორგანიზაციებს ყოველთვიურად ერთ კაცზე 9 კილოგრამი ფქვილი, 600 გრამი შაქარი, 600 გრამი ზეთი და 1.50 კილოგრამი ლობიო შეაქვთ. ოქტომბრის თვის დახმარება პერევიში 860-მა ადამიანმა უნდა გაიყოს. გაერო-ს სატვირთო მანქანა გაბაძებთან ჩერდება. კაცები პროდუქტის ჩამოტვირთვას იწყებენ, ქალები სტუმრებს შემწვარი ნაბლითა და მაჭრით უმასპინძლებიან.

ჰუმანიტარულ დახმარებაზე მოთხოვნა დიდია. რამდენიმე წუთში გაბაძების სახლის ეზო ხალხით ივსება და ხმამაღალი საუბარი მაჭულობს. „ყველას ეყოფა!“ – არწმუნებს მოსახლეობას სოფლის რწმუნებული დიანა ბერიძე.

ჩაკეტილ სოფელში მოსახლეობის შე-

მოსავლის წყარო პენსიონერებისთვის პენსიაა, დანარჩენებისთვის სოციალური დახმარებები და საჩხერის რაიონში გაყიდვითი ნაბილი. პერეველების მდგომარეობა ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ გაუარესდა. განყდა სავაჭრო ურთიერთობები ოსურ სოფლებთან. ხალხს სასურსათო მარაგი არ აქვს და ამ ზამთარშიც, ისევე როგორც გასულ წელს, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების ამარა რჩება.

პერევეს ქალათემის რწმუნებული დიანა ბერიძე მართავს. სოფელში ქართული პოლიცია ვერ შედის. პერევე ფაქტობრივად სახელმწიფოს მიღმა დარჩენილი.

„როდესაც ოკუპირებულ სოფელში ცხოვრობ, იცი, რომ ვერავინ დაგიცავს, მხოლოდ შენი თავის იმედი გაქვს“, – ამბობს პერევის მცხოვრები ლია გაბაძე.

ადგილობრივებიდან არავინ ადასტურებს მასმედით რამდენჯერმე გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს რუსეთის ფედერაცია აქ მოსახლეობას პასპორტებს ურიგებს. პერეველები ამბობენ, რომ მათ სოფელში ასეთი რამ არ ყოფილა. თუმცა სმენიან, რომ პასპორტებს სთავაზობენ იმ ქართველებს, რომლებიც თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

სოფლის მეორე ბოლოზე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარი გადის. საგუშაგოზე აქაც რუსი ჯარისკაცები დგანან. საგუშაგოს მიღმა ოსური სოფლები – სინაგური, თელეთი, ჯალაბეთი, პანტევი, ზემო და ქვემო ქარძმანია. ომამდე ამ სოფლების მაცხოვრებლებს პერევეთან მჭიდრო კავშირი და თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდათ.

„ომამდე ისეთი ბედნიერები ვიყავით. ოსებთან ვემგობრობდით. სინაგურში საზაფხულო საძოვრები მაქვს. ახლა იქით ვეღარ გადავდივარ და ჩემი მიწებით ვერ ვსარგებლობ. არ ვიცი, წელს როგორ გამოვიზამთრებთ“, – ამბობს ოლიარე ქუტიძე, რომელმაც ჰუმანიტარული პროდუქტის მისაღებად რიგი ადრიანად დაიკავა.

„რაც რუსი ჩადგა, აქ ოსი აღარ ჩამოდის. არადა, ჩვენ, ჩვეულებრივ ხალხს უამრავი ოსი მეგობარი გვყავდა. ომის შემდეგ ერთმანეთი აღარ გვიხახავს“, – ამბობს შუახნის პერეველი მამაკაცი, რომელიც მდინარე ყვირილაზე გადებული ხის ხიდზე გვაცხლებს. მარცხნივ პერევია, მარჯვნივ ჯავის რაიონი იწყება. აქ საზღვარს არავინ აკონტროლებს. „ეს უკვე ოსეთის ტერიტორიაა, – ხიდზე გადასვლისთანავე ამბობს გამცილებელი, – აქ ჩვენ უსაფრთხოებას არავინ იცა-

ვს, თუმცა გადმოსვლა მაინც გვინევს“. ამ ტერიტორიაზე წყლის რეზერვუარი დგას, რომლითაც სოფლის რამდენიმე უბანი მარაგდება და შეკეთება ხშირად სჭირდება.

მათთვის, ვისი სახლიც ორ რუსულ საგუშაგოს შორის აღმოჩნდა, მთავარი პრობლემა გადაადგილებაა. „წარმოიდგინეთ, ვზივარ ავტობუსში და მივდივარ საჩხერეში. რუსები საგუშაგოზე გვაჩერებენ, პასპორტს გვიმონებენ და გვჩხრევენ. რად მინდა პასპორტი საჩხერეში წასასვლელად, სხვა ქვეყანაში ხომ არ მივდივარ!“ – ამბობს დალი ხარჩილაძე.

საჩხერეში სიარული ხშირად უნვეთ სკოლის მოსწავლეებს. „იქ ცეკვაზე და-

ბა ახსენდება. მისი თქმით, მშობლების უმრავლესობას წიგნების საყიდელი ფული არ აქვს.

ოსი ანელი ბაზაევი და ქართველი ჯიმშერ გულიტაშვილი დიდი ხნის მეზობლები არიან.

„დაბადებული ვარ ოსეთში, გავრდილი ქართველებში. ოსურად სიტყვა არ ვიცი. ხანდახან „მესპორებიან“ ოსი კაცი ხარ და ოსური არ იციო“, – ამბობს ანელი ბაზაევი. საუბარში ჯიმშერ გულიტაშვილი ერთვება: „ჩვენ ძმები ვართ, ერთმანეთს პატივს ვცემთ, ვილაცას რალაც აწყობს ან არ აწყობს, ჩვენი რა ბრალია“.

„მართალია, უბრალო ხალხი ვართ, მაგრამ ერთმანეთს ყველაზე კარგად ჩვენ



ფოტო: ანა კალაშნიკოვა

■ ჰუმანიტარულ დახმარებას ყველა ელოდება, ოქტომბერი 2009

ვდივარ და ერთხელ პასპორტი სახლში დამჩრა. რადგან სკოლის მოსწავლე ვიყავი, მაპატიეს; მეორედ არ განმეორდესო, – გამაფრთხილეს რუსებმა და იმ ჯერზე გამიშვეს, – ჰყვება 13 წლის სალომე გულიტაშვილი, – გულის სიღრმეში მაინც გვემინია. ღამე გარეთ არ გამოვდივართ. ქვევით რუსები, ზევით რუსები, გვემინია მაინც“.

მიუხედავად სირთულეებისა, სოფლის დატოვებას არავინ გეგმავს. ვინც პერევიდან ომის დროს წავიდა, მალე უკანვე დაბრუნდა. „თავიდან საჩხერეში ვერ მივდიოდი, რუსების მეშინოდა“, – ამბობს 13 წლის ილა ლაბაძე, და პრობლემებზე საუბრისას პირველი მაინც სახელმძღვანელოების ნაკლებობ-

ვუგებთ, ეს მთავარია“, – პასუხობს ბაზაევი.

ბაზაევის ოჯახს პერევი არც ომამდე, არც ომის დროს და არც ომის შემდეგ არ დაუტოვებია. „ჩვენთვის არაფერი შეცვლილა. ქართველებთან ისევე ვემგობრობთ, როგორც ადრე და ისევე ოკუპირებულები ვართ, როგორც ქართველები. თუმცა კავშირები განყდა სინაგურში მცხოვრებ ოსებთან. არადა, ომამდე ჭირშიც და ლხინშიც ერთმანეთს გვერდში ვედექით“, – გვიხსნის ოჯახის დიასახლისი მანანა თადიევი.

ანელი და ჯიმშერი მშვიდობის სადღეგრძელოს სვამენ და გვემშვიდობებიან:

„ნახვამდის!“ – ამბობს ჯიმშერი, „ფანდარასტ“, – მორცხვად ამბობს მანანა. □



# ხოდორკოვსკი – მედვედევის ტესტი

ინტერვიუ პროფესორ  
ტიმოთი კოლტონთან

ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსეთისა და ევრაზიის კვლევის დევისის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ტიმოთი კოლტონი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის პოლიტიკას იკვლევს. ამ თემაზე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: „იდუმალი მისტერ პუტინი“ (2007), „არიან თუ არა რუსები არადემოკრატები“ (2001), „პოსტკომუნისტური რუსეთი, საერთაშორისო გარემო და NATO“ (2008). პროფესორი კოლტონი რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის, ბორის ელცინის ბიოგრაფიის ავტორია („ელცინი: ერთი სიცოცხლე“, 2008).

**რა ტიპის ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ დიმიტრი მედვედევისგან და რამდენად მნიშვნელოვან შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ცვლილებებმა?**

მიმაჩნია, რომ საკმაო ძალაუფლება აქვს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ის რევოლუციონერია. არც იმას ვფიქრობ, რომ რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია.

პირველ რიგში, მისი ამოცანაა, არ გაიმეოროს 80-იანი და 90-იანი წლების შეცდომები. ვგულისხმობ პოლიტიკას, რომელმაც ბევრი რუსის აზრით, ტრაგიკული შედეგი – დიდი იმპერიის დაშლა გამოიწვია. მედვედევი არ დაგეგმავს არც ერთ რეფორმას, რომელმაც, შესაძლოა, რუსეთის დანაწევრება ან რეგიონში მისი გავლენის შემცირება გამოიწვიოს. ამის დასტურია ისიც, რომ დიმიტრი მედვედევი ხაზგასმით უჭერს მხარს პუტინის გადაწყვეტილებას, რეგიონული მმართველები ცენტრიდან დაინიშნონ. ვფიქრობ, რუსეთის დანაწევრების შანსი გადაჭარბებულია, მაგრამ ამ საფრთხის რუსეთში ბევრს ეშინია.

რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია, თანაც ისე, რომ ეს არავის შეუთანხმოს. მას შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი ინიციატივები, შეუძლია ვეტო დაადოს გადაწყვეტილებებს, რომელსაც არ ეთანხმება; ასევე გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობა მნიშვნელოვანი ინიციატივების მიღების უფლებამოსილებას, როგორც წესი, ყოველთვის ხელისუფლებას ანიჭებს. ხალხი ყოველთვის არ ეთანხმება ხელისუფლების პოლიტიკას, მაგრამ ეს გარკვეულწილად რუსული ტრადიციაა, რომ ცვლილება ყოველთვის ზევიდან უნდა მოდიოდეს.

თუმცა, ამ დრომდე მედვედევის



ფოტო: სანტა სარაულიძე

**■ ხოდორკოვსკის საქმეზე საკუთარი პოზიციის გამოხატვით შეუძლია მედვედევს თამამი განაცხადის გაკეთება, იმის სრული გააზრებით, რომ ამას პრემიერ-მინისტრთან პირადი კონფლიქტი მოჰყვება.**

მთავარ ამოცანად სტაბილურობის შენარჩუნება რჩება. მისი განცხადებების მიხედვით თუ ვიმჯღელებთ, მან კარგად იცის, რისი გაკეთება არ უნდა, თუმცა ძალიან ბუნდოვანია, თუ რისი გაკეთება სურს. ვფიქრობ, მედვედევი ასე დიდხანს ვეღარ გააგრძელებს. უკვე ბევრი სვამს კითხვას – ბოლოს და ბოლოს, გააკეთებს თუ არა რამეს ეს კაცი? ორმაგი მმართველობა,

პუტინთან ძალაუფლების გაყოფა – ეს პროცესი ძალიან ჩაიხლართა და დროთა განმავლობაში ის მხოლოდ გართულდება.

**რა სამი ნაბიჯი უნდა გადადგას მედვედევა, თუ მას სურს, რომ ერთპიროვნულ მმართველად იქცეს?**

პირველი – ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესებაა. ჩაკეტილი ცინესიმაგრა, მუდმივი ზენოლის კლიმატი – ეს ძალიან ცუდი პირობებია შიდა პოლიტიკური ცვლილებებისთვის. ამის გამოსასწორებლად პრეზიდენტმა ჯერ საიმედო საგარეო პარტნიორებზე და საკუთარი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე უნდა იზრუნოს. მედვედევს გაუმართლა, რომ ამერიკას ახალი პრეზიდენტი ჰყავს, თანაც ისეთი, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება სურს. მან ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენოს.

მეორე – ზოგადად სამართლიანობა და კონკრეტულად ხოდორკოვსკის

საქმე. მედვედევს დრამატული და ხმამაღალი განაცხადის გაკეთება შეუძლია, თუ ამ გზას აირჩევს. თუმცა, ეს საკმაოდ რისკიანი გზაა.

2003 წლის შემდეგ მიხეილ ხოდორკოვსკი პასუხისმგებელია მიცემული და გასულ წელს მას კიდევ ახალი ბრალი წაუყენეს. ერთია, როცა სახელმწიფოს მოტყუებისთვის ვინმეს სამაგალითოდ დასჯი, მაგრამ სულ სხვაა, როცა აცხადებ, რომ ეს იმდენჯერ შეგიძლია გააკეთო, რამდენჯერაც მოინდომებ. ბევრი ლიბერალი რუსი ფიქრობს, რომ ხოდორკოვსკის საქმეს სტალინისდროინდელი ენ-კა-ვე-დე-ს სუნი ასდის.

მედვედევს შეუძლია, ხოდორკოვსკის მეორე სასამართლო საქმე შეაჩეროს. რა თქმა უნდა, იურიდიულად საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს მაინც პოლიტიკური საკითხია. ვფიქრობ, მედვედევსთვის მთავარი სირთულე ვლადიმირ პუტინია. სწორედ მისი პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს დაიწყო ბრძოლა ოლიგარქების წინააღმდეგ. მას ამ თემაზე ბოლო დროს კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ხოდორკოვსკის მიმართ ნებისმიერი ჰუმანური აქტის სასტიკი წინააღმდეგი იქნება. სწორედ ამ საქმეზე საკუთარი პოზიციის გამოხატვით შეუძლია მედვედევს თამამი და დრამატული განაცხადის გაკეთება, იმის სრული გააზრებით, რომ ამ განაცხადს პრემიერ-მინისტრთან პირადი კონფლიქტი და არაპროგნოზირებადი შედეგები მოჰყვება.

მესამე – ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკური საკითხები პრემიერ-მინისტრისა და მისი მთავრობის მოსაგვარებელია, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო, ამ პროცესებში პრეზიდენტიც აქტიურადაა ჩართული. ისიც გამოჩნდა, რომ მედვედევს თამამი იდეები უფრო ეკონომიკის საკითხებში აქვს, ვიდრე პოლიტიკურში. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი ყველაზე თამამი საქციელი მას სწორედ ამ სფეროში შეიძლება გამოუვიდეს. ვლადიმირ პუტინმა პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო კორპორაციების შექმნის შესახებ. ეს სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების საერთო ტალღის ნაწილი იყო. ეს კორპორაციები არ არის სამთავრობო სტრუქტურა, როგორც, მაგალითად სამინისტრო, მაგრამ მათი სრული ან ნაწილობრივი მფლობელი სწო-

რედ სახელმწიფოა. კორპორაციების საქმიანობამ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სფერო მოიცვა – დანყებული ნავთობის მოპოვებით, დასრულებული მანქანათმშენებლობითა და სოჭის ოლიმპიადისთვის ინფრასტრუქტურის მომზადებით. ამ კომპანიების უმეტესობა ეკონომიკური თვალსაზრისით უაღრესად არაეფექტურია – ისინი სახელმწიფო სუბსიდიებს იღებენ, და თავისუფალ საბაზრო გარემოს ვერ უძლებენ. მაგრამ რას ვიზამთ – ეს კორპორაციები „პუტინის პროექტის“ ნაწილია. საინტერესოა, რომ საჯარო გამოსვლებში მედვედევმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ არ ესმის, რა საჭიროა ამდენი სახელმწიფო კორპორაციის არსებობა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში რატომ არ არის მეტი კერძო მფლობელობა. სწორედ ამ სფეროში შეუძლია მას თამამი თამაში. მას შეუძლია იპოვოს კერძო მფლობელები ამ კორპორაციებისთვის და გაასხვისოს ისინი. მაგრამ, აუცილებელი პირობაა, რომ მან ეს გამჭვირვალედ და კანონის სრული დაცვით გააკეთოს – და არა ისე, როგორც ეს ერთხელ 1990-იან წლებში უკვე მოხდა. მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა არც ისე იოლია – ჯერ ერთი, ეკონომიკა ჯერ კიდევ სუსტია და ინვესტორების პოვნა რთული იქნება; მეორეც, კორპორაციების კერძო მფლობელობაში გადასვლა მათ ოპტიმიზაციასაც ნიშნავს, რის გამოც, ბევრი ადამიანი სამუშაოს დაკარგავს – წინასაარჩევნოდ კი ეს მედვედევსთვის საკმაოდ სახიფათო იქნება. ვფიქრობ, რომ მედვედევმა უნდა გარისკოს და ეს პროცესები დაიწყო, რადგან ეს მიანიშნებს რომ ის მართლაც მზად არის მოდერნიზაციისთვის და ისეთ სისტემაზე გადასვლისთვის, სადაც სახელმწიფო აღარ იქნება ყველგან და ყველაფერში ჩართული.

**10 სექტემბერს რუსულ პორტალზე „გაზეტა-რუ“ გამოქვეყნდა პრეზიდენტ მედვედევის წერილი „როსია, ვპერიოდ“ („წინ, რუსეთო“), სადაც ის საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს მთავრობის მუშაობას და ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას „არაღმსაყვარელებელს“ უწოდებს. რატომ „გაზეტა-რუ“?**

ვფიქრობ, ამ არჩევანს რამდენიმე ახსნა აქვს. პირველ რიგში, იმისათვის, რომ ეს წერილი სატელევიზიო გამოსვლად ექცია, გაცილებით მეტი კონკრეტულობა იყო საჭირო, ვიდრე მას ალბათ ამ ეტაპისთვის სურდა. მეო-

რეც, მედვედევი განსხვავდება პუტინისგან, რომლისთვისაც ხალხთან დიალოგი მხოლოდ ტელევიზიით და სატელეფონო ჩართვებითაა შესაძლებელი. მედვედევი ბევრად ახალგაზრდაა და ეს მის საკომუნიკაციო მეთოდებს ეტყობა – მას აქვს ბლოგი, რომელიც ბოლო დროს საკმაოდ პოპულარული გახდა. ვფიქრობ, ინტერნეტი მედიასაშუალებებს შორის მისთვის პრიორიტეტულად პირველ ადგილზეა.

რატომ აირჩია მან ლიბერალური, თითქმის ოპოზიციური მედია გამოცემა „გაზეტა-რუ“? ვფიქრობ, მისი გზავნილი სწორედ კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებაზე იყო გათვლილი და ერთი წინადადებით ეს გზავნილი ასე უღერს: „მე მინდა, საქმე ცოტა სხვანაირად ვაკეთო, ვიდრე აქამდე აკეთებდნენ“.

**არის თუ არა ერთიანობა ვლადიმირ პუტინსა და დიმიტრი მედვედევს შორის, როცა საქმე კავკასიაში რუსეთის პოლიტიკას ეხება?**

თუ სამხრეთ კავკასიაზე ვსაუბრობთ, ალბათ ასეა. პრეზიდენტი ლოიალურია პრემიერ-მინისტრისადმი და ხელფეხშეკრულია იმ პოლიტიკით, რომელიც მის სათავეში მოსვლამდე იყო დეკლარირებული. სწორედ მან უბრძანა რუსეთის არმიას საქართველოზე თავდასხმა – რა თქმა უნდა, აქ პუტინის ხელიც ვერა, მაგრამ მთავარსარდალი ამ დროს სწორედ მედვედევი იყო; ასევე, სწორედ მედვედევს ხელმწიფრით აღიარა რუსეთმა ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის სტატუსი. და სწორედ მან განაცხადა, თანაც რამდენჯერმე, რომ არანაირ სიტუაციაში არ ექნება ურთიერთობა სააკაშვილის ხელისუფლებასთან.

**ეს ქმედებები და განცხადებები რამდენად არის მისი პირადი ინიციატივა და რამდენად – მხოლოდ არსებული პოლიტიკისადმი ლოიალურობა?**

ამის თქმა დაზუსტებით შეუძლებელია, თუმცა ვიცი, რომ 2008 წლის გაზაფხულზე ხელისუფლებაში ახლად მოსულ მედვედევს მართლაც ჰქონდა ინტერესი, რომ საქართველოსთან ურთიერთობებში პროგრესი ყოფილიყო. მას შემდეგ ინტენსიური საუბარი მიმდინარეობდა სამთავრობო დონეზე. ივნისში მედვედევი სააკაშვილს შეხვდა და შეთანხმდნენ, რომ ორივე მხრიდან შეიქმნებოდა სამუშაო ჯგუფები.

მედევედვის ხალხმა, როგორც ვიცი, საქართველოს დელეგაციას ასეთი პირობები გააცნო: პრეზიდენტი მედევედი დაინტერესებულია სიტუაციის განმუხტვით, რომელიც იმ დროისთვის უკვე საკმაოდ დაძაბული იყო, და ასევე მთავარ საკითხებზე საერთო ენის გამონახვით. ერთ-ერთი ამ საკითხებიდან, რა თქმა უნდა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება იყო. ნატო-ს სანაცვლოდ, მედევედი სააკაშვილს დაკარგულ ტერიტორიებთან ურთიერთობის დარეგულირებაში დახმარებას დაჰპირდა. არ იყო საუბარი რაიმე ხელშეკრულებაზე ან თუნდაც შეთანხმების ხელმოწერაზე, ეს უბრალოდ სიტყვიერი ურთიერთგაგება უნდა ყოფილიყო – მე ამას გავაკეთებ, სანაცვლოდ კი, შენ იმას გააკეთებ. რა თქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ასეთ შეთანხმებას მაშინ არ მოიწონებდა. რატომღაც სააკაშვილს სულ ჰგონია, რომ მას

უნდა, რუსეთი არასოდეს უღალატებს საგარეო პოლიტიკაში ძველ მიდგომას – „რაც გასაკეთებელია, უნდა გავკეთდეს – მიუხედავად იმისა, თუ ვის მოეწონება ეს, და ვის არა“. მაგრამ მეორე მხრივ, მგონი, მიხვდნენ, რომ საკუთარ იმიჯსაც უნდა მიაქციონ ყურადღება. დარწმუნებული ვარ, პი-არ კომპანიებს, რომლებიც რუსეთისთვის დასავლეთში მუშაობენ, კარგა ხნით ადრე დაევალებათ ამ ანგარიშისთვის ყურადღებით თვალის დევნება და მისთვის მზადება. ასე რომ, მგონია, რომ მაინც ადარდებთ. თუმცა, ანგარიში რომ ასეთი დაბალანსებული არ ყოფილიყო და კომისიას მხოლოდ რუსეთი დაედანაშაულებინა, მაშინ გაცილებით მეტად „დაადარდინებდათ“.

**შესაძლოა თუ არა, რომ გადატვირთვის ილიაკმა საქართველო იმსხვერპლოს?**  
ფიქრობ, რომ პრეზიდენტად დემოკრატების კანდიდატის მოსვლით

გაირკვა, რომ აგვისტოს ომის სააკაშვილისეული ვერსია არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ვფიქრობ, სწორედ მაშინ დაიწყო ვაშინგტონში მის შესახებ აზრის მნიშვნელოვანი გადაფასება. თუმცა, იმის საფრთხე, რომ საქართველო ამერიკისთვის უმნიშვნელო ქვეყანა გახდებოდა, არ არსებობს. საქართველოს სურს, ადრე თუ გვიან გახდეს ევრო-ატლანტიკური სივრცის ნაწილი – ამას ამერიკაც მხარს უჭერს. არ ვფიქრობ, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვლება. თუმცა, აზრი, რომ ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს ყველა პრობლემას ერთდროულად გადაჭრის, მგონი, უკვე დისკრედიტირებულია. ობამას ადმინისტრაციას არ სურს ამ საკითხის გამო ევროპელებთან ბრძოლა. მერკელიც დაბრუნდა გერმანიაში და, ობამას რომც უნდოდა, უახლოესი 5 წლის განმავლობაში ის მაინც უარს იტყვის ყველა ინიციატივაზე, რომლის მიზანიც საქართველოს ნატო-ში

■ მედევედვის ხალხმა, როგორც ვიცი, საქართველოს დელეგაციას ასეთი პირობები გააცნო: პრეზიდენტი მედევედი დაინტერესებულია სიტუაციის განმუხტვით, რომელიც იმ დროისთვის უკვე საკმაოდ დაძაბული იყო, და ასევე მთავარ საკითხებზე საერთო ენის გამონახვით.

შეიძლება ჰქონდეს ურთიერთგამომრიცხავი მიზნები, და ყველა ფრონტზე პროგრესს ერთდროულად მიაღწიოს – უკეთესი ურთიერთობები რუსეთთან, ნატო-ში გაწევრიანება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ამ ყველაფრის ერთდროულად მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და სააკაშვილმა ამის ფასიც გადაიხადა. ასე რომ, მედევედვის მხრიდან ურთიერთობების გაუმჯობესების ინტერესი საბოლოოდ უპასუხოდ დარჩა. ამ საკითხზე მუშაობა ქართულმა მხარემ შეაჩერა.

**ადარდებს თუ არა რუსეთს, რა დაწერეს ევროკავშირის მიერ დაქირავებულმა საგამოძიებო კომისიამ და ექსპერტებმა 1000-გვერდიან ანგარიშში?**

ფიქრობ, ადარდებს. რუსეთში კარგად იციან, რომ საქართველომ საკმაო წარმატებას მიაღწია ომის შესახებ მისი ვერსიის მედიაში გაშუქებით, განსაკუთრებით ამერიკაში. ისიც კარგად იციან, რომ რუსეთმა ამის გამო ძალიან ბევრი დაკარგა. რა თქმა

ბევრი რამ უკვე შეიცვალა. აღარ არსებობს ის ემოციური ინვესტიცია, რომელიც ბუშის ადმინისტრაციამ სააკაშვილში ჩადო. ვაშინგტონის დამოკიდებულება მის მიმართ საკმაოდ გაგრილდა. ალბათ შეამჩნევდით, რომ გაერო-ს ასამბლეაზე ვიზიტისას სააკაშვილს პრეზიდენტი ობამა არ შეხვდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე ძალიან ცდილობდა ამ შეხვედრის მოწყობას. სააკაშვილს ნილად ჰილარი კლინტონთან შეხვედრა ერგო და დარწმუნებული ვარ, სრულიად გააზრებულადაც, იმისათვის, რომ მისთვის რაღაც დისტანცია ეგრძნობინებინათ. ვფიქრობ, ამერიკის პოლიტიკა ზეტმეტად იყო დაკავშირებული პირადად სააკაშვილთან და ეს დიდი შეცდომა იყო. ურთიერთობა ქვეყანასთან უნდა დაამყარო და არა ერთ კონკრეტულ ლიდერთან. ეს შეცდომა ცოტა ხნის წინ გამოსწორდა. ამიტომაც, ფიქრობ, რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის გარეშე, აშშ-საქართველოს ურთიერთობაში რაღაცები შეიცვლებოდა. როცა

გაწევრიანებაა. შესაძლოა, საქართველომ მხოლოდ ერთ ვარიანტზე იმაზე მეტი ფსონი დადო, ვიდრე საჭირო იყო. თუ თქვენ გინდათ, ევროპის ნაწილი გახდეთ, აუცილებლად გახდებით. ამას ხელს რუსებიც კი ვერ შეუშლიან. ახლა ამერიკელებს უნდათ საქართველოში ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა იხილონ. მათ უნდათ, სააკაშვილმა საკუთარი ვადა ამოწუროს, რადგან ის არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლებაში. 2013 წელს კი მან ძალაუფლება მშვიდობიანად უნდა დათმოს, ქვეყანა ეკონომიკური ზრდის გზაზე უნდა დაბრუნდეს, ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს – გზები, განათლება – ყველა სფეროში ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ამერიკელები ელიან, რომ საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ნატო-ში გაწევრიანების ამბიციას რამდენიმე წლით თაროზე შემოიკლავს – ამაზე ცუდს საქართველო ამერიკისგან არ უნდა ელოდოს. ჩვენი მხარდაჭერა პრაგმატული ხდება. **■**

სოფო ჭავჭავაძე





■ თბილისის საკრებულო

თვითმმართველობის არჩევნები

# სუბარის ახალი მოედანი

მოახერხებს თუ არა სუბარი, თბილისის საკრებულო კვლავ ქვეყნის პოლიტიკურ ეპიცენტრად აქციოს?

სოფო ბუკია

„ჩვენ რთული ბრძოლა გამოვიარეთ, ამ საკრებულოს მუშაობა რომ დაეწყო. დღეს შევარდნაძის რეჟიმის დასასრულის დასაწყისია. უნდა შეწყდეს უზნეობა, მომავლის იმედის დაკარგვა. ჩვენ ეს უნდა დავამთავროთ“, – ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილმა 2002 წლის 4 ნოემბერს წარმოთქვა, როცა 27 ხმით ორის წინააღმდეგ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

„საკაშვილმა ყველაზე კარგად იცის, რომ თუ წააგებს თბილისს, მაღეის წააგებს მთელს საქართველოს. თვითმმართველობაში ჩვენი მოსვლის დღიდან სააკაშვილის მმართველობა ქვეყანაში დამთავრდება. ეს გარდაუვალია“, – განაცხადა სოზარ სუბარმა

„ლიბერალთან“ ინტერვიუში მას შემდეგ, რაც 22 სექტემბერს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე „ალიანსის“ კანდიდატად წარადგინეს.

შესაძლოა, პარალებების გავლენა ჯერ ძალიან ადრეა. არჩევნები, რომლის მოგებასაც სუბარი აპირებს, ოფიციალურად დანიშნულიც კი არ არის, მაგრამ სუბარი დღეს იგივე გამონწვევის წინაშეა, რაც სააკაშვილს 7 წლის წინ ჰქონდა. მან ერთი შეხედვით უმნიშვნელო თანამდებობა პოლიტიკურ ტრამპლინად აქცია.

ეს პოსტი „ჯადოსნური“ ყველასთვის არ არის. ამბიციურმა სააკაშვილმა თავად შექმნა სახელმწიფო მოხელე, რომელიც ერთი მხრივ თბილისელებს

ლიფტებსა და სახურავებს ურემონტებდა, მეორე მხრივ კი საქართველოს მოსახლეობას არწმუნებდა, რომ საგარეო პოლიტიკაც კარგად ესმის და თამამი გადაწყვეტილებების მიღებაც შეუძლია.

საკრებულოს ახალგაზრდა, ჰიპერაქტიურმა თავმჯდომარემ შევარდნაძის ერთგულ, კონსერვატიული ტიპის ჩინოვნიკს – ვანო ზოდელაეას სწრაფად მოუგო. მომავალმა პრეზიდენტმა დაინიშნული მერის პოსტი ამომრჩევლების თვალში სიმბოლურ თანამდებობად აქცია და დედაქალაქზე სრული კონტროლი ფაქტობრივად 2002 წლიდან მოიპოვა.

აპოლიტიკური თანამდებობის პოლიტიკური ბრძოლის ტრამპლინად გამოყენების გამოცდილება სოზარ სუბარს უკვე აქვს. მისი, როგორც

**ერთი შეხედვით, მან პოლიტიკური პარტნიორები იოლად იპოვა, თუმცა ის ისეთივე მარტოხელა მოთამაშედ დარჩა, როგორც მანამდე იყო. რეიტინგების დაჯამებისთვის შექმნილ ერთობას, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ ერთი კონკრეტული ბრძოლისთვის შედგა, საერთო იდეოლოგიური საფუძველი არ გააჩნია.**

პოლიტიკოსის, დივიდენდები და დღევანდელი მაღალი რეიტინგიც სახალხო დამცველის პოსტზე ყოფნის შედეგია. მიუხედავად მმართველი ელიტის კრიტიკისა, სუბარი არ მორიდებია მწვავე პოლიტიკურ თემებზე საკუთარი პოზიციის გამოხატვას. ომბუდსმენმა ჯერ კიდევ ამ პოსტზე ყოფნისას მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალში მისი ადგილი პოლიტიკაში უნდა ყოფილიყო. სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადის ამონურვიდან ზუსტად ექვს დღეში იგი ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

ერთი შეხედვით, მან პოლიტიკური პარტნიორები იოლად იპოვა, თუმცა ის ისეთივე მარტოხელა მოთამაშედ დარჩა, როგორც მანამდე იყო. რეიტინგების დაჯამებისთვის შექმნილ ერთობას, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ ერთი კონკრეტული ბრძოლისთვის შედგა, საერთო იდეოლოგიური საფუძველი არ გააჩნია. „რესპუბლიკელები“ და მით უფრო „ახლები“ სუბარის გარანტირებული დასაყრდენი ხანგრძლივ პოლიტიკურ ბრძოლაში ვერ იქნებიან. სუბარისთვის, როგორც ლიდერისთვის, მთავარია, გუნდი დაეხმაროს მას და არა „ალიანსმა“ ისარგებლოს მისი პოპულარობით.

2002 წელს თბილისის საკრებულო ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრი გახდა. სააკაშვილი, როგორც ყველაზე მძაფრი დაპირისპირებების ინსპირატორი, მთავარ ფიგურად იქცა, თუმცა ოპონენტების დარტყმას ნაციონალების გუნდი ერთად იღებდა. დავით კეზერაშვილი, გიორგი არველა-

ძე, ირაკლი ოქრუაშვილი, რევოლუციის შემდეგ ყველაზე მაღალ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მოხვდნენ.

ასეთი თანაგუნდელების აუცილებლობას ვერ ხედავს სუბარი. ის ამბობს, რომ მომავალი საკრებულო „სხვა ტიპის და ღირებულებების“ ადამიანებით დაკომპლექტდება. ისინი არ იქნებიან „ერთი კაცის ყურმოჭრილი მონები და არ შეურიგდებიან ერთი კაცის მმართველობას“.

„ალიანსში“ ერთი ლიდერი მართლაც არ არსებობს. რეიტინგებით სუბარს უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, გუნდის მთავარი ფიგურა კი ალასანიას. თუმცა ალასანიას უჭირს თუნდაც მარტივ საკითხებზე საკუთარი პოზიციის გამოთქმა, თუ გუნდში ერთიანი აზრი არ არსებობს. ეს კი რთული მისალწევია, როცა ისეთ პოლიტიკურ გაერთიანებას ხელმძღვანელობ, რომელშიც, მონარქიული და საპარლამენტო მონყობის მომხრე, ორი რადიკალურად განსხვავებული პარტიაა.

არც სუბარს და არც ალასანიას აქტიური პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება არ აქვთ. მათ რეიტინგს არ გაუვლია სერიოზული გამოცდა – „ალიანსს“ ჯერ არც დიდი შეცდომა დაუშვია და არც მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის მიუღწევია. თუმცა არჩევნების მოახლოებასთან ერთად ორივე ლიდერი იძულებული გახდება, რეალურ პოლიტიკურ ფიგურად იქცეს. ამომრჩევლების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების წესში ირაკლი ალასანიას მოუწევს ყველაზე მეტი ცვლილების შეტანა. გაზაფხულის საპროტესტო აქციების დროს მან ხელიდან გაუშვა ხალხთან უშუალო ურთიერთობის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი. მისი ძლიერი მხარე – განონანსორებული დიპლომატი, რომელსაც „გარდიანის“ ფურცლებს უთმობენ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საკმარისი ვეღარ იქნება.

ხალხთან ურთიერთობისას თავს უფრო კომფორტულად გრძნობს სოზარ სუბარი, რომელიც „ხალხთან დგომის“ მორალურ ვალდებულებაზე ჯერ კიდევ 2007 წელს საუბრობდა, როცა 7 ნოემბერს ქუჩაში გასვლის საკუთარ გადაწყვეტილებას ხსნიდა.

თვითმმართველობის რგოლი, რომელიც პირველ რიგში ხალხთან ურთიერთობის ცოდნას მოითხოვს, ჯერჯერობით სოზარ სუბარის მოედანი უფროა, ვიდრე ირაკლი ალასანიასი. **■**



ფოტო თეიმურაზ ბარამიძისაა

სოზარ სუბარი



## ეკონომიკა

# უკიდებანო ლიბერალიზმს მიღმა

პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ეკონომიკური პოლიტიკის ახალი მოდელი თავდაყირა აყენებს დღეს მოქმედ საკანონმდებლო და პრაქტიკულ წესებს.

რევაზ საყვეარიშვილი



ფოტო: იმედი/სპ. ნიუსი

პრეზიდენტ სააკაშვილის „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ ჩემთვის რამდენიმე მიზეზით არის მნიშვნელოვანი. უპირველესი ის არის, რომ პირველად გავიგე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაცხადებული ეკონომიკური პოლიტიკის მოდელის შესახებ. ნ ოქტომბერს პრეზიდენტმა პარლამენტში პირველად განაცხადა ღიად, რომ ქვეყნის ეკონომიკის მოწყობის ლიბერტარია-

ნული ხედვა მისთვის ყველაზე მეტად მისაღებია.

ამ კონტექსტში ილია ჭავჭავაძის ხსენება და საპარლამენტო გზავნილის ამ მოდელით აგება ნათლად მიუთითებს, რომ პრეზიდენტს სურს, ხაზი გაუსვას, რომ ეს მოდელი საქართველოსთვის უფრო თავსებადია და პროგრესული.

ლიბერტარიანელობის მიმართ დამოკიდებულება რომ არაერთგვაროვა-

ნია, ამაზე ამთავითვე შევთანხმდეთ და სიღრმისეულ დისკუსიას წუ მოვყვებით. ამ მოძღვრების ბევრი პუნქტი აკადემიურ თუ პრაქტიკულ ეკონომიკურ წრეებში ისეთივე სადავოა, როგორც დღევანდელი ქართული ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები. თუმცა, ამ ხედვის მთავარ ეკონომიკურ მანიფესტად გამოტანა მიუთითებს, რომ ქვეყნის ეკონომიკაში კიდევ ბევრი



ცვლილება მოხდება, უამრავი ძალიან რისკიანი და თამამი ექსპერიმენტი განხორციელდება და თანაც, სავარაუდოდ, მოკლე ვადებში. ამიტომაც აბსოლუტურად უსაგნოა სააკაშვილის ინიციატივების ტრადიციული განქიქება და მათ არასისტემურობასა და პოპულისტურობაზე ლაპარაკი. მოგვონს თუ არა, ფაქტია, რომ „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ უკან ქვეყნის პირველი პირი დგას, რომელსაც ამ ეტაპზე სრულად კონტროლირებადი მთავრობა და გარანტირებული საპარლამენტო უმრავლესობა ჰყავს და ამ ინიციატივათა უმეტესობა უახლოეს ხანებში კანონებად, ანუ ახალი ცხოვრების მოდელად შეუძლია აქციოს.

ერთი რამ ცხადია – პრეზიდენტის მიერ პარლამენტში გამოთქმული ინიციატივები უსარგებლოდ აქცევს დღეს მოქმედ ბევრ ნორმას, რომლებიც ასეთივე ხმაურით, ეჭვებითა თუ ტაშისკვრით იყო მიღებული.

მაგალითისთვის საბიუჯეტო ინიციატივები ავიღოთ. სააკაშვილის ინიციატივით, კონსტიტუციურად უნდა განისაზღვროს, რომ საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან

იქნება არა უმეტეს 30%-ისა, ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 3%-ისა, ხოლო სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 60%-ისა.

ეს სამი თეზა თავდაყირა აყენებს დღეს მოქმედ საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ წესებს. ბიუჯეტის ხარჯები შემოსავლების (არა აქვს მნიშვნელობა, შიდა თუ საგარეო წყაროებიდან) მატების კვალობაზე მუდმივად იზრდებოდა. პრეზიდენტის ინიციატივამ ეს პრაქტიკა არ უნდა დაუშვას. ასევე უნდა გაუქმდეს 2007 წლის ბოლოს შემოღებული ის ნორმა, რომელიც ე.წ. უდეფიციტო ბიუჯეტის ცნებას ამკვიდრებს და ბოლო 2 წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს ამ პრინციპის შესაბამისად გეგმავს. დაბოლოს, საგარეო ვალის 60%-იანი თამასის დადგენა, რაც ამ სფეროში არსებულ მიმდინარე ვალების ქაოტურ ზრდას დასაშვებ ლიმიტს უწესებს.

ეს სამივე ათვლის წერტილი (benchmark) მასტრისხტის ხელშეკრულების ფუძემდებლური პრინციპების შესატყვისია. სწორედ ეს ზღვრული მონა-


ცემები დაუნესა ნაციონალურ ეკონომიკებს ევროპის კავშირმა. თავისთავად, ცუდი ნამდვილად არ არის, თუ საქართველო ამ პრაქტიკას დაამკვიდრებს (მით უფრო, ევროპასთან ინტეგრაციის ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში), მაგრამ სააკაშვილის „ეკონომიკური თავისუფლების აქტიდან“ ჩანს, რომ სტანდარტულ ევროპულ ყალიბში ქართული ეკონომიკის მოქცევა ამჟამინდელი ხელისუფლების არჩევანი ნამდვილად არ არის.

და ეს არა მინიშნებებით, არამედ პირდაპირ არის ნათქვამი. სააკაშვილმა პარლამენტში ლიად განაცხადა, რომ ბევრი ექსპერტის რჩევა, ქვეყანა პოლონური ან ჩეხური მოდელით განავითაროს, არ მიაჩნია ეფექტიანი და წარმატებული წინსვლის გარანტიად; მეტიც, პრეზიდენტის გამოსვლა მიუთითებს, რომ ქვეყანა არ აპირებს დანერგოს ის აუცილებელი ნორმები, რომელიც ევროპასთან ინტეგრაციის აუცილებელ პირობებად არის დადგენილი, მაგალითად, იგივე რეგულაციებისა და ნებართვების გამკაცრების მიმართულებით. პირიქით, სააკაშვილი დადგენილი ლიცენზიების და ნებართვების

■ **ლიბერტარიანელობა, რომლითაც გაჟღერებულია სააკაშვილის „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის არაეფექტიანობას და, უფრო მეტიც, დამლუპველობას ქადაგებს. აქედან გამომდინარე, მისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ხელის ფათურის გამორიცხვაა.**

# ეკონომიკური პოლიტიკის მორფოლოგია

კახა ბენდუქიძის ლიბერალური ეკონომიკიდან კახა ბენდუქიძის ლიბერალურ ეკონომიკამდე



**კახა ბენდუქიძე**  
ეკონომიკის მინისტრი  
2004-2007 წ



**ლადო გურგენიძე**  
პრემიერ-მინისტრი  
01.2008-11.2008 წ



**გიორგი მგალობლიშვილი**  
პრემიერ-მინისტრი  
11.2008-01.2009 წ



**ნიკა გილაური**  
პრემიერ-მინისტრი  
2009-დღემდე



**კახა ბენდუქიძე**

რაოდენობის გაზრდის აკრძალვის და მარეგულირებელი ორგანოების შექმნის უარყოფის ინიციატივით გამოდის. ეს მარტივ ენაზე ნიშნავს, რომ ქვეყანა, მაგალითად, არ გაამკაცრებს იმავე ფიტოსანიტარულ კონტროლს, რომლის გარეშეც, ქართული პროდუქცია ევროპულ ბაზარზე ვერ შედის და არ აღადგენს ანტიმოპოლიურ რეგულირებას, რაც ასევე ევროპელების დაჟინებული მოთხოვნაა.

ეს გეგმები ორგანულად ერწყმის იმ მოდელს, რომელსაც ხელისუფლებაში სულ უფრო ხშირად იმეორებენ და რომლის განხორციელების რეალობაშიც გვარწმუნებენ. მაგალითად, იმავე მთავრობის ეკონომიკური ბლოკის მინისტრებისგან არაერთხელ გამოვლინდა, რომ ამ ახალი რეფორმებით „საქართველო პოლიტიკურად უფრო მეტად დაუახლოვდება და ეკონომიკურად დასცილდება ევროკავშირს“. რამდენად ლოგიკური, დამაჯერებელი და რეალისტურია საკითხის ასე დაყენება, სხვა საუბრის თემაა. თუმცა, ხელისუფლებაში საკითხს ასე რომ აყენებენ და სავსებელი სერიოზულადაც, ფაქტია.

თუმცა, ნოვატორობის და ახლებური რეალობების შექმნის სურვილი რომ ძალიან დიდია, აშკარაა. ამაზე გადასახადების გაზრდის ან ახალი გადასახადების დაწესების გადაწყვეტილების მხოლოდ რეფერენდუმის გზით მიღების იდეის შემოტანაც ნათლად მიუთითებს. ეს იდეა მართლაც უნიკალურია და მას ანალოგი მსოფლიოში არ მოეძებნება. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამაზე საქართველომდე არავის ეფიქროს. შესაბამისად, აქ უფრო მეტად იმ არგუმენტების გაანალიზებაა საჭირო, რომელთა გათვალისწინებითაც სხვა ქვეყნებმა მსგავსი მოდელის შემოღებისგან თავი შეიკავეს. დასათვლიელია, რა რისკებს შეიცავს ეს იდეა და ამ ეტაპზე რეფორმატორულად წარმოჩენილი იდეა რეტროგრადულად ხომ არ იქცევა, თუ ქვეყნის ეკონომიკაში (შიდა თუ გარე ფაქტორების გამო) ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვლება და საგადასახადო კანონმდებლობის სერიოზულ შესწორებას მოითხოვს.

ზოგადად, ლიბერტარიანელობა, რომლითაც გაჟღერებულია სააკაშვილის „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის არაეფექტიანობას და, უფრო მეტიც, დამლუპველობას ქადაგებს. აქედან გამომდინარე, მისი ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი პრინციპი სახელმწიფოს

მიერ ეკონომიკაში ხელის ფათურის გამორიცხვაა. ამ მხრივ, სააკაშვილმა თავის აქტში ერთი საკმაოდ ნათელი მინიშნება გააკეთა. პრეზიდენტი კომერციულ ბანკებში სახელმწიფოს მიერ წილების ფლობის აკრძალვის ინიციატივით გამოდის. და ეს ღია სიგნალია საქართველოს ზრდის ლოკომოტივებისთვის – კომერციული ბანკებისთვის, რომ სახელმწიფო მათ გადარჩენას კაპიტალში შესვლით ან სულაც კომერციული ბანკების შესყიდვით არ აპირებს (ამით, სხვათა შორის, საქართველო ასევე ამბობს უარს ევროპასა და აშშ-ში ფინანსური კრიზისის პერიოდში დამკვიდრებულ მოდელზე).

მაგრამ სხვა მიმართულებებით საქმე ასე ნათლად და მკვეთრად არ დგას. მაგალითად, იგივე „იაფი კრედიტის“ პროგრამა, სრულიად არასაბაზრო სახელმწიფო ინსტრუმენტი, კვლავაც ძალაში რჩება; მეტიც, ამ სესხებს უკვე არა კომერციული ბანკები, არამედ ეკონომიკის სამინისტრო გასცემს, რაც აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია და იმ დროს აბრუნებს უკან, როცა აღმასრულებელი ხელისუფლება სამეურნეო ფუნქციებს ითავსებდა.

იგივე შეიძლება ითქვას ახალ „საბიუჯეტო კოდექსზეც“, რომლის მიხედვითაც, აღმასრულებელ ხელისუფლებას, შესაძლოა, მენარმეებზე და ფიზიკურ პირებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემის უფლება მიეცეს. ეს პროექტი პარლამენტში საგაისო ბიუჯეტის პროექტთან ერთად უკვე შევიდა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პრეზიდენტის მიერ დეკლარირებულ პრინციპს საფუძველივე ეწინააღმდეგება.

წინააღმდეგობები და შეუსაბამობები სხვაც ბევრია. იმავე პარლამენტში უკვე შევიდა კანონპროექტი, რომელიც, საქვეყნო დაწესებულების სახით, ფინანსური პოლიციის აღდგენას ითვალისწინებს, რომელსაც ეყოლება სპეცდანიშნულების რაზმი და მის თანამშრომლებს, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, ექნებათ ფიზიკური იძულებისა და სპეცსამუშაოებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება. ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, პირების დაკავებისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, საგამოძიებო სამსახურს უფლება აქვს, დაუბრკოლებლად შევიდეს ბინებში და ორგანიზაციების შენობებში. ასევე, ამ სამსახურს უფლება ექნება, განახორციელოს შემოწმების პროცედურები და-

სახლებულ პუნქტებში, მაგისტრალებსა და ტერიტორიულ წყლებზე.

კანონპროექტი კონსპირაციული თანამშრომლების ქსელის შექმნის შესაძლებლობასაც იძლევა. ასე რომ, ბიზნესმენებისთვის ერთ დროს თავზარდამცემი ფინანსური პოლიცია კვლავაც აღდგება. მართალია, ის არა მარეგულირებელი, არამედ მაკონტროლებელია, მაგრამ მისი აღდგენა ლიბერალიზაციის კონტექსტში მაინც რთულად ეწერება.

დაბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი გარემოება. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის გასაჯანსაღებლად რამდენიმე საკმაოდ ამბიციური გეგმა დაისახა. 2007 წლის ნოემბრის შემდგომ დაძაბულ პოლიტიკურ რეალობაში გლობალური კონკურენტუნარიანობის პაკეტი იშვა, რომელიც პრემიერ გურგენიძის კაბინეტს საკუთარი ხელმოწერით ჯერ კიდევ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ დაუმტკიცა. მეორე ვადით არჩეული სააკაშვილის პატრონაჟით ეკონომიკის გაჯანსაღების 50-დღიანი და 50-თვიანი პროგრამები უკვე პრემიერ მაგლობლიშვილისა და პრემიერ გილაურის კაბინეტებმა მითვალეს. წელს, ზაფხულში გილაურის კაბინეტმა ეკონომიკის სტიმულირების 6-პუნქტიანი გეგმაც გამოიტანა. ტრადიციულად, ყველა წინა გეგმა-ინიციატივა შემდგომით ისე „გადაიფარა“, რომ არც მათი ანალიზი მომხდარა და არც შეჯამება; მეტიც, ყოველმა შემდგომმა წინას მნიშვნელოვანი პრინციპების ტორპედირება მოახდინა. ჟვანია-ნოლაიდელის სამთავრობო კაბინეტის შემარჯვინე იდეები გურგენიძის კაბინეტმა, პოლიტიკური მოტივების გამო, უკიდურესად მარცხნივ „ჩააჩოჩა“, მაგლობლიშვილის და გილაურის კაბინეტებმა კი ისევ მარჯვნივ დრეიფი დაიწყეს.

დღეს პერსონალური ინიციატივა უკვე პირადად პრეზიდენტმა სააკაშვილმა აიღო და უკიდურესად მარჯვნივ გაუხვია. თუმცა, ამ კურსს ბევრი წყალქვეშა და ხილული რიფი ხვდება. დაუმატეთ ამას ეკიპაჟის არცთუ შეჭველი კომპეტენცია, პოლიტიკური ტემპერატურა, ომის აჩრდილი, ფულის დეფიციტი, მოახლოებული არჩევნები და დაახლოებით მიიღებთ სასტარტო მოცემულობის იმ ნაზავს, რომელშიც სააკაშვილის „ეკონომიკური თავისუფლების აქტმა“ წარმატებით უნდა გაიკვალოს გზა. **■**



ფოტო: თემო ბარბაქაძე

■ ნალკის რაიონის სოფელი ვინისი, 2009

**თვითმმართველობის ფინანსური მხარე**

# თვითმმართველობის შირმა

თუ თვითმმართველ ერთეულს სტატუსს სათანადო ბიუჯეტი და უფლებამოსილება არ უმყარებს, მის სიშიშველეს ვერანაირი შირმა ვერ დაფარავს.

**რევაზ საყვარიშვილი**

საქართველოში თვითმმართველობის ეკონომიკური დამოუკიდებლობა ნაბიჯ-ნაბიჯ და გეგმაზომიერად გამოიხშირა. გადასახადები ნელ-ნელა ადგილობრივიდან ცენტრალურ ბიუჯეტში „გადაიზიდა“ და რეგიონები სხვადასხვა სახის სამონყალო ტრანსფერებზე ჩამოეკიდა. თუმცა, ეს ტრანსფერებიც ხშირად ვერ აღწევს საბოლოო ადრესატამდე და დაგეგმილისგან აბსოლუტურად განსხვავებული მიზნებისთვის იხარჯება.

ამას ცხადყოფს კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტის მონაცემებიც. მხოლოდ ბოლო სამი წლის სტატისტიკა რომ შევადაროთ, ძალიან საინტერესო ტენდენციას დავინახავთ.

2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯები 6,9%-ით გაიზარდა, 2009 წელს 2008-სთან შედარებით – მთელი 26,5%-ით შემცირდა

და 993 მილიონი ლარი შეადგინა (2007-ში – 1,263 მილიარდი, 2008-ში – 1,350 მილიარდი).

აღსანიშნავია ისიც, რომ წლების განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯები მკვეთრად უთანასწოროა. 2007 წელს ერთ სულ მოსახლეზე ხარჯების მინიმალური მაჩვენებელი (34 ლარი წელიწადში) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ფეთქებადსაშიშ ტერიტორიაზე) აღინიშნა, მაქსიმალური (653 ლარი) კი – დედაქალაქში. 2 წლის წინ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გადასახდელების საშუალო მაჩვენებელი ქვეყანაში 288 ლარს შეადგენდა.

დღეს ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა. 2009 წელს ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების საშუალო მაჩვენებელი 227 ლარამდე შემცირდა. ერთ სულ მოსახლეზე მაქსიმალური ხარჯები კვლავ

თბილისზე მოდის (468 ლარი), „მინიმალისტების“ სიას კი ამჯერად სათავეში ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტი მოექცა (68 ლარი).

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ხარჯები მნიშვნელოვნადაა შემცირებული წინა წელთან შედარებით, ეს ცვლილება ძალიან თავისებურად აისახა დარგობრივ დაფინანსებაზე; კერძოდ: ზოგიერთი მუხლის ასიგნებები გაზრდილია (მაგალითად, თავდაცვა – 15%-ით, გარემოს დაცვა – 54%-ით), ზოგის კი – შემცირებული (ეკონომიკის დაფინანსება – 42%-ით, კომუნალური მეურნეობა – 39%-ით, განათლება – 31%-ით). რა ლოგიკა იმალება ამგვარი პრიორიტეტიზაციის უკან, რთული გასაგებია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულმა ხარჯებმა 2007 წელს საერთო ბიუჯეტის 11%,



2008 წელს – 13%, 2009 წელს კი უკვე 14% შეადგინა.

სწორედ ამ მუხლით ფინანსდება მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯებიც, რაც არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას და, შესაბამისად, მისი დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ უნდა ხდებოდეს. ამგვარი გადაცდომა უამრავია.

წელს 28 მილიონი ლარი დაიხარჯება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ღონისძიებებზე. მსგავსი ხარჯები იყო 2007-2008 წლებშიც. ეს კი სრულიად არაკანონიერი ხარჯია ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რადგანაც, კანონის თანახმად, არ განეკუთვნება თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას (პოლიციისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურების დაფინანსება სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციას წარმოადგენს) და არც მისი დელეგირება მომხდარა. თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ხდება ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარებების დაფინანსება, რაც ასევე კანონმდებლობის დარღვევაა. ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სფეროების დაფინანსება ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისი სამინისტროების კომპეტენციაა.

**ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტებში არაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული ის პრიორიტეტები, რომლებიც წესით განსაზღვრული უნდა იყოს ხარჯების დაგეგმვისას.**

2009 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან განათლების სფეროს დაფინანსებაზე 91 მილიონი ლარი გამოიყო, 2008 წელს კი ამ სფეროზე 133 მილიონი ლარი დაიხარჯა. არადა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მხოლოდ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უნდა ფინანსდებოდეს.

თუმცა, პრაქტიკაში გვხვდება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარჯების დაფინანსებაც, რაც კიდევ ერთი დასტურია, რომ თვითმმართველობები ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებებს ითავსებენ. 2007 წელს ამ კუთხით (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) 7 მილიონი ლარი დაიხარჯა, 2008-ში – უკვე მთელი 25 მილიონი.

მოკლედ, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტებში არაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული ის პრიორიტეტები, რომლებიც წესით განსაზღვრული უნდა იყოს ხარჯების დაგეგმვისას. არადა, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი ადგილობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი ფინანსური დოკუმენტია, რომელმაც მოსახლეობის პრიორიტეტული პრობლემები უნდა გადაჭრას.

2007-2008 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობების პრიორიტეტებს

წარმოადგენდა საბინაო-კომუნალური მეურნეობის გამართვის და ეკონომიკური საქმიანობის განვითარების საკითხები, 2009 წელს კი ამ სფეროების დაფინანსება მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსებისათვის დაგეგმილია 295 მილიონი ლარის გამოყოფა (მარშანდელთან შედარებით, 190 მილიონით ნაკლები), ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად – 160 მილიონი ლარი (შემცირებულია 115 მილიონი ლარით). მიზეზებს დიდი ძებნა, სავარაუდოდ, არ სჭირდება – 2008 (ანუ საარჩევნო) წელს გზების, ფასადების, კანალიზაციის და ზოგადად ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გაცილებით ეფექტურად ხდებოდა, ვიდრე 2009 (ანუ არასარჩევნო) წელს.

2009 წელი კი თვითმმართველობების ისტორიაში სულ სხვა მნიშვნელოვანი სიახლით შევიდა.

13 აპრილს მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა ორგანული კანონის გარდამავალ დებულებებშიც შემდეგი ფორმულირებით: „2011 წლის 1 იანვრამდე თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ნებაყოფლობით გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების განწევის საკითხი. ეს ნორმა გავრცელდეს 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე“. ალბათ ზედმეტია დაზუსტება, რომ ამ ჩანაწერით 2006 წლიდან თვითმმართველობების მიერ არამიზნობრივად განეული ხარჯების უმეტესობა კანონიერად გამოცხადდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს ცვლილება კონტროლის პალატის უფლებამოსილების (შეამოწმოს ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვის მიზნობრიობა) ზრდის პარალელურად მოხდა. თუმცა, მიზეზი აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია. უფრო მნიშვნელოვანია ფაქტი, რომელიც ცხადყოფს, რომ თვითმმართველობების ბიუჯეტებში ამ ცვლილებამ არათუ 2011 წლამდე შეუძლებელი გახადა წესრიგის დამყარება, არამედ იმავდროულად 2006 წლიდან მოყოლებული დააკანონა ბევრი ბურჟუსით მოცული ხარჯი და მათი კანონიერების კვლევაც შეუძლებელი გახადა.

რა იქნება 2011-დან, ჯერ უცნობია. უკვე ცნობილია ის, რომ 2010 წელი ადგილობრივი არჩევნების წელია. ცნობილია ისიც, რომ ამ არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვეა დარჩენილი, თვითმმართველობების ბიუჯეტის მანკიერ სქემებზე კი ჯერ არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს ხმა არ ამოუღია. ■







ქურნალისტური გამოძიება

# უკანონო ნბრაჲა მირზა შაფის ქურაზა

მირზა შაფის ქურა უკანონოდ დაინგრა,  
მისი მომავალი კი დღემდე გაურკვეველია.

ნათია ახალაშვილი

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების **German Marshal Fund**-ის პროექტის **The Black Sea Trust**-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს **German Marshal Fund**-ის, **The Black Sea Trust**-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.





მირზა შაღის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები, ოქტომბერი 2009





■ მირზა შაფის ქუჩა მე-20 საუკუნის დასაწყისში

იაშალაშვილების ოჯახს, უკვე 10 თვია, საკუთარი ჭერი აღარ აქვს. 9-სულიანი ოჯახი 2008 წლის 4 დეკემბერს ღია ცის ქვეშ დარჩა. მირზა შაფის 46-ში მდებარე მათი სახლი შპს „აპოლო გ.ს.“-მ ამ ქუჩის სხვა მრავალ სახლთან ერთად დაანგრია, თუმცა რის საფუძველზე – კვლავ გაურკვეველია. მირზა შაფის ქუჩაზე ნგრევა 2008 წლის 15 ნოემბერს დაიწყო და 4 დეკემბერს დასრულდა. ქუჩის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ დღე-ღამეში 4-5 სახლის დემონტაჟი ხდებოდა.

იაშალაშვილების ოჯახი მირზა შაფის 46-ში ე.წ. „ატსტუპ-ნიკები“ იყვნენ. ამავე სახლის მესამე სართულზე აზერბაიჯანელი მოღვაწის ნარიმან ნარიმანოვის სახლ-მუზეუმი იყო განთავსებული და დემონტაჟის დროს შენობა აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს ეკუთვნოდა.

ქუჩაზე სახლების ნგრევა რომ დაიწყო, ლეილა იაშალაშ-

ვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა (02.12.2008), რომ შპს „აპოლო გ.ს.“-სთვის მისი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი აეკრძალათ. მოსამართლე ლევან გვარამია მოსარჩელეს მოთხოვნა დააკმაყოფილა და 2008 წლის 3 დეკემბერს დაადგინა – „აეკრძალოს შპს „აპოლო გ.ს.“-ს ქ. თბილისში მირზა შაფის ქ. №46-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი“.

სასამართლოს განჩინება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო. თუმცა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ (აღმასრულებელი ნიკა ელოშვილი) ვერ უზრუნველყო იმავე დღეს „აპოლო გ.ს.“-ს წარმომადგენლებისთვის გადანყევტილების შესახებ ეცნობებინა. ვინაიდან „აპოლო გ.ს.“-ს რეგისტრაციის მისამართზე (მირცხულავას 3ა) კომპანიის წარმომადგენლები არ იმყოფებოდნენ, არავინ აღმოჩნდა კომპანიის რეალური მისამართზეც (რუსთაველის 24). ლეილა იაშალაშვილი იმ დღის დეტალებს აზუსტებს: „აღმასრულებელს მეც თან ვახლდი და ვცდილობდით, სააღსრულებო ფურცელი ადრესატისთვის ჩაგვებარებინა. რუსთაველზე მდებარე ოფისში რომ მივედით, კარი არავინ გაგვიღო, თუმცა მქონდა ინფორმაცია, რომ კომპანიის მესვეურნი იქ იმყოფებოდნენ. ჩვენ ქუჩაზე მისულელებს მხოლოდ ბუღდოზერების მძღოლები და მუშები დაგვხვდნენ და ამიტომ მათ ეს ფურცელი ვერ გადავეცით. მანქანაში ელოშვილს ტელეფონმა დაურეკა, გადავიდა და ეჭვი მაქვს, რომ საუბრისას რაღაც მითითება მიიღო. ამის შემდეგ მისი ინიციატივით ისევ ბიუროში დავბრუნდით. სწორედ იქ ყოფნისას დამირეკეს სახლიდან და მითხრეს, რომ უკვე ნგრევას იწყებდნენ. ელოშვილმა მირჩია ტაქსით წავსულიყავი შინ და დამპირდა, რომ თვითონაც მალევე მოვიდოდა, თუმცა ის იქ აღარ გამოჩენილა“. სახლი იმ საღამოს დაინგრა.

9-სულიანი ოჯახი დღეს ნანილ-ნანილ ჰყავთ ახლობლებს შეფარებული. ოჯახის უფროსი, მისი შვილი და შვილიშვილები დაბნინავდნენ სახლში, რომელსაც არც წყალი, არც ელექტროენერგია და არც ბუნებრივი აირი არ მიეწოდება.

„გადასასვლელად გამზადებულები ვიყავით, ყველაფერი ყუთებში გვქონდა ჩანყობილი, მაგრამ არაფრის გამოტანა არ დავგაცადეს და უამრავი ადამიანისა და პატრულის თანდასწრებით დაიწყეს ჩვენი სახლის ნგრევა. ყველაფერი ნანგრევებში მოჰყვა. 12 ლარის ამარა დავრჩით მთელი ოჯახი. თავიდან „აპოლო გ.ს.“-ს წარმომადგენელი გიორგი სვანიძე გვიპრდებოდა, რომ სახლს ჩვენც გვიყიდა, და დროებით ნაქირავებ ბინაში გადავედით. 2009 წლის ივლისამდე ქირას გვიხდიდნენ, თუმცა მერე ისიც შეწყვიტეს და ღია ცის ქვეშ დავრჩით. იმ მიწურში, სადაც შეკედლებული ვართ, ბავშვები დღისითაც სანთლის შუქზე მეცადინებოდნენ“, – აცხადებს ლეილა იაშალაშვილი.

იყო თუ არა ქუჩის განაშენიანების დემონტაჟი კანონიერი „აპოლო გ.ს.“-მ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსს – მიხეილ ავალიანს მირზა შაფის ქუჩის ტერიტორიის გენერალური გეგმის დამუშავების განაცხადით 2008 წლის 20 ნოემბერს მიმართა. ამ ქუჩის საერთო ფართი 34 900 კვადრატული მეტრია.

კომისიამ „აპოლო გ.ს.“-ს განაცხადი განიხილა და მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამუშავებლად, რეკომენდაციებთან ერთად, დავალება მიიღო (26.12.2008).

მირზა შაფის №16-ში მდებარე შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. თბილისის არქიტექტურის სამსახური ადასტურებს, რომ 2008 წლიდან დღემდე მირზა შაფის ქუჩაზე მდებარე სახლების, ასევე №16 ნომერში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დემონტაჟის ნებართვა მათ სამსახურს არ გაუცია.

„აპოლო გ.ს.“-ს დირექტორი შოთა ევგენიძე მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს 2008 წლის 10 დეკემბერს ოფიციალური წერილით აცნობებს, რომ მათი მინერლოგების შესრულების მიზნით, 2008 წლის 20 ნოემბერს „აპოლო გ.ს.“-მ განახორციელა მირზა შაფის ქ. №16, №24, №38 და №40-ში არსებული უკანონო მიშენება-დაშენების დემონტაჟი, რასაც მოჰყვა აღნიშნული შენობების მთლიანად ჩამონგრევა. ევგენიძის წერილიდან ჩანს, რომ აღნიშნული სახლები მის კომპანიას „შემოეწერა“, რაც თითქოს წინასწარ დაგეგმილი არ ჰქონიათ.

„უკანონო მიშენება-დაშენებების დემონტაჟის დროს ინგრევა მიმდებარე ავარიული შენობებიც, რომელთა რეკონსტრუქცია და შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაცია შეუძლებელია და საფრთხეს უქმნის გარშემო მყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას“, – ნათქვამია ევგენიძის წერილში.

იქვე მითითებულია, რომ შპს „კონექსმა“ სათანადო გამოკვლევებით დაადგინა, რომ ქუჩაზე მიშენებების დემონტაჟამდე შენობების ტექნიკური მდგომარეობა უვარგისი იყო, ამორტიზებული მზიდი კონსტრუქციებით, რაც მცირე ზემოქმედების შემთხვევაშიც კი შენობების ჩამოხრების საშიშროებას ქმნიდა.

წერილი ასე სრულდება – „აღნიშნული ზემოქმედების შედეგად მირზა შაფის ქ. №20, №26, №34, №34ა, №44, №46-ში მდებარე შენობები მთლიანად ჩამოინგრა, ხოლო №28 და №32-ში მდებარე – ნაწილობრივ“.

წერილში ნათქვამია, რომ დემონტაჟი და ნგრევა 20 ნოემბერს მოხდა, მირზა შაფის №46-ში კი იაშალაშვილების სახლი 4 დეკემბრის საღამოს სპეციალურმა ტექნიკამ დაანგრია და სახლის ნგრევის მიზეზი არ ყოფილა სხვა სახლის ან მისი მიშენების დემონტაჟი. როგორც მისი მაცხოვრებლები აცხადებენ, შენობა არ იყო ავარიული და არც მისი ჩამონგრევის ეშინოდათ.

შენობის დემონტაჟის ნებართვის გაცემის უფლება მერიის ზედამხედველობის სამსახურს არ აქვს. ეს სამსახური უკანონო მიშენება-დაშენების დემონტაჟს თავად მესაკუთრეებს აიძულებს. ამდენად გაურკვეველია, რა უფლება უნდა მიეცა „აპოლო გ.ს.“-სთვის, რომ ამ უკანასკნელს თუნდაც უკანონო მიშენება-დაშენების დემონტაჟი მოეხდინა.

2008 წლის 20 ნოემბერს მირზა შაფის ქუჩაზე მდებარე იმ უძრავი ქონების ნაწილი „აპოლო გ.ს.“-ს საკუთრებაში ჯერაც არ იყო, რომელთა უკანონო მიშენება-დაშენებების დემონტაჟის უფლებაც მათ მერიამ მისცა. მაგალითად, მირზა შაფის №40-ში მცხოვრებ რასიმ რიზაევსა და ნამიკ ალექსერ-ოღლისთან ნასყიდობის ხელშეკრულება 2008 წლის 28-29 ნოემბრით თარიღდება; ნომერ 16-ში მაცხოვრებელ კარიზ რიზაევთან – 2008 წლის 21 ნოემბრით, 24-ის მობინადრებთან – რახილა მამედოვსა და ვახიდ გაჯიევთან – 2008 წლის 24 ნოემბრით, ხოლო ნომერ 38-ში მცხოვრებ ვაგიფ და აბას რიზაევების სახლი „აპოლო გ.ს.“-მ 25 ნოემბერს შეიძინა.

„აპოლო გ.ს.“-ს მირზა შაფის ქუჩაზე შეუძენია: №10, №16, №20, №24, №26, №26ა, №32, №34, №34ა, №38, №40-ში მდებარე სახლები. ნოტარიუსთან გაფორმებული ქონე-

**■ მირზა შაფის №16-ში მდებარე შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. თბილისის არქიტექტურის სამსახური ადასტურებს, რომ 2008 წლიდან დღემდე მირზა შაფის ქუჩაზე მდებარე სახლების, ასევე №16 ნომერში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დემონტაჟის ნებართვა მათ სამსახურს არ გაუცია.**



■ მირზა შაფის ქუჩის ვირტუალური რეკონსტრუქცია



ბის ნასყიდობის ხელშეკრულებებით დგინდება, რომ „აპოლო გ.ს.“-მ აღნიშნული სახლების მეპატრონეებისგან (ზოგიერთ სახლს რამდენიმე თანამესაკუთრე ჰყავდა) ზოგ შემთხვევაში შეიძინა მათი კუთვნილი ფართები, ზოგ შემთხვევაში სხვა ბინებში გადაუყვალა. ეს ყველაფერი 2008 წელს მოხდა. ძირითადი ხელშეკრულებები ნოემბერშია გაფორმებული. იმ დროს აგვისტოს მოვლენები ახალი ჩავლილია და უძრავ ქონებაზე ფასები საგრძნობლად დაწეულია, მირზა შაფის ქუჩაზე მდებარე სახლები კი საკმაოდ მაღალ ფასებადაა შეფასებული და, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან დგინდება, უმეტეს შემთხვევაში „აპოლო გ.ს.“-მ მესაკუთრეებს საკმაოდ სოლიდური კომპენსაციებიც გადაუხადა.

მაგალითად, მირზა შაფის ქ. №40-ში რასიმ რიზაევი 41 კვ.მ. საცხოვრებელ სახლსა და 5 კვ.მ. დამხმარე ნაგებობას ფლობდა. იგი ნამიკ ალექსერ-ოღლისთან ერთად ასევე იყო ამავე მიმართულებით არსებული 189 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის თანამესაკუთრეც. ხელშეკრულების თანახმად, „აპოლო გ.ს.“-მ, აღნიშნული ქონების სანაცვლოდ, რიზაევს გორგასლის №40-ში მდებარე 72 კვ.მ. ფართის მქონე ბინა გადასცა და დაუმატა ამ ორ ქონებას შორის არსებული სხვაობა – 169 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. ამავე ნაკვეთის თანამესაკუთრეობისთვის და პლუს კუთვნილი საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ, ნამიკ ალექსერ-ოღლიმ 125 ათასი აშშ დოლარი მიიღო, შესაბამისად – ეროვნული ვალუტით.

მერიიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაში არ მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს „აპოლო გ.ს.“-ს მიერ მირზა შაფის ქ. №46-ის შექმნას.

მოგვიანებით, 2008 წლის 27 დეკემბერს აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროსა და „აპოლო გ.ს.“-ს შორის ფორმდება შეთანხმება, რომელსაც თავდებობას უწევენ თბილისის მერია და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ თბილისის მერიის თანხმობით, „აპოლო გ.ს.“ ახორციელებს მირზა შაფის ქუჩის ხელახალი განაშენიანების სამუშაოებს, რომლის სფეროშიც ექცევა ნარიმან ნარიმანოვის სახლ-მუზეუმიც (შენობის საერთო ფართი 156,81 კვ.მ.). დოკუმენტში მხარეები თანხმდებიან, რომ „აპოლო გ.ს.“ კისრულობს ვალდებულებას, თავისი სახსრებით, 2 წლის ვადაში განახორციელოს ნარიმან ნარიმანოვის სახლ-მუზეუმის აღდგენა ძველი აზერბაიჯანული არქიტექტურული იერსახით (საერთო ფართი 210 კვ.მ.). შეთანხმებას აზერბაიჯანის კულტურის და ტურიზმის მინისტრის აბულფაზ კარაევისა და „აპოლო გ.ს.“-ს დირექტორის შოთა ევგენიძის გარდა, ხელს აწერენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და თბილისის მერი გიგი უგულავა.

ამ სახლის ნაწილით მოსარგებლე იაშალაშვილების ოჯახი შეთანხმებაში საერთოდ არ არის ნახსენები. სრულყოფილია-ნი საკუთრების უფლების მოპოვებას იაშალაშვილების ოჯახი სასამართლოს მეშვეობით ცდილობს.

2008 წლის დეკემბერშივე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტ-ში“ ახალი საინვესტიციო კომპანიის – CAPITAL PARTNERS OF GEORGIA, პრეზენტაცია იმართება. პრეზენტაციაზე ირკვევა, რომ კომპანია მომდევნო 2 წლის განმავლობაში საქართველოში 100 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს და მისი ერთ-ერთი პროექტი იქნება მირზა შაფის განაშენიანების პროექტი. პრეზენტაციაზე, რომელსაც ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი ეკა შარაშიძე და თბილისის მერიც ესწრებოდნენ, განაცხადეს, რომ კომპანიის დამფუ-

ძნებელია მსოფლიოში ცნობილი ბიზნესმენი მარკ დენიელი.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ამ სერიოზული პროექტით თბილისის ერთ-ერთ ტრადიციულ უბანს – აბანოთუბანს, შეუნარჩუნდება არა მარტო ძველი იერსახე, არამედ, არქივიდან ამოღებული ნახაზების მიხედვით, მოხდება უკვე არსებული შენობების რეკონსტრუქცია. „ამავდროულად შეიქმნება ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურა, ბიზნესცენტრები, ბუტიკ-ოტელები, სხვადასხვა ქვეყნის კულტურული სახლები, საგამოფენო დარბაზები და ა.შ. ასე რომ, CAPITAL PARTNERS OF GEORGIA-ს ახალ პროექტს საქართველოსთვის არა მარტო ეკონომიკური, არამედ კულტურული და ისტორიული მნიშვნელობაც ექნება“, – წერია პროექტის შესახებ ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე.

მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების პროექტს ორი კომპანია ახორციელებს – „აპოლო გ.ს.“ და CAPITAL PARTNERS OF GEORGIA. ამ ორივე კომპანიაში ერთი ადამიანი ჩანს – გიორგი სვანიძე, რომელიც CAPITAL PARTNERS OF GEORGIA-ს დამფუძნებელია; „აპოლო გ.ს.“-ს დამფუძნებელი კი თინათინ სვანიძეა.

ამ პროექტის შესახებ სარეკლამო რგოლები თბილისელეზმა მრავალჯერ ნახეს, ბოლო დროს ქალაქში ბანერებიც გამოჩნდა, კონკრეტული ფოტოებით – როგორი იქნება მირზა შაფი. ამ ფოტოებზე გამოსახული ქუჩის ფრაგმენტები არქიტექტორ გიორგი ბერიძის მიერ შემუშავებული მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების კონცეფციიდანაა აღებული. „აპოლო გ.ს.“-ს მიერ წარდგენილი აღნიშნული კონცეფცია ბევრჯერ გახდა თბილისის მერიაში შექმნილი გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს განხილვის საგანი. სხდომის ოქმებში ჩანს, რომ საბჭოს წევრები პროექტის ავტორებისგან ითხოვდნენ, გაეთვალისწინებინათ საპროექტო ტერიტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ძველი თბილისის იერსახის ჩამოყალიბებაში.

„ყურადღება მიექცეს კომუნიკაციებს, ქუჩების ქსელს – ქუჩა-კიბეთა სისტემას, რომელიც უბნის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს; სარეკრეაციო ზონების განვითარებას. რეკომენდაცია მიეცეს 2-3-სართულიან განაშენიანებას, თითოეული შენობის გადაწყვეტა მოხდეს არსებული მახასიათებლების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროექტით ახალი მოშენება ძალიან ინტენსიური და მჭიდროა; აუცილებელია განაშენიანების მნიშვნელოვანი „გამოხშირვა“, ახლად გაჩენილი ქუჩების რაოდენობის შემცირება, ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნება და გამოჩენა, არასასურველია ეზოიან სახლებზე უარის თქმა, რადგანაც ეს რადიკალურად შეცვლის არსებული განაშენიანების ხასიათს“, – ნათქვამია საბჭოს დასკვნაში.

ამავე ოქმიდან ჩანს, რომ საბჭოს წარმომადგენლები – მარინა ხატიაშვილი, ნინო კორძაძია, მაია შავიშვილი და ნიკა სებისკვერაძე ამ დავალების გაცემის წინააღმდეგნი იყვნენ.

ხელოვნების ისტორიკოსი მარინა ხატიაშვილი სხდომაზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს: „წარმოდგენილი მასალიდან არ ჩანს არქიტექტურული მიდგომა – ეს არის ეფექტებზე აგებული ვიზუალური მასალა... რა ზომის ტერიტორიის განაშენიანება განზრახული?! როდესაც საქმე გვაქვს მიკროუბანთან, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა მნიშვნელოვანი მახასიათებლები – განსაკუთრებით აღსანიშნავია ლანდშაფტთან შერწყმული ქუჩა-კიბეები. წარმოდგენილი მიდგომის შემთხვევაში, შედეგად მივიღებთ უმასშტაბო ბუტაფორიულ გარემოს, რომლის მთავარი მახასიათებელი გახდება არა დღევანდელი ბუნებრიობა, არამედ „კიჩური ეკლექტიურობა“.



ამავე კომისიის წევრები ასევე აცხადებდნენ, რომ გასათვალისწინებელია მირზა შაფის ქუჩის ტოპოგრაფიული და ლანდშაფტური თავისებურება, რაც ნიშნავს, რომ დაუშვებელია კლდის ქანების მოჭრა და მისი კონფიგურაციის შეცვლა.

2009 წლის 9 იანვრის პროექტის მესვეურებმა საბჭოს სხდომას ქუჩის გეგმა (გრგ) წარუდგინეს, თუმცა შეთავაზებული ვარიანტი საბჭომ დაიწუნა. საბჭომ მის დამტკიცებაზე მეორედაც უარი თქვა (26.02.2009).

საბოლოოდ გეგმა 2009 წლის 2 აპრილის საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა, როდესაც პროექტის ორი ძირითადი ოპონენტი მარინა ხატიაშვილი და ნინო კორძახია სამსახურიდან უკვე გათავისუფლებულები იყვნენ. მარინა ხატიაშვილი სამსახურიდან გათავისუფლებას სწორედ მირზა შაფის საკითხს უკავშირებს და დისკრიმინაციული ნიშნით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოსაც მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ დაადასტურა დისკრიმინაციული ნიშნით ხელშეკრულების მოშლის ფაქტი, მოსარჩელეს მოთხოვნა 10 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, მაინც არ დააკმაყოფილა. ახლა საქმე საკასაციო სასამართლოშია.

**პროექტის შესახებ**

თბილისის მერის ახლად დანიშნული მოადგილე დავით ნიციძე, რომლის დაქვემდებარებაშიცაა ძველი თბილისის რეაბილიტაციის, ძველთა დაცვისა და მშენებლობის და არქიტექტურის სფეროში ახალი მენეჯმენტის საკითხები, აცხადებს, რომ აქამდე ამ პროექტთან დაკავშირებით რაც გაკეთდა, მხოლოდ ვიზუალური მასალა იყო. „ახლა უკვე დადგა რეალური შემდგომი ნაბიჯების დრო. მოსამზადებელია პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი. კიდევ მუშავდება კონცეფცია, რის შემდეგაც გაკეთდება გენგეგმა. ჯერ ვადები ზუსტად შეთანხმებული არ გვაქვს, მაგრამ საკმაოდ პატარა დრო აქვთ. შეიქმნება სამოქმედო გეგმა და მათ ეს ვალდებულება ზუსტად უნდა შეასრულონ. ქალაქის მერია უზრუნველყოფს ამ საკითხის მაქსიმალურ გამჭვირვალობას“, – აცხადებს მერის მოადგილე.

მირზა შაფის ქუჩის შესახებ არსებულ იურიდიულ საკი-

თხებში ქალაქის მერის ახალი მოადგილე ჯერ გარკვეული არ არის.

მისი თქმით, ძველი კონცეფციით გათვალისწინებული რამდენიმე ქუჩა იმ ტერიტორიაზე ნამდვილად არ ეტეოდა და ახლა პროექტის მესვეურებმა ზუსტად იციან, რა ფართობზე შეიძლება განვითარდეს პროექტი.

ძველი კონცეფციის ავტორი გოგა ბერიძე აცხადებს, რომ დამკვეთმა მასთან ურთიერთობა შეწყვიტა კონცეპტუალური პროექტის საფეხურზე. მისთვის ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა სამუშაოებს აწარმოებს ახლა პროექტის ფარგლებში „აპოლო გ.ს.“. „თუმცა დღეს ქალაქში გამოფენილ სარეკლამო ბანერებზე სწორედ ჩვენი შექმნილი კონცეფციიდან აღებული ფოტოებია. ეს პროექტი „ჩემი შვილია“. უამრავი შრომა მაქვს ამ საქმეში ჩადებული. მოძიებული მაქვს ძველი ფოტოები და არქივის მასალები, რომელთა მიხედვითაც კონცეფცია მომზადდა. მაგრამ ჩემ მიერ დაპროექტებულ შენობებში ოთახი ოთახზეა მიბმული. ამ შენობების სიგანე – მხოლოდ ერთი ოთახია. ჩვენ ვამჯობინეთ, ისტორიული გარემო შეგვენარჩუნებინა. ჩვენი პროექტის კრიტიკოსები კი ამ მომენტს ვერ აღიქვამენ“, – აცხადებს ის.

გოგა ბერიძის თქმით, მის მიერ შემუშავებული კონცეფცია კლდის ნგრევას არ ითვალისწინებდა და მაშინ, როცა სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე ქუჩის განაშენიანების გეგმაზე მსჯელობდნენ, მან არც კი იცოდა, რომ მირზა შაფის ქუჩაზე სახლები უკვე დანგრეული იყო.

**დასკვნა**

მირზა შაფის ქუჩაზე შენობების ნგრევა „აპოლო გ.ს.“-მ უკანონოდ განახორციელა. დანგრეულ სახლებს შორის აღმოჩნდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლიც. ამ სახლების მოზინადრეები ჯერაც დაუზინავებლები არიან. პროექტი, რომლითაც ქალაქის მერია და მერი თავს ინონებენ, კანონდარღვევებით დაიწყო. „აპოლო გ.ს.“ კი ქუჩის უკან მხარეს მდებარე კლდის ნგრევას ასევე უნებართვოდ აგრძელებს. კლდის დაშლის შედეგად, შესაძლოა, აბანოთუბანი გოგირდის წყლის გარეშე დარჩეს. პროექტში მონაწილე კომპანიების პასუხისმგებელი პირები კი ჟურნალისტებს არ გვესაუბრებან. ■

**■ „აპოლო გ.ს.“-ს მიერ წარდგენილი აღნიშნული კონცეფცია ბევრჯერ გახდა თბილისის მერიაში შექმნილი გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს განხილვის საგანი. სხდომის ოქმებში ჩანს, რომ საბჭოს წევრები პროექტის ავტორებისგან ითხოვდნენ, გაეთვალისწინებინათ საპროექტო ტერიტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ძველი თბილისის იერსახის ჩამოყალიბებაში.**



■ მირზა შაფის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები, ოქტომბერი 2009

ფოტო თემო ბაქრაძის



## კონფლიქტები

# თურქეთი – აფხაზეთის ახალი პარტნიორი

აფხაზეთში იმედი აქვთ, რომ თურქეთი უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონის გეოპოლიტიკურ სივრცეში.

### ინალ ხაშიგი

კავკასიის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური სურათის მიუხედავად, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა, აფხაზეთისთვის თურქეთთან დამოკიდებულება ყოველთვის „განსაკუთრებული“ კატეგორიაში დარჩება.

ჯერ ერთი, შავიზღვისპირა აფხაზეთისთვის, რომელიც, მოძმე ოსეთისგან განსხვავებით, საკუთარ მომავალს მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით ხედავს, შავი ზღვის აუზის სიდიდით მეორე ქვეყანასთან ურთიერთობის აწყობა რისკების შემცირების ერთგვარი შესაძლებლობაა.

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ერთი წლის წინ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო, სოხუმში რუსეთისადმი ნდობა კიდევ უფრო გაიზარდა. და მაინც, აფხაზეთის პოლიტიკურ ელიტაში ამ „ერთადერთი საყრდენის“ უარყოფით მხარეებსაც

კარგად აცნობიერებენ. თუმცა, აფხაზეთის მთავრობა ამხე ღიად ლაპარაკს თავს არიდებს, კრემლს ეჭვიანობის საბაბი რომ არ მისცეს.

მეორეც, თურქეთთან პარტნიორული ურთიერთობის მიღწევა უფრო იმითაა მოტივირებული, რომ ამ ქვეყანაში 500 ათასამდე აფხაზი ცხოვრობს (პრაქტიკულად, ეთნოსის 80 პროცენტი), რომლებიც კავკასიის ომის შედეგად ლტოლვილები გახდნენ. დღეს აფხაზეთის დემოგრაფიული მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, ამიტომაც მუჰაჯირების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება ამ მტკივნეული პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად მიაჩნიათ.

რუსეთის მიერ აღიარებამდე ერთი წლით ადრე საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი შამბამ ოფიციალური სოხუმის მიერ საგარეო პოლიტიკის დოქტრინად წარდგენილი „მრავალვე-

ქტორულობის“ თეზისის განმარტებისას ამ ფორმულის სამი შემადგენელი ნაწილი გამოყო – რუსეთი, ევროსაბჭო და თურქეთი.

2008 წლის აგვისტოს შემდეგ ამ სქემაში ბევრი რამ შეიცვალა. სოხუმსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის ბევრად მეტი საშუალება გააჩინა, თანაც – ლეგალურ საფუძველზე. სამაგიეროდ, ჩაფლავდა ევროსაბჭოსთან ურთიერთობის დამყარების იმედი, რადგან ბევრი ევროპული სახელმწიფო სიტუაციის უკან გადათამაშებას ცდილობს და კრემლს ომამდელი სტატუს კვოს აღდგენისკენ მოუწოდებს. ევროსაბჭოსგან განსხვავებით, აგვისტოს ომის შემდეგ გაცილებით უფრო მოქნილი აღმოჩნდა თურქეთის პოლიტიკა. ანკარამ ამ კრიზისის ფონზე რეგიონში საკუთარი პოზიციების დამყარების შესაძლებლობები დაინახა.

პირველი საცდელი ნაბიჯი იყო პრემიერ-მინისტრ ერდოღანის კავკასიაში სტაბილურობის პლატფორმის შექმნის იდეა. შესაძლოა, მისი ხორცშესხმის არავის სჯეროდა, მათ შორის არც თავად პროექტის ავტორს, თუმცა თავისთავად ასეთი წინადადება შეთავაზების ფაქტმა თურქულ დიპლომატიას ქულეები შეჰმატა. ერთი მხრივ გამოჩნდა, რომ ანკარას საკუთარი, განსხვავებული აზრი აქვს, რომელიც შეიძლება ბრიუსელისა და ვაშინგტონის პოზიციას არ ემთხვეოდეს; და მეორეც – იგი შეეცადა, შთაბეჭდილება მოეხდინა რუსეთზე, რომელთანაც მრავალი პროექტის განხორციელებას აპირებს. რაც შეეხება აფხაზეთს, ამ ეშმაკურად ჩახლართულ თამაშში მას საკუთარი ნიშა უკავია.

თურქეთის პოზიციის ერთგვარი ტრანსფორმაციის მანიშნებელი იყო ანკარის რეაქცია საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურის მიერ თურქული ტანკერის **Buket**-ის დაკავებაზე. ამ ტანკერს აფხაზეთში ბენზინისა და დიზელის სანავის დიდი პარტია მიჰქონდა.

როგორც ცნობილია, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველო საერთაშორისო საზღვაო სამართლის დარღვევამ დაადანაშაულა. ამის შემდეგ სიტუაციის განსამუხტად თბილისში საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ დოვუდოღლუ ჩავიდა. იმავდროულად სოხუმში მისი მოადგილე ჩამოდის. სხვათა შორის, დოვუდოღლუმ თბილისში ყოფნისას ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოაცხადა, რომ მისი მოადგილე სოხუმში იმყოფებოდა.

ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ქართველმა მესაზღვრეებმა ოცდაათზე მეტი თურქული გემი დააკავეს, ანკარა კი მანამდე მიზანმიმართულად არ იმჩნევდა მსგავს ფაქტებს; და ასევე იმასაც, რომ ანკარას ასეთი მაღალი რანგის მოხელე სოხუმში არასოდეს გაუგზავნია, უფრო მეტად გამძაფრდება ეჭვი იმის თაობაზე, რომ თურქეთი მიდგომას ცვლის.

„ახლებური მიდგომის“ კიდევ ერთ სიმბოლოდ იქცა გავლენიან თურქულ გაზეთ Milliyet-ში გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ჟურნალისტი ჯენკა ბაშლამმა თურქეთის სახელისუფლებო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ მოსკოვის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკის თურქეთის კუთვნილად აღიარების შემთხვევაში, ანკარა მზადაა საპასუხო შესტისთვის – აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის.

უახლოეს პერსპექტივაში მსგავსი სცენარის ხორცმცხმას სოხუმშიც კი ძალიან სკეპტიკურად ეკიდებიან, თუმცა აფხაზი ექსპერტების წრეში მაინც არსე-

და მოსკოვს შორის ურთიერთგაგება იმდენად მაღალია, რომ ამ ეტაპზე რუსეთი თავს უფლებას აძლევს, არ იძუნოს და თურქულ ბიზნესს აფხაზეთში ცალკე ნიშა დაუთმოს. ერთი მხრივ, ეს იქნება პარტნიორისთვის განუვლი სამსახური, რის კომპენსირებასაც კრემლი სხვა თურქულ-რუსული პროექტებით შეძლებს; მეორე მხრივ კი, ამ ბიზნესის წყალობით, რესპუბლიკაში შეიძლება დაბრუნდეს მუშაჯირების გარკვეული ნაწილი, რაც, ბუნებრივია, აფხაზი საზოგადოების უდიდეს კეთილგანწყობას გამოიწვევს.

თურქული ბიზნესი აფხაზეთში ჯერ კიდევ საქართველო-აფხაზეთის ომის შემდეგ გაჩნდა და 90-იანი წლების ბოლომდე საკმაო წარმატებაც ჰქონდა. ეს ის პერიოდი, როცა რუსეთი აფხაზეთის მიმართ მკაცრი ეკონომიკური ბლოკადის პოლიტიკას ინარჩუნებდა. 90-იანი წლების ბოლოს კი კრემლში ცვლილებები მოხდა. ბორის ელცინი ვლადიმირ პუტინის გუნდმა შეცვალა, რომელმაც ერთიმეორეს მიყოლებით დაიწყო სანქციების გაუქმება. აფხაზეთში თანდათან შემოვიდა რუსული ინვესტიციები, რა-

ხდება ეს, პირდაპირ კავშირშია რეპატრიაციის პრობლემის გადაჭრასთან.

მთელი ომისშემდგომი წლების განმავლობაში აფხაზეთში მუშაჯირების მხოლოდ ათასამდე შთამომავალი დაბრუნდა. 90-იანი წლებში ისტორიულ სამშობლოში დარჩენის თითქმის ამდენივე მსურველს უკან, თურქეთში წასვლა მოუხდა, რადგან ომგამოვლილ აფხაზეთში დაფუძნება გაუჭირდათ. „თუნდაც ელემენტარული სამუშაოს არქონამ მათი აფხაზეთში ცხოვრება შეუძლებელი გახადა და აიძულა ისინი, უკან გამგზავრებულიყვნენ. სამწუხაროდ, ეს უკუნაყადი რეპატრიაციის ტემპზე უარყოფითად აისახა“, – ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალური რესურსების“ ხელმძღვანელი, ციზა გუმბა.

ახლა აფხაზებს რეპატრიანტების დახმარების შესაძლებლობა მიეცათ. სოხუმსა და აფხაზეთის სხვა ქალაქებში ომის დროს დამწვარი მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლების აღდგენა მიმდინარეობს. ეს სახლები შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ თურქ აფხაზებს გადაეცემათ. გარდა ამისა, რეპატრიან-

■ „სავარაუდოდ, თურქეთი შეეცდება, აფხაზეთის ოფიციალურად აღიარების გარეშე, მასთან ეკონომიკური ურთიერთობის გრადუსი იმ დონემდე აიყვანოს, რომ ამ ბიზნესს არაფერი აღარ დაემუქროს“.

ბობს იმის რწმენა, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით არ ხდება. „თურქეთი ცდილობს, აფხაზეთთან თავისი ურთიერთობა ხარისხობრივად გააუმჯობესოს. ეს კონტაქტები მთელი ომისშემდგომი წლების განმავლობაში არსებობდა, მაგრამ მათი ფორსირება და აფიშირება არ ხდებოდა. თანაც, რუსეთის მხრიდან აღიარების შემდეგ აფხაზეთი ინვესტორებისთვის გემრიელ ლუკმად იქცა, მათ შორის – თურქებისთვისაც. ამ თვალსაზრისით კი, ურთიერთობათა არალეგალური სტატუსის შენარჩუნება თურქეთს ხელს აღარ აძლევს. სავარაუდოდ, თურქეთი შეეცდება, აფხაზეთის ოფიციალურად აღიარების გარეშე, მასთან ეკონომიკური ურთიერთობის გრადუსი იმ დონემდე აიყვანოს, რომ ამ ბიზნესს არაფერი აღარ დაემუქროს“, – ამბობს აფხაზეთის პრეზიდენტის კაბინეტთან არსებული პოლიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ოლეგ დამენია. სოხუმში მიაჩნიათ, რომ ანკარასა

მაც თითქმის სრულიად შეაჩერა თურქული ბიზნესის განვითარება. სანვავი ნედლეულის შექმნის გარდა, რაც თურქეთიდან ხდებოდა, ყველა სხვა სავაჭრო ურთიერთობამ რუსეთისკენ გადაინაცვლა. ამას ხელი შეუწყო რუსულ-აფხაზური ურთიერთობების გაუმჯობესებამაც და ასევე რისკის ფაქტორმა, რომელიც თურქეთთან საზღვაო ვაჭრობას ახლდა.

დღეს ყველაზე მსხვილი თურქული ბიზნესი აფხაზეთში ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვებელი ფირმა „ტამსაში“ და სასტუმრო „იასემინია“. რასაკვირველია, ასეთი მწირი ბიზნეს კავშირები თურქეთთან ხელს არ აძლევს აფხაზეთს. ბუნებრივია, თურქეთიც არ იქნება წინააღმდეგი, თუ თავის ბიზნესს აფხაზეთში გააფართოვებს. როგორც ჩანს, დღეს მოსკოვი აპირებს გაითვალისწინოს ეს ინტერესები და, სწორედ მისი მხარდაჭერით, სიტუაციას გამოსწორების პირი უჩანს. ის, თუ რამდენად სწრაფად მო-

ტებს ბიზნესისთვის შეღავათიან საგადასახადო რეჟიმს ჰპირდებიან. სასიკეთოდ მოქმედებს ისიც, რომ დიასპორის წარმომადგენლებისთვის აფხაზეთში რუსეთიდან ტრანზიტით შესვლა გამარტივდა. „ლეგალური გზის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტია. ეს საშუალებას აძლევს ჩვენს თანამემამულეებს, უფრო ხშირად ჩამოვიდნენ ისტორიულ სამშობლოში, კარგად დააკვირდნენ აქაურობას, შეაფასონ, აწონ-დაწონონ ვითარება და ისე გადაწყვიტონ, ღირს თუ არა აფხაზეთში ჩამოსვლა“, – ამბობს რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ მუკბა. თურქი აფხაზები ჯერჯერობით არ ჩქარობენ აფხაზეთში ჩამოსახლებას. მათი უმეტესობა ჯერ კიდევ სკეპტიკურად უყურებს ამ იდეას, თუმცა ვითარება საგრძნობლად შეიცვლება, როგორც კი ანკარის აფხაზეთისადმი დამოკიდებულების ხარისხი გაუმჯობესდება. ■





ინგუში ლტოლვილები

## გეოგრაფია

# კიდევ ერთი ნაღვი კავკასიაში

პრიგოროდნი ინგუშების და ოსების სადავო მიწად რჩება. რამდენ ხანს შეძლებს კრემლი სტაბილურობის ილუზიის შენარჩუნებას?

### ოლეგ ჯიოევი, ვლადიკავკაზი

ინგუშეთის პრეზიდენტმა იუნუს-ბეკ ევკუროვმა რამდენიმე დღის წინ ისევ განაცხადა, რომ აღარ აქვს პრეტენზია პრიგოროდნი რაიონზე.

პრიგოროდნი რაიონი ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის სადავო მიწაა, რომელიც 90-იან წლებში სისხლიანი კონფლიქტის მიზეზი გახდა. დღეს ეს ტერიტორია ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ოსურ-ინგუშური კონფლიქტი კი მოუგვარებელია.

„პრიგოროდნი რაიონი ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში დარჩება. ინგუშეთს პრეტენზია არ აქვს და აზრის შეცვლას არ აპირებს“, – განაცხადა ევკუროვმა, რომელიც ტერაქტის შედეგად მიღებული მძიმე ტრავმების შემდეგ თავის პოსტს ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა.

პირველად ევკუროვმა ოსებისა და ინგუშების სადავო მიწაზე საჯაროდ 2008 წლის ოქტომბერში თქვა უარი. მაშინ ამ განცხადებას ინგუშეთში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა და ევკუროვი საკუთარი ხალხის ლალატში დაადანაშაულეს.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სწორედ ეს გადაწყვეტილება გახდა 2009 წლის 22 ივნისს მასზე თავდასხმის მიზეზი. ტერორისტმა თვითმკვლელმა ევკუროვის „მერსედესი“ ააფეთქა, რის შედეგადაც ინგუშეთის პრეზიდენტმა ფილტვებისა და ღვიძლის მძიმე ტრავმები მიიღო.

სექტემბერში ინგუშეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ევკუროვს მკაცრი წერილი მისწერეს:

„ინგუში ხალხი, რა სისასტიკე, უსამართლობა და ზენოლაც უნდა განახორციელონ მათზე, არასოდეს იტყვის უარს თავის მიწა-წყალზე“, – ნათქვამია მიმართვაში.

ურთიერთობა ოსებსა და ინგუშებს შორის ჯერ კიდევ საბჭოთა დროს დაიძაბა. კონფლიქტის საფუძველი სტალინის გადაწყვეტილება გახდა, ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის შემდეგ, 1944 წელს პრიგოროდნი რაიონი ინგუშეთისთვის ჩამოერთვა და ჩრდილოეთ ოსეთისთვის გადაეცა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინგუშებმა პრიგოროდ-

ნის დაბრუნება სცადეს, რადგან ამ რაიონში მოსახლეობის უმრავლესობას ისევ ინგუშები წარმოადგენდნენ.

1992 წლის 31 ოქტომბერს დილით პრიგოროდნი რაიონში ინგუშური მოხალისეთა რაზმები შევიდნენ და რაიონის დიდი ნაწილი დაიკავეს, თუმცა ჩრდილოელმა ოსებმა მალევე შეძლეს მათი განდევნა ფედერალური ძალებისა და სამხრეთ ოსეთიდან გადმოსული მოხალისეთა დახმარებით. შეიარაღებული კონფლიქტი 5 დღეს გრძელდებოდა. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა ხუთასამდე ადამიანი, უგზოუკვლოდ დაიკარგა 260. სხვადასხვა შეფასებებით, 30-დან 60 ათასამდე ინგუში დევნილი გახდა; განადგურდა 3 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე პატარა რესპუბლიკისთვის – ინგუშეთისთვის პრიგოროდნი რაიონის დაბრუნების საკითხი ინგუში ხალხის სრულ რეაბილიტაციას უკავშირდება.

ოსებს თავიანთი მოტივი აქვთ – ინგუშებისთვის დათმობა იმ მითის დამსხვრევას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთის ხელისუფლების მთავარი ფორპოსტი და დასაყრდენია ჩრდილოეთ კავკასიაში.

კრემლი დღემდე კარგად მანიპულირებს ამ კონფლიქტით. მისი ოფიციალური პოზიცია მარტივია – ხელი შეუშალოს რუსეთის ტერიტორიაზე ამ ერთადერთი ეთნიკური კონფლიქტის გაღივებას, თუმცა მის საბოლოოდ მოსაგვარებლად ბევრს არც არაფერს აკეთებს. ამ ეტაპზე კავკასიაში სტაბილურობის ერთადერთი (ისიც ძალიან სუსტი) გარანტია სწორედ საზღვრების ხელშეუხებლობაა. საზღვრების გადახედვა პანდორას ყუთია, რომელსაც ის გახსნის, ვისაც კავკასიაში ახალი ომის წამოწყება სურს.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ევკუროვის განცხადებები კრემლის ზენოლის შედეგია. ევკუროვი, რომელიც თავად წარმოშობით პრიგოროდნი რაიონის სოფელ ტარსკოედანაა, უარს კი აცხადებს ამ ტერიტორიაზე, მაგრამ

ჰაინრიხ ბოლის ფონდი ახსნადას ხონჯაისს  
ხაბონანაჟი სასხიჟანოო ჰომოხაჟისათჟის  
სოსიანაჟი მასნიჟაჟაჟში

ჰაინრიხ ბოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

ხონჯაისის ჰომოხაჟი

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ პროგრამის დაწყების მომენტისათვის 35 წლამდე (1975-1987 წლებში დაბადებულ) ახალგაზრდა მკვლევრებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (ინგლისური და რუსული) კარგი ცოდნა. ყურადღება მიექცევა თემატურ სიახლეს და ორიენტაციას თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, ამასთანავე კვლევის თვისობრივ მეთოდებს.

ფონდი აფინანსებს ჰაჯაჟს შაჟებს მიჟაჟთაჟათა ფაჟბაჟში:

- ახალი შეხედულებები ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებზე;
- მიგრაციული პრობლემები;
- ლტოლვილები: გადარჩენის სტრატეგიები;
- პოლიტიკური კულტურის განვითარების დინამიკა და ანალიზი;
- ყოველდღიური ყოფის ისტორია/ ანთროპოლოგია;
- წინააღმდეგობის და რეპრესიების ისტორია;
- იდენტობების კონსტრუირება;
- „ჩვენიანი“ და „უცხო“ საზოგადოებაში;
- უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები;
- გენდერული როლების ტრანსფორმაცია;
- ურბანიზაცია და ქალაქური კულტურა;
- ქალაქის მდგრადი განვითარების პრობლემები (სოციალური/ ეკოლოგიური/ ეკონომიკური);
- ქალაქის სოციალური და საინფორმაციო ინფრასტრუქტურა;
- არქიტექტურა/ ურბანული გარემო და ხელისუფლება.

ხანხიციოზა და მოსაოზა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით – 1.01.2010 – 31.12.2010. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს ყოველთვიურად 250 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია ფონდის მიერ ორგანიზებული თანამდევნი პროგრამა სემინარების, საზოგადოებრივი სკოლის, პუბლიკაციებისა და ა.შ. სახით.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ და განაცხადის ანკეტა ჩამოტვირთეთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდიდან:

[www.boell.ge](http://www.boell.ge)

საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 30 ოქტომბერი, 18:00 სთ.

მას მაინც ინგუშების მშობლიურ მიწად თვლის. „დიახ, შემეძლო მაგადაზე მუშტი დამერტყა და მეთქვა, რომ ეს ტერიტორია ჩვენია, მაგრამ მაშინ კიდევ 17 წელიწადს არაფერი დაიძვრებოდა ადგილიდან“, – განაცხადა მან.

დევნილების დაბრუნება ოსურ-ინგუშური კონფლიქტის მოგვარების ყველაზე პრინციპული საკითხია. ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობა პერიოდულად აცხადებს, რომ ინგუში დევნილების დაბრუნებისთვის არანაირი დაბრკოლება არ არსებობს, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგება, დაბრუნების პროცესი ჩიხში შედის.

დღეს ეს მართლაც შეუძლებელია. ინგუშების საკუთარ სახლებში მასობრივი დაბრუნება (კერძოდ კი ვლადიკავკაზსა და ქალაქის მიმდებარე სოფლებში) უდავოდ გაამწვავებს სიტუაციას და შეიძლება სისხლისღვრაც გამოიწვიოს.

შეიარაღებული კონფლიქტიდან 17 წელი გავიდა, თუმცა ოსებსა და ინგუშებს შორის ურთიერთობა არ უმჯობესდება, პირიქით – რაც დრო გადის, ამ ორ ხალხს შორის შუღლი მატულობს. მეზობელი ხალხები ერთმანეთს შორდებიან და საერთოს კარგავენ. ჩრდილოეთ ოსეთის ახალგაზრდობას ინგუშები არასოდეს უნახავს. მათ ინგუშების შესახებ მშობლების ნაამბობიდან იციან და, როგორც წესი, მხოლოდ ცუდი.

2004 წლის „ბესლანის ტრაგედიაში“ ოსებსა და ინგუშებს შორის უფსკრული კიდევ უფრო გააღრმავა. ბესლანთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი ჩრდილოეთ ოსეთში მყარად არის ფორმირებული. ოსი ბავშვების მძევლად აყვანა აქ ინგუშებს ბრალდებათ.

2008 წლის ნოემბერში ვლადიკავკაზის ცენტრში მიკროავტობუსი აფეთქდა და 12 ადამიანი დაიღუპა. ოსებმა ტერაქტში ისევ ინგუშები დაადანაშაულეს – აფეთქება კინოთეატრ „დრუჟბასთან“ იმ მოედანზე მოხდა, სადაც კონფლიქტამდელ პერიოდში ინგუშების თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო.

წარმოუდგენელი ძალისხმევა და ძალიან დიდი დროა საჭირო, რომ მეზობელი ხალხისადმი ეს ნეგატიური განწყობა დადებითით შეიცვალოს.

ალანიაში დღეს ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ ინგუშებმა და ოსებმა დაახლოების გზები კი არ უნდა ეძებონ, პირიქით, უნდა მოერიდონ ერთმანეთს, რადგან ეს ძალადობის აცილების ერთადერთი გზაა.

ინგუშეთშიც ოსებს 1992 წელს პრიგოროდნი რაიონში ეთნოწმენდის მონყობაში ადანაშაულებენ და მოსისხლე მტრებად თვლიან.

შეიარაღებული კონფლიქტიდან პირველად მხოლოდ 14 წლის შემდეგ დარეგისტრირდა ოსურ-ინგუშური ქორწინება, მაშინ როცა შერეული ქორწინებები 92 წლამდე ხშირი იყო.

„ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის შედეგების მოგვარების“ სახელმწიფო პროგრამა ამ კონფლიქტის მხოლოდ ზედაპირული პრობლემების დაფარვას ცდილობს, მაგალითად დევნილთა დაბრუნებას, და ისიც უშედეგოდ.

ძალადობის განმეორების ალბათობა საკმაოდ დიდია. საუბრები ბესლანის გამო ოსური ვენდეტის შესახებ ისევ აქტუალურია. 2005-2006 წლებში ჩრდილოეთ ოსეთში ინგუშთა მასობრივი გაუჩინარების ფაქტები დღემდე გამოუძიებელია. ერთ-ერთი არაოფიციალური ვერსიით, ეს „შურისძიების“ ნაწილი იყო. ოსურ-ინგუშური კონფლიქტი დენტის კასრია და საკმარისია პატარა ნაპერწკალი, რომ უმაღვე იფეთქოს. ■



ქარხანა, რომელიც სავარაუდოდ მუშაობს ბირთვული იარაღის შექმნაზე, ირანი, ქუმი (სატელიტური ფოტო, 2009)

ირანის ატომური პოლიტიკა

# ატომური ირანი: როდის მოვა მაჰდი?

აჰმადინეჟადის სათავეში დაბრუნებით ირანის მიერ ურანის გამდიდრებისა და ენერჯის გამომუშავების პროგრამა აქტიურ ფაზაში შედის.

## ლექსო ჩქარეული

პრეზიდენტ აჰმადინეჟადის წინასაარჩევნო პიარკამპანის ერთ-ერთი უმთავრესი მესიჯი ეფუძნებოდა აგიტაციას, რომ მის პირველ საპრეზიდენტო ვადაში ქვეყანამ, ურანის გამდიდრებისა და ატომური ენერჯის გამომუშავების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან და თითქმის არსებით წარმატებებს მიაღწია.

აჰმადინეჟადის რიტორიკა, რომელიც ხანდახან ისე აფრთხობს ევროპულ თანამეგობრობას, რომ პროტესტის ნიშნად უმსხვილესი სახელმწიფოების სოლიდური წარმომადგენლები დარბაზიდან გარეთ პანტაჟუნტით გარბიან, გამიზნული იყო ირანული აუდიტორიისთვის დაემტკიცებინა, რომ ისლამურ რესპუბლიკას სრული უფლება აქვს, სხვა მონინავე სახელმწიფოთა მსგავსად, ფლობდეს ენერჯიას. ეს კი მას არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში ანგარიშგასანევ ძალად გადააქცევს.

უბრალო ხალხზე გათვლილი აჰმადინეჟადის ეს მოწოდებები მომწუსხველად მოქმედებს ქვეყნის ლუმპენ პროლეტარიატზე, რომლის ცხოვრების პირობები, მართალია, სულ უფრო უარესდება, მაგრამ სამაგიეროდ მალე მათი ქვეყანა ისეთ წარმატებებს მიაღწევს, რომ ძალიან მალე ირანზე ძლიერი არავინ იქნება!

ამ მხრივ ირანში არსებული ვითარება ძალიან ჰგავს საბჭოთა სიტუაციას, ერთი განსხვავებით: საბჭოთა კავშირი მართლაც ფლობდა ატომურ ენერჯიას, თუმცა ამან დაშლასა და გაქრობას მაინც ვერ გადაარჩინა, ირანში კი ჯერჯერობით წარმატებული, მაგრამ მაინც მხოლოდ მცდელობაა ატომური ენერჯის გამოსამუშავებლად.

დეკლარირებულია, რომ ეს მცდელობა მიზნად ისახავს ატომური ენერჯის სამშვიდობო მიზნებით გამოყენებას, მათ შორის – ელექტროენერჯის გამომუშავებისათვის. თუმცა ამ მშვიდობიან

ტონს ვერაფრით უთავსდება ის დაუფარავი აგრესია, რასაც ირანის ლიდერები ისრაელის ან ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით აშუღავენ.

გარდა ამისა, ბოლო ხანს ჩატარებულმა გამოცდამ და პირდაპირმა განცხადებამ, რომ ირანის რაკეტებს უკვე თავისუფლად შეუძლიათ ისრაელამდე მიადნონ, მსოფლიოს თანამეგობრობა სერიოზულად შეაფიქრანა. ირანის ატომური პროგრამის საკითხებზე მომუშავე ქვეყნების კოალიციამ, რომელიც 5+1-ის სახელითაა ცნობილი (5 ევროპული ქვეყანა + აშშ), შეშფოთება კიდევ ერთ განცხადებაში გამოხატა, რომელშიც აღინიშნა: „ირანის ბირთვული პროგრამა მსოფლიო თანამეგობრობის შეშფოთების საგანია. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობასა და მნიშვნელობას ირანის ატომური კრიზისის დარეგულირებისათვის და ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას მოვუწოდებთ, თანამიმდევრულად შეასრულოს მსოფლიოს ატომური ენერჯის სააგენტოს მიერ მისთვის მიცემული რეკომენდაციები. ირანი ვალდებულია, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო თავისი მცდელობების მშვიდობიანობაში დაარწმუნოს“.

რა ტონითაც უნდა მიმართოს საერთაშორისო თანამეგობრობამ ირანს, ექსპერტები, მათ შორის ირანელი ექსპერტებიც, დარწმუნებულნი არიან, რომ რეალურად ვერანაირი ღონე შედეგს ვერ გამოიღებს. როგორც თეირანის უნივერსიტეტის პროფესორმა სადეე ზიბაქლამამა ბი-ბი-სი-ს სპარსული რადიოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, „მაჰმუდ აჰმადინეჟადი ირანის ბირთვულ პროგრამას იდეოლოგიური პრიზმიდან უყურებს და ეკონომიკური და თავდაცვითი მოსაზრებები არაფერ შუაშია“.

იგივე ექსპერტი დარწმუნებულია, რომ აჰმადინეჟადის წინამორბედი სეიედ მოჰამად ხათამი, თავისი მემკვიდრისგან განსხვავებით, ბირთვულ პროგრამას იდეოლოგიური მოსაზრებებით არ აფასებდა. იდეოლოგიასთან ასევე არაფერი ჰქონდა საერთო ამ პროგრამის წამომწყებს და ინიციატორს ჰაშემი რაფსანჯანის, რომელმაც ირან-ერაყის რვანლიანი ომის დასრულებიდან სულ ცოტა ხანში ნათანში საზეიმოდ ჩაუყარა საფუძველი ატომური რეაქტორის მშენებლობას.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური კო-



ნიუნქტურა ამ საკითხებთან დაკავშირებით დასავლეთისთვისაც უდიდეს და გადამწყვეტ როლს თამაშობს. ირანს ატომური ამბიციები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ჰქონდა, და მაშინ ევროპა ყველანაირად ცდილობდა, დახმარებოდა მუჰამად რეზა შაჰ ფეჰლევის ამ ამბიციითა განხორციელებაში. განსაკუთრებული აქტიურობით ამ მხრივ საფრანგეთი გამოირჩეოდა.

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდგომ ირანის რევოლუციისა და ახალი მმართველი რეჟიმის ლიდერმა, აიათოლა მუავი ხომეინიმ, იმ მოსაზრებით, რომ ატომური ენერჯიის გამოყენება და მისით ნებისმიერი მანიპულაცია ენინააღმდეგებოდა რელიგიურ მოსაზრებებს, აღნიშნულ სფეროში ადრე ირანის მხრიდან სხვა ქვეყნებთან დადებული ყველანაირი ხელშეკრულება გააუქმა.

თუმცა, ირან-ერაყის ომის მესამე წელიწადს ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერმა მოსაზრება შეიცვალა, სასწრაფოდ ატომური ბომბის შექმნაზე დაიწყო ზრუნვა და დახმარება

გამოსამუშავებელი რეაქტორი გაიხსნა. მიძიმე წყლის გამოსამუშავებელ მრეწველობას დასრულების შემდეგ პლოტინიუმის წარმოებაში მოიხმარდნენ. პლოტინიუმის მეორადი ნაწარმი კი ატომური იარაღის დასამზადებლად გამოიყენება და ეს უკვე, ირანის ატომური პროგრამის გამო, თავისთავად იწვევს დასავლეთის ქვეყნების შეშფოთებას. არის კიდევ მრავალი მიზეზი, რაც მსოფლიო საზოგადოების ეჭვსა და უნდობლობას ამძაფრებს.

ამ მიზეზთაგან უპირველესად ის უნდა აღინიშნოს, რომ ირანი ცდილობს, გაასაიდუმლოს ატომური ენერჯიის მოპოვების პროცესი და ამ მიზნით „შავი ბაზრის ქსელში“ უკანონოდ შესყიდული სათადარიგო ნაწილები თუ პრეპარატები ქვეყანაში ჩუმად შეიტანოს. ეჭვს აძლიერებს ირანის ბალისტიკური რაკეტების პროგრამა და, რაც მთავარია, მსოფლიოს ატომური სააგენტოს ექსპერტთა მიერ ბოლო ხანს აღმოჩენილი დოკუმენტი, რომლითაც ურანის გამდიდრებამდელი ნახევარფაბრიკატების წარმოება დასტურდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გამდიდრებული ურანი

ცენტრის დირექტორია და რომელსაც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს, ბი-ბი-სი-ს სპარსული რადიოს ეთერით გაკეთებული განცხადება, რომ ირანმა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ეჭვსა და უნდობლობას არგუმენტირებულად და საფუძვლიანად უპასუხა.

ამ „არგუმენტირებული და საფუძვლიანი“ პასუხის მიუხედავად, დასავლეთმა ეტყობა გული მაინც ვერ დაიმშვიდა და ბოლო დროს გავლენიანი დასავლური გამოცემების ფურცლებზე სულ უფრო ხშირად გაისმის შეკითხვა, რამდენად შეიძლება გვემინოდეს ირანის ატომური გეგმებისა და მომავლის.

დასავლელი ექსპერტების შეფასებით, თუ ირანის დღევანდელი პრეზიდენტის რიტორიკას გავითვალისწინებთ, ატომური იარაღის შექმნის გზაზე ამ ქვეყნის ნებისმიერი წარმატება მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით ისრაელისათვის სერიოზულ საფრთხედ შეიძლება ჩაითვალოს.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული აჰმადინეჟადი, რომელიც მოვალეობის შესრულებას მეორე ვა-

რა ტონითაც უნდა მიმართოს საერთაშორისო თანამეგობრობამ ირანს, ექსპერტები, მათ შორის ირანელი ექსპერტებიც, დარწმუნებულნი არიან, რომ რეალურად ვერანაირი ღონე შედეგს ვერ გამოიღებს.

ატომური იარაღის ერთადერთ მფლობელს – პაკისტანს სთხოვა.

მაშინ აბდოლ ყადერ ხანი – პაკისტანის ატომური ბომბის მამა დაჰპირდა აიათოლა ხომეინის, რომ ისლამურ რესპუბლიკას პირველი თაობის სანტიპოჟებს გადასცემდა.

რეალურად დასავლეთის შეშფოთება ატომური თემატიკით ირანის ზედმეტად გატაცებამ 2003 წლიდან გამოიწვია, როცა ისლამური რესპუბლიკის ლიდერებმა ატომის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტებს უფლება არ მისცეს, ნათანხის რეაქტორი მოენახულებინათ.

ურანის გამდიდრების მცდელობათა პარალელურად კი, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში აქტიურად მუშაობდნენ ატომური ენერჯიის გამომუშავების სხვა მიმართულებითაც, კერძოდ – პლოტინიუმის მისაღებად. ამ მიზნით 2006 წელს, არაქმი მიძიმე წყლის

მხოლოდ და მხოლოდ ატომური ბომბის შექმნისათვის იქნება გამოყენებული.

თუმცა ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ მასალებში არის დამამიდეგებელი ინფორმაცია, კერძოდ ის, რომ ირანს გამდიდრებული ურანის წარმოებაში გამოყენების არავითარი ცენტრი ნათანხში არ გააჩნია. ამ ქვეყანას ერთადერთი ატომური ცენტრი სამხრეთში, ქალაქ ბუშეჰრში აქვს, რომელიც რუსმა სპეციალისტებმა ააშენეს.

საგულისხმოა, რომ ატომური ენერჯიის მიღებისა და გამოყენების მცდელობაში ირანს ყველა ეტაპზე აქტიურად ეხმარებოდნენ რუსები. პარალელურად კი, რუსი იდეოლოგები ცდილობდნენ, ირანის სწრაფვა ყველანაირად გაემართლებინათ. ამის მაგალითი გახლდათ ბოლო ხანს ვინმე რაჯაბ საფაროვის მიერ, რომელიც თანამედროვე ირანის შემსწავლელი

დით შეუდგა, თავის აზრზე რჩება და ამბობს, რომ ირანი ატომური ენერჯიის მისაღებად უკან დახევას არ აპირებს.

პარალელურად, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი აარსებს მოლოდინის სამინისტროს, რომლის ფუნქციაა, გაუჩინარებული მეთორმეტე იმამის დაბრუნებისათვის შესაბამისი საფუძველი შექმნას. საქმე ისაა, რომ მეთორმეტე იმამი, მაჰდი შიიტების რწმენით, სამყაროს დასასრულის წინ გამოჩნდება და უზენაესი სამსჯავროს საფუძველებს მოამზადებს. ამიტომაც საგნების ლოგიკურია შეკითხვა – ვინ იცის, ვგებ არც ისეთი აბსურდული იყოს ირანის პრეზიდენტის ინიციატივა მოლოდინის სამინისტროს დაარსების შესახებ. როდის მოვა მაჰდი, ალბათ დიდწილად იმაზე დამოკიდებული, თუ როდის ექნება ისლამურ ირანს სრულყოფილი ატომური იარაღი. **■**

ირანის უმაღლესი ხელისუფლება, ეტყობა, თვითონაც არ მოელოდა პროტესტის ისეთ უკიდურეს ფორმებს, როგორსაც 2009 წელს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისა და „დაკანონებისას“ ნაანყდა.

უმაღლეს ეშლონებში, ჩანს, ფიქრობდნენ, რომ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა იქნებოდა და უკმაყოფილოები ეყოლებოდათ, მაგრამ ეს უკმაყოფილება დასაშვებ ზღვარს ვერ გადასცდებოდა. „დასაშვები ზღვარი“ გულისხმობდა მხოლოდ გარეგნულ, ზედაპირულ პროტესტს. ეს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერავითარ ცვლილებას ვერ გამოიწვევდა, სასულიერო ლიდერებისთვის კი თავის მოსაწონებელი გახდებოდა – რომ ისლამურ რესპუბლიკაში დემოკრატიის ძალიან მაღალი ხარისხი აქვთ და ასეთ დემოკრატიულ მიდგომებს თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც კი ინატრებდა.

თუმცა მასობრივი უკმაყოფილების ტალღამ, რომელმაც არჩევნების შემდეგ ქვეყნის ყველა ქალაქი და თითქმის ყველა სოციალური ფენა ერთნაირად მოიცვა, ყოველგვარ წინასწარ გათვლას გადააჭარბა. ყველა ქალაქსა და სოციალურ ფენას ასე საგანგებოდ იმიტომ აღვიშნავ, რომ ოფიციალურ თვირანს სურს, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილება მხოლოდ დედაქალაქის მოსახლეობისა და კერძოდ ინტელიგენციის პროტესტად მოგვაჩვენოს, რომელსაც არ მოსწონს ხალხის უბრალო ფენებიდან გამოსული პრეზიდენტი და ეს დამოკიდებულება აჰმადინეჟადისადმი სნობურ ქედმაღლობას ეფუძნება. „ხალხოსანი“ აჰმადინეჟადი კი, რომელსაც კარგად ესმის დაბალი ფენების ენა და სატყვიარბი, ცდილობს, სწორედ ხალხს გაუიოლოს ცხოვრება და არა მოსახლეობის რომელიმე პრივილეგირებულ ნაწილს, ვთქვათ, „უცხოეთის მიერ დაქირავებულ და გამოყენებულ“ ინტელიგენციას.

ბრჭყალებში ჩასმული ციტატა ირანის არჩეული პრეზიდენტის სიტყვებია, რომელსაც ის ხშირად ხმარობს თავისი მონინააღმდეგეების მისამართით. როგორც ჩანს, სოციალური წარმომავლობა ისეთი საკითხია, რასაც თანასწორობის იდეალების განუხრებლად დამამკვიდრებელი და დამცველი რელიგია – ისლამიც კი ვერაფერს უხერხებს. ყოველ შემთხვევაში, ირანში მოსახლეობის ისეთი გამოკვეთილი სეგმენტაცია შეიმჩნევა, რომ ამ მხრივ მას მხოლოდ ხალხის ქალაქელებად და სოფლელებად, „ქაჯებად“ და „არაქაჯებად“ დაყოფის ქართული ვერსია თუ შეედრება.



■ ირანის პრეზიდენტი აჰმადინეჟადი

## ირანი არჩევნების შემდეგ ირანული წინააღმდეგობის ალია-ბალია

რატომ ვერ იქცა ირანის არჩევნების შემდეგ აგორებული საპროტესტო ტალღა სახალხო მოძრაობად?

### ლექსო ჩქარული

ამიტომაც, აჰმადინეჟადი და ოფიციალური იდეოლოგიური მანქანა კარგად ათამაშებდა ამ კარტს და არჩევნების შემდეგომ ხელისუფლების მიერ მართული პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით მოსახლეობას არწმუნებდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა უბრალო ხალხის კეთილდღეობისათვის უამრავი რამ გააკეთა. უპირველესად კი შეასრულა დაპირება და თავისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში საშუალო პენსია, რომელიც მანამდე 154 დოლარს შეადგენდა, თითქმის 350 დოლარამდე გაზარდა!

რაც უნდა ითქვას, ეს ერთი რამ ნამდვილად ცხადია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როგორც ირანის ხელისუფლებასა და, საერთოდ, ტოტალიტარული სისტემის იდეოლოგიურ მანქანებს სჩვევიათ, სიმართლის მხოლოდ ერთი მხარეა აქცენტირებული. საქმე ისაა, რომ იქვე აღარავინ აღნიშნავს, რომ ბოლო დროს და სწორედ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პირველ ვადაში ინფლაციამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია და ირანული ფული დოლართან შედარებით თითქმის 10-ჯერ გაუფასურ-

და. ამდენად, დღეს საშუალო შეძლების ირანელი თავის 350-დოლარიანი პენსიით იმას ნამდვილად ვეღარ იყიდის, რასაც აჰმადინეჟადის პრეზიდენტობამდელი 100-დოლარიანი პენსიით შეიძენდა.

თავმოწონების მიზეზის გარდა, ირანის ხელისუფლებას აქვს ერთგვარი საფრთხობელები, რომლებითაც თავისსავე მოსახლეობას აშინებს.

არჩევნების შემდეგ ოფიციალურმა იდეოლოგიებმა განსაკუთრებული, ოღონდ მაინც ფრთხილი აქცენტები დასვეს სეპარატისტული ტენდენციების გაღრმავებასა და ქვეყნის დაშლის რეალურ საფრთხეზე, რისი არიდებაც მხოლოდ „ახლანდელი ხელისუფლების გონიერების ნყალობით ხერხდება“.

კერძოდ, ქურთებით დასახლებულ რეგიონში რამდენიმე მკვლელობა მოხდა, რამაც ამ რეგიონში ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო გააძნევა. საპროტესტო აქციებზე ავტონომიის მოთხოვნა ისეთი კატეგორიული ტონით გაისმა, რის პრეცედენტი მანამდე თითქმის არ ყოფილა. ვითარების დაშლამდელი მხოლოდ





აქცია თეირანში, 2009

ქვეყნის სასულიერო ლიდერის – აიათოლა ალი ხამენეის აქტიური ჩარევის შედეგად მოხერხდა.

ამ ინციდენტის მეშვეობით ირანის ოფიციალურმა ხელისუფლებამ ქვეყნის მოსახლეობას და უპირველესად თავის ოპონენტებს დაანახა, რას ნიშნავს სასულიერო ლიდერის ავტორიტეტი ქვეყნის ერთიანობისათვის და რა საფრთხე შეიძლება მოიტანოს ამ ავტორიტეტის ეჭვქვეშ დაყენებამ.

მართალია, ოპოზიციის ნაწილმა ამ მკვლევარების მიღმა თავად ხელისუფლების ხელი დაინახა, მაგრამ ფაქტია, რომ სანამ საქმეში ალი ხამენეი ანუ იგივე ხელისუფლება არ ჩაერია, მანამ ვერაფერ ვერაფერი გააწყობ. ხალხმა კი იგრძნო, რომ არსებული სახელისუფლებო სტრუქტურების რღვევის შემთხვევაში, მთელი ქვეყანა ნაწილ-ნაწილ დაიშლება და, რაც მთავარია, ქურთების სეპარატისტული ტენდენცია არაფერია იმ საფრთხესთან შედარებით, ამ მხრივ ქვეყნის თურქული (აზერბაიჯანული) რეგიონები რომ შეიცავს.

აზერბაიჯანული სეპარატიზმი იმდენად ძლიერია, რომ ზემოაღნიშნული ავანტიურის ავტორებმა თავიანთი მიზნებისათვის აზერბაიჯანელების გამოყენება ამიტომაც ვერ გაბედეს და შედარებით მშვიდი და კონტროლის დაქვემდებარებული ქურთები შეარჩიეს. საერთოდ კი, რა თქმა უნდა, პრობლემა რეალურად დგას და ამ პრობლემის გადაწყვეტა ირანის პოსტსლამურ ხელისუფლებას (თუკი ასეთი უახლოესი წლების განმავლობაში იქნება) მოუწევს.

1978 წელს ირანში მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ, შესაძლოა, ამ ქვეყანას უამრავი პრობლემა მოუტანა, მაგრამ

ერთ ისეთ საფრთხეს აარიდა, რამაც არსობრივად ყველა პრობლემა გადაწონა. ეს იყო ქვეყნის რამდენიმე რეგიონად დაშლის საშიშროება, რის წინაშეც რეალურად იდგა შაჰის მმართველობა.

პრობლემა ბოლომდე ვერ მოაგვარა, მაგრამ მნიშვნელოვნად გადაჭრა ისლამურმა იდეოლოგიამ, რომელმაც ქვეყნის მოსახლეობის ერთობის პრინციპად, ეთნიკური წარმომავლობის ნაცვლად, რელიგიური აღმსარებლობის ერთიანობა გამოაცხადა და ოფიციალურ სქემად მოსახლეობის კონფესიურ უმცირესობებად დაყოფა შემოიღო. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ეთნიკური აზერბაიჯანელი, ირანელი, ქურთი თუ ქართველი შიიტთა ერთიანი მუსლიმური თემის განუყოფელი ნაწილია. ამ, ერთი შეხედვით, მყოფე ერთიანობის ქეტიმაც ძალზე წარმატებულად იმუშავა. თანაც დანაწევრების საფრთხე მოგვიანებით მნიშვნელოვნად გაანეიტრალა იმ გარემოებამ, რომ ირანის დღევანდელი სასულიერო ლიდერი – ალი ხამენეი აზერბაიჯანული წარმოშობისაა.

მაგრამ ამის მიუხედავად აზერბაიჯანული სეპარატიზმი ირანში მაინც მუდმივად რჩება სახელმწიფოებრივი რღვევის მაპროვოცირებელ ელემენტად და, როგორც ჩანს, სულ სხვა (ასევე სეპარატისტულ) რეგიონში გათამაშებული მოვლენებით დღევანდელმა ხელისუფლებამ ქვეყნის მოსახლეობას სწორედ ამ სიღრმისეულ საშიშროებაზე მიუთითა.

ხაზგასმულად „მამაშვილური“ იყო ალი ხამენეის მიმართვის ტექსტი ქურთებით დასახლებული რეგიონის მცხოვრებლებისადმი. ქვეყნის სასულიერო ლიდერი აღნიშნავდა, რომ დღეს ისლამურ ირანს

ერთი მტერი ჰყავს – მოდერნიზებული კოლონიალიზმი და ამ მტერს ყველა ირანელმა, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, გაერთიანებული ძალებით უნდა შეუტყოს.

ოპოზიციასაც მიაჩნია, რომ ირანს ერთი მტერი ჰყავს, ოლონდ, ხელისუფლებისაგან განსხვავებით, რომელიც ამ მტერს გარეთ ეძებს, ის პრობლემას თვითონ მმართველობის სისტემაში, ანუ ქვეყნის შიგნით ხედავს. უფრო სწორად, ირანული ოპოზიცია ადანაშაულებს არა მმართველობის სისტემას, არამედ კონკრეტულ ხელისუფალთ და სწორედ აქ არის საძიებელი ირანული წინააღმდეგობის მოძრაობის სისუსტის გასაღები.

ცხადია, ქვეყანაში არსებული ვითარება ისეთია, რომ ოპოზიცია იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ხალხის ფართო ფენებში გამეფებულ რელიგიურ განწყობილებებს და ამ თემას საერთოდ ძალზე ფრთხილად მოეკიდოს.

თანაც დღევანდელი ოპოზიცია თვითონვე სასულიერო ფენის ერთი ფრთაა და არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგე პრინციპულად სწორედ ამიტომაც ვერ იქნება. ანუ ირანში არ არსებობს დე ფაქტოდ არსებული ვითარების პოლარული ოპოზიცია, რომელიც ხალხს არსებული სრულიად საწინააღმდეგო პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრივ მოწყობას შესთავაზებდა. ამიტომაც, მოსახლეობის ფართო ფენებში დღევანდელი საპროტესტო აქციები მაინც ძალაუფლების გადაწინააღმდეგობისათვის ბრძოლებად აღიქმება.

რეალურად ამიტომაც ვერ გახდა ეს წინააღმდეგობა საერთო სახალხო მოძრაობა, თორემ დღევანდელ ხელისუფლებას პენსიის ზრდა ხალხის გულს ვერაფერით მოაგებინებდა. უბრალოდ, მოსახლეობას ძალიან კარგად ესმის, რომ „ალია-ბალია – ორივე თათარია!“ არსებული ხელისუფლების ერთი განმტკიცების მეორე შტოთი ჩანაცვლებით რეალურად არაფერი შეიცვლება.

ამიტომაც, არჩევნების შემდგომ ასე ოსტატურად აგორებული უკმაყოფილება ძალიან სწრაფად ჩაცხრა და ქვეყანა ისევ ცხოვრების ჩვეულ, მობეზრებულ კალაპოტს დაუბრუნდა.

სიმშვიდისთვის უკვე კანონიერმა პრეზიდენტმაც საგანგებოდ იზრუნა – ყველა ოპოზიციური გაზეთი ნელ-ნელა გააუქმა და მოწინააღმდეგეთა ყველა ტრიბუნა გადაკეტა. ასე თავს გაცილებით მშვიდად იგრძნობს: ბრალდებას, რომ ძალაუფლებისა და ხელისუფლების უზურპატორია, ვერსაიდან გაიგონებს. ■



# მართალი საკუთარი სინდისის წინაშე

სამი კვირის წინ სარაევოში ორი ყოველდღიური, პოპულარული გაზეთის მფლობელმა დააარსა პოლიტიკური პარტია – „ალიანსი უკეთესი მომავლისთვის“. აშკარად გამონათული ინტერესთა კონფლიქტის მიუხედავად, პრესის საბჭოში ფარუდინ რადონჩიჩის წინააღმდეგ საჩივარი არავის შეუტანია.

## თამარ ბაბუაძე

პრესის საბჭო, როგორც მედიის თვითრეგულირების მექანიზმი, ბოსნია-ჰერცეგოვინაში 2000 წლიდან ფუნქციონირებს. თუმცა, ასეთი წესია – საბჭო მხოლოდ იმ პუბლიკაციებზე რეაგირებს, რომლებშიც ჟურნალისტი იყენებს სიძულვილის ენას, ცილს სწამებს რესპონდენტს, აყალბებს ფაქტს. ხოლო როცა გაზეთის მფლობელი პარტიას აფუძნებს და ამ გაზეთის პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენების საფრთხე ჩნდება, ეს საბჭოს პრეროგატივას სცდება.

ნოემბერში საქართველოში ასეთივე პრესის საბჭო დაფუძნდება, რომელშიც მედიის წარმომადგენლები გაერთიანდებიან. ეს საბჭო არბიტრობას გაუწევს, თამაშის წესებს დაუდგენს და გააკონტროლებს მედიას.

რა მნიშვნელოვან პრობლემებს უნდა აგვარებდეს მედიის თვითრეგულირების მექანიზმი? საქართველოსავით სუსტი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში ხომ არ შეიძლება პრესის საბჭო პოლიტიკური მანიპულირების იარაღად იქცეს?

ეს კითხვები აქტუალურია მათთვის, ვისაც პრესის საბჭოს შექმნის იდეა ეკუთვნის. თუმცა, ისინი ამტკიცებენ, რომ მედიის უმთავრესი პრობლემის, ცენზურის არსებობის მიუხედავად, პროფესიულ ეთიკის დაცვაზე ჟურნალისტებმა მაინც უნდა იზრუნონ; ხოლო როდესაც მედია ლიბერალური კანონმდებლობით გარანტირებულ პირობებს მიაღწევს, მას თვითრეგულირებაზე ზრუნვა აღარ დასჭირდება. ამის მექანიზმი უკვე იარსებებს.

თვითრეგულირების მექანიზმის შექმნის მოტივი თავიდან რეგიონულ ჟურნალისტებს გაუჩნდათ. რამდენიმე დიდ ქალაქში – გორში, ფოთში, გურჯაანში ერთ და იმავე ფაქტს რაიონის



გაზეთები სხვადასხვაგვარად აშუქებდნენ, ერთი უფრო ზუსტად, მეორე – მიკერძოებულად. ამიტომ მედიაარბიტრის შექმნის აუცილებლობა დაინახეს.

ქართველ ჟურნალისტებს პროფესიული პრინციპების ერთი უნივერსალური დოკუმენტის ჩამოყალიბებაში ევროპის საბჭოს ექსპერტები დაეხმარნენ. თითქმის ორწლიანი მუშაობის თავზე დაინერა 11 პუნქტისგან შემდგარი ქარტია, რომელიც ჟურნალისტების მოვალეობებსაც განსაზღვრავს და უფლებებსაც.

## რა მნიშვნელოვან პრობლემებს უნდა აგვარებდეს მედიის თვითრეგულირების მექანიზმი? საქართველოსავით სუსტი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში ხომ არ შეიძლება პრესის საბჭო პოლიტიკური მანიპულირების იარაღად იქცეს?

ნოემბერში დაგეგმილ ცერემონიაზე ჟურნალისტები ხელს მოაწერენ ქარტიას და სწორედ ამ ხელმოწერებიდან აირჩევენ ცხრაკაციანი საბჭოსაც, რომელიც საზოგადოებისგან მიღებულ საჩივრებს განიხილავს და ამ ფორმით გააკონტროლებს, რამდენად იცავენ ხელმომწერი ჟურნალისტები ქარტიის პრინციპებს; მაგალითად – ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაციის გადაცემა, მნიშვნელოვანი ფაქტების წინა პლანზე წამოწევა, პლაგიატზე, ფაქტების განზრახ და-მახინჯებაზე უარის თქმა, სარეკლამო სტატიებისა და სარედაქციო პუბლიკაციების ერთმანეთისგან გამოჯვანა, ბავშვების უფლებების დაცვა, დისკრიმინაციის საფრთხის თავიდან აცილება...

საზოგადოებას შეეძლება, მედიით უკმაყოფილება საჩივრით გააპროტესტოს. საბჭოს ყოველთვიურ ანგარიშში

კი ყოველ კონკრეტულ საჩივარს პასუხი გაეცემა.

თუმცა, საკითხავია, მოუნდება თუ არა საზოგადოებას ამ უფლების გამოყენება წინა, წარუმატებელი მცდელობის შემდეგ?

მცდელობა სამი იყო. 2001 წელს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს, როგორც მთელი მედიისთვის საყრდენ პრინციპთა ჩამონათვალს, არც უმუშავია, დავინყებებს ისე მიეცა. თუმცა, არა იმიტომ, რომ ქართული მედია საკუთარი პრობლემების გადაჭრის უკეთეს გზებს ფლობდა, არამედ იმიტომ, რომ 2001-ში მედიაკანონმდებლობის არარსებობის ფონზე, პროფესიული სტანდარტების ამალგაზე ზრუნვა წყლის ნაყვას ჰგავდა.

2006 წელს, როდესაც თვითრეგულირების მექანიზმის შექმნა დღის წესრიგში მეორედ დადგა, ქართულ მედიას უკვე ზურგს უმაგრებდა კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. უკვე არსებობდა „მედიის პროფესიული სტანდარტიც“, როგორც საბაზისო დოკუმენტი, რომელიც ჟურნალისტებმა და მედიაორგანიზაციებმა 2003 წელს მიიღეს. თუმცა, სტანდარტი მაშინვე ვერ ამოქმედდა. ამის მიზეზი სავარაუდოდ ისიც იყო, რომ პროცესი გაჯანჯლდა და მედიასაბჭო, როგორც პროფესიული სტანდარტის დაცვის მაკონტროლებელი ორგანო, მხოლოდ სამი წლის დაგვიანებით შეიქმნა. მხოლოდ 2006-ში დაასკვნა ქართული მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა, რომ სიტუაციის გამოსწორება თვითრეგულირების მექანიზმს შეეძლო, რომელიც ჟურნალისტებს, მედიის მესაკუთრეებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს გააერთიანებდა. მაშინდელი წარმოდგენით, სწორედ ამ ინსტიტუტს უნდა დაეცვა მედია ერთი მხრივ არაპროფესიონალიზმისგან, მეორე მხრივ კი ხელისუფლების ზენოლისგან.

თუმცა, ახალ წამოწყებას დასაწყისშივე კრიზისი დაუდგა. ბექდური პრესის ნაწილმა, მათ შორის გაზეთებმა – „ალამა“, „რეზონანსმა“, „ახალმა ვერსიამ“ მედიის საბჭოს ცენზურის ორგანოდ გადაქცევის საშიშროება დაინახეს. გამოცემებმა, რომლებსაც დიდად არასდროს ალელვებდათ ეთიკის საკითხები, საბჭოს წევრები პოლიტიკურ დაინტერესებაში დაადანაშაულეს და პროტესტის ნიშნად

განზე გადაგნენ. საბჭოს საპირისპირო ბანაკის გაზეთებში მისი დისკრედიტირებისთვის სისტემატურად იბეჭდებოდა პუბლიკაციები. ამ პროტესტის მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ოპონენტები საბჭოს წევრებს ზოგადად პოლიტიზირებულობისთვის კი არა, მათთვის მიუღებელი პოლიტიკური ინტერესების გამო აკრიტიკებდნენ.

ყველაზე გახმაურებული შემთხვევა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, თინა ხიდაშელის საჩივარი იყო. 2006 წლის აგვისტოში ხიდაშელმა „რუსთავი 2“-ს უჩივლა 19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის სასამართლო პროცესის არასწორად გაშუქების გამო. სხდომის გადადების მიზეზად სიუჟეტში არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებსა და მანდატურებს შორის მომხდარი ინციდენტი დასახელდა, არადა, სხდომა მონაშემების გამოუცხადებლობის მიზეზით გადაიდო. ხიდაშელი ამტკიცებდა, რომ ამ სიუჟეტმა საპატრულო პოლიციას „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრის დაკავების საბაბი მისცა.

მედიასაბჭომ გადაწყვეტილების მიღება ორიოდე თვით, ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე გადადო. საბჭო აცხადებდა, რომ მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლებოდა, გამოყენებულიყო, როგორც საარჩევნო კამპანიის ნაწილი. „რუსთავი 2“-მა შეცდომა არ აღიარა, საბჭომ კი თინა ხიდაშელის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საზოგადოების ნდობის მოპოვება საბჭომ ბოლო პერიოდამდე ვერ შეძლო – საჩივრები იშვიათად შედიოდა. ის ოფიციალურად დღემდე არ დახურულა, მაგრამ ისე გაქრა, მისი არსებობა არც არავის გახსენებია.

გიგი თევზაძე დღეს ამბობს: „მედიასაბჭოს შექმნის პროცესი პოლიტიკური საზოგადოების შექმნის პარალელურად მიდიოდა, ამიტომ ძალიან პრობლემური იყო. არჩევანი ასე იდგა – საქართველოში ან პოლიტიკური საზოგადოება შეიქმნებოდა, ან სამოქალაქო მაშინ არსებობდა იმედი, რომ სამოქალაქო საზოგადოება შედგებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სამოქალაქო საზოგადოება დღესაც არ გვაქვს, ამიტომ ვფიქრობ, რომ მსგავსი მექანიზმი ვერც დღეს იმუშავებს“.

ია ანთაძის თქმით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და საბჭოს შექმნის პროცესი ამჯერად უფრო სრულფასო-

## საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

- 1 ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.
- 2 დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.
- 3 ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.
- 4 ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.
- 5 მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.
- 6 ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.
- 7 ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის ნახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.
- 8 ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორაჟაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.
- 9 სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან.
- 10 ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.
- 11 ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:
  - ▶ ფაქტის განზრახ დამახინჯება;
  - ▶ ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;
  - ▶ პლაგიატი.

ვნად და თანმიმდევრულად წარიმართა. „ჟურნალისტების უმრავლესობა პირადად მუშაობდა ამ ტექსტზე, ამიტომ უკვე კარგად იციან, რაზე ანერენ ხელს“, – ამბობს ია ანთაძე.

განსხვავებული იქნება საბჭოს შემადგენლობაც. 2006-ში დაფუძნებულ 11-კაციან მედიასაბჭოში ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან ერთად გამომცემლებიც იყვნენ, ხოლო 6 წევრს საზოგადოების წარმომადგენლები ასახელებდნენ. ამჯერად ჟურნალისტებმა არ მოინდომეს პროცესში მათი ჩართვა, რადგან ეს საბჭოს პოლიტიზირების დამატებით საფრთხეს შეუქმნიდა. ასე რომ, ნოემბერში საბჭო მხოლოდ ჟურნალისტებისა და რედაქტორებისგან დაკომპლექტდება.

ახლებურია ქარტიაზე ხელმოწერისა და საბჭოს არჩევის მექანიზმიც. წინა ჯერზე მედიასაბჭოს საბაზისო დოკუმენტს – „მედიის პროფესიულ სტანდარტს“ მთელი ორგანიზაციის სახელით ხშირად ერთი ადამიანი აწერდა ხელს და პასუხისმგებლობაც არათანაბრად ნაწილდებოდა. მაგალითად, „რუსთავი 2“-ისა და „24 საათის“ სახელით დოკუმენტს ხელს აწერდა ნოდარ ლადარია. ხოლო მას შემდეგ, რაც ამ ორ მედიაორგანიზაციას სხვადასხვა მფლობელი გაუჩნდა, ლადარიას ხელმოწერამაც მნიშვნელობა დაკარგა. ახლა ქარტიაზე ჟურნალისტები ხელს ინვიდუალურად მოაწერენ. „ამით მივაღწევთ იმას, რომ ყველა საკუთარ წილ პასუხისმგებლობას იკისრებს“, – აცხადებს ია ანთაძე.

ქარტიის ინიციატორი ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ახლა მთავარია, საბჭო შეივსოს სანდო ადამიანებით, რომლებიც მიუყვებოდნენ გადანყვეტილებებს მიიღებენ, არ მოექცევიან პოლიტიკურ კონიუნქტურაში და საზოგადოების ნდობას დაიმსახურებენ. „გარანტირებული წინასწარ არაფერია. რამდენადაც ვართ მზად, გვქონდეს დემოკრატიული საზოგადოება, ისეთივე საბჭოს მივიღებთ. მისი წევრები იქნებიან ის ადამიანები, რომელთაც კოლეგებმა ნდობა გამოუცხადეს. თუკი ისინი მაინც მოექცევიან ცენზურის გავლენის ქვეშ, ამას ყველანი დავინახავთ“, – აცხადებს ია ანთაძე და დასძენს, რომ თუკი ეს ასე მოხდება, ქარტიის მონიტორინგის საბჭოც ისეთივე ნახევრად ცოცხალი აღმოჩნდება, როგორც – მედიასაბჭო.

ჟურნალისტთა დაცვის კომისიის (CPI)-ს აღმასრულებელი დირექტორი




ჯოელ საიმონი აცხადებს, რომ „პრესის საბჭოები ეფექტურად ფუნქციონირებენ იმ საზოგადოებებში, რომელთაც უკვე ჩამოყალიბებული აქვთ სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტები – ანუ, ძირითადად ის ქვეყნები, რომელთაც მედიის თვითრეგულირება ყველაზე ნაკლებად სჭირდებათ“.

1980-იან წლებში ბრიტანეთის მთავრობა, საზოგადოებისა და თვითონ მედიის ნაწილი მიიჩნევდა, რომ მედიაში პროფესიული სტანდარტის დონე დაეცა. შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ დემოკრატიულ გარემოში პრესის თვითრეგულირება უკეთესი გამოსავალია, ვიდრე მედიაკანონმდებლობა. ამიტომ მთავრობამ დაანესა ვადა, რომელშიც მედიას თვითრეგულირების მექანიზმი უნდა შეექმნა. მხოლოდ ასე – მთავრობის რეკომენდაციითა და ძალდატანებით – შეიქმნა ბრიტანეთში პრესის საჩივრების კომისია (PCC), რომელიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული თვითრეგულირების ინსტიტუტია. მის სანდოობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვი არავის შეა-

ქვს. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. 2008 წლის განმავლობაში კომისიამ 4698 საჩივარი მიიღო. ამ საჩივრების 1,9 პროცენტი ნაციონალურ ინსტიტუტებს ეკუთვნოდა, 3,5 პროცენტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველაზე მეტი, 94,6 პროცენტი კი – უბრალო მოქალაქეებს.

საბჭოს იდეის გამართლება სწორედ საზოგადოების აქტიურობაზე დამოკიდებული. თუკი მესამე ცდაზე მაინც მოახერხებს საბჭო საზოგადოებაში ავტორიტეტის მოპოვებას, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ქართული პოლიტიზებული საზოგადოება გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც შეიძენს სამოქალაქო საზოგადოების თვისებებს.

თუმცა პასუხისმგებლობა ხელისუფლებამაც უნდა გაიზიაროს. ეუთო-ს 2008 წლის სახელმძღვანელო მედიის თვითრეგულირების შესახებ ამბობს: მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს მედიის მართვისგან, რადგან ეთიკური ჟურნალისტიკა მხოლოდ გარანტირებული თავისუფლების ატმოსფეროში ვითარდება. 

**■ თუკი მესამე ცდაზე მაინც მოახერხებს მედიასაბჭო საზოგადოებაში ავტორიტეტის მოპოვებას, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ქართული პოლიტიზებული საზოგადოება გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც შეიძენს სამოქალაქო საზოგადოების თვისებებს.**



**დეგაპრინტი**  
  
**DEGAPRINT**

**სიურული ოფსეტური ბეჭდვა**  
 ტელ.: +995 32 995007 / 998843  
 ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net

არასრულწლოვანი პატიმრები

# აქ სხოვრობენ დამნაშავე მოზარდები

რეპორტაჟი არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულებიდან

სალომე ჯაში



■ არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება, თბილისი 2009

არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სასჯელს 14-დან 18 წლამდე მოზარდები იხდიან. დაწესებულების სახელწოდება არა ციხის რეჟიმს, არამედ აღზრდას გულისხმობს. კანონში გასულ წელს შესული ცვლილებების თანახმად, პასუხისგებაში მიცემის მინიმალური ასაკი 14-დან 12 წლამდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამ ასაკის მოზარდებისთვის ცალკე დაწესებულების არსებობას მოითხოვს, 12-14 წლის სამი მოზარდი ისე გასამართლდა, რომ ასეთი დაწესებულება არ შექმნილა.

აღმზრდელობითი დაწესებულება, რომელშიც გასამართლებული არას-

რულწლოვნები იყრიან თავს, ავჭალაში, თბილისის გასასვლელთან მდებარეობს. ღობე არც ისე მაღალი აქვს და გარედანვე ჩანს თეთრი შენობა, სადაც პატიმრები ცხოვრობენ. ადმინისტრაციაც ამ შენობაშია და სკოლაც. ღობის კუთხეებში საგუშაგოებია, რომელიც ამ ზაფხულს მწვანედ შელებეს.

შესვლისას რამდენიმე კარი უნდა გაიარო. მეორე კარი არ გაიღება, სანამ პირველი არ ჩაიკეტება. მობილურ ტელეფონს და ფულს დაცვასთან ტოვებ.

საპატიმროს ეზო ორ ნაწილადაა გაყოფილი. მარცხენა ნახევარი მოზარდებისთვის არის, მარჯვენა – მოასფალტებული, ადმინისტრაციისთვის.

■ **პატიმართა იერარქიაში მართლმადიდებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ერთი მუსლიმი ბიჭი აქ ქრისტიანად მოინათლა და ახლა დიდ ჯვარსაც ატარებს. უმრავლესობას ამოტვიფრული აქვს სვირინგი. ერთ-ერთი ასეთი სვირინგია БПБН - бог простит, братство - нет ( ღმერთი გაპატიებს, საძმო – არა).**



შენობაც ასევე. მარცხენა ფლიგელში პატიმრები ცხოვრობენ, მარჯვნივ დირექტორის კაბინეტია. ექიმიც აქ არის, ახალი სტომატოლოგიური საბურღი მანქანით. აქვეა სკოლის ოთხი პატარა ოთახი, ერთ-ერთი სამი კომპიუტერთი, მინანქრის სახელოსნო და რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის ჩაკეტილი კაბინეტი.

ადმინისტრაციის ფლიგელში კიდევ ერთი ოთახია. ერთგვარი იზოლატორი. აქ მათ ათავსებენ, ვისაც მუნი სჭირს. მოზარდებს საკანში დაბრუნება მხოლოდ განკურნების შემდეგ შეუძლიათ.

შენობის ამავე ნაწილშია მალაზიის პატარა ოთახი, რომლის ფანჯარაც პატიმრების ეზოში გადის. აქ ფულით არ ვაჭრობენ – მხოლოდ „სახალხო ბანკის“ საკრედიტო ბარათებით. პროდუქტი, რომელიც ყველაზე მეტად იყიდება, სიგარეტია.

დილა არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულებაში სიის ამოკითხვით იწყება. ბოლო რამდენიმე თვეა, პატიმრების რაოდენობა აქ 150-დან 165-მდე მერყეობს. 2004-ში ამავე დაწესებულებაში სასჯელს მხოლოდ 14 მოზარდი იხდიდა.

სიის ამოკითხვისას ყველა პატიმარი ფეხბურთის მოედანზე დგას და ეზოში გასვლა მხოლოდ საკუთარი გვარის გაგონების შემდეგ შეუძლია. ფეხბურთის მოედანი ახალი ჩანს. რამდენიმე წლის წინ ეზოებში მოედნების ბუმის დროს უნდა იყოს გაკეთებული.

საკნების ქვემოთ, სარდაფში, პინგ-პონგის მაგიდა დგას და რამდენიმე სავარჯიშო „სტრენაჟორი“. პირველ სართულზე სასადილოა, მეორეზე საძინებლები.

სასადილო – პატარა დარბაზია ერთ მხარეს სამი დიდი ფანჯრით და მის მომიჯნავე კედლებზე ბუნების ამსახველი დიდი პანოებით. ოთახში სამი გრძელი მაგიდა და სამი სკამი დგას. სამზარეულოში მოზარდებს პლასტიკის ლურჯ თასებში წვნიანს უსხამენ. გამოჭრილი სარკმელიდან მზარეული რკინის რაფაზე აწყობს პურის ნაჭრებს. ზოგი ფეხზე მდგარი ჭამს მაგიდასთან, ზოგიც – ფანჯრის რაფასთან.

– აქ, ხომ ხედავთ, რემონტია. – ამბობს დაწესებულების დირექტორი. სასადილოში ერთი ძველი ონკანი გადაღებეს შინდისფრად და შეღებეს კედლის კუთხე, სადაც დიდი ნაგვის ყუთი დგას.

ზედა სართულზე ადიხარ თუ არა, იქვე კიბესთან სამი ტელეფონი კიდა.

ტელეფონებთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. პატიმრებს შეუძლიათ დარეკონ, სადაც და რამდენჯერაც სურთ. ამისთვის ბარათებია საჭირო, რომელიც ციხის მალაზიაში 10 ლარად იყიდება. სახლში დარეკვა ბევრი პატიმრისთვის ფუფუნებაა, მაგალითად იმისთვის, ვისთანაც მშობლები, ვთქვათ, ქუთაისიდან ჩამოდიან, ისიც მხოლოდ თვეში ერთხელ, ან საერთოდ არ ჩამოდიან.

გასულ წელს 1166 მოზარდი გასამართლდა. აქედან ნახევარზე მეტი არსად სწავლობდა. თავისუფლების აღკვეთა სულ 381-ს შეეფარდა. 24-ს მიესაჯა ყველაზე მძიმე სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 10-დან 15 წლამდე, განზრახ მკვლელობის განაჩენი მათგან ექვსს ჰქონდა. 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 90-მდე მოზარდს – უმეტესად ყაჩაღობისთვის, მკვლელობისთვის და ქურდობისთვის.

ავჭალის დაწესებულება ერთადერთია, სადაც თავისუფლებააღკვეთილი მოზარდები ხვდებიან. აქ ყველა სახის დანაშაულისთვის გასამართლებულნი ერთად იხდიან სასჯელს. არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულებაში მოზარდი ბიჭები, ხშირად რამდენიმე წელიწადს მაინც რჩებიან.

დროის დიდ ნაწილს პატიმრები საკნებში ატარებენ. ოთახები მეტ-ნაკლებად ერთი სიდიდისაა და ფართობი დაახლოებით 40 კვადრატული მეტრია. ასეთ ოთახში საშუალოდ 25 მოზარდს სძინავს. მათთვის რკინის ორსართულიანი ნარები დგას. სივინროვის გამო, ზოგ ოთახში ეს ნარები მიჯრითაა მიწყობილი. ყველა ოთახში არის დიდი ტელევიზორი, დივიდი ფლიერი და მუსიკალური ცენტრი. სანოლების გვერდით და ქვეშ ყრია პარკები და ჩანთები, სადაც პატიმარები საკუთარ ნივთებს ინახავენ. მათ ოთახში არც თარო აქვთ, არც კარადა, არც სკამი. დიდ ფანჯრებზე გისოსებია და ლურჯი ფერის ფარდები კიდა.

არასრულწლოვან პატიმარ გოგონებთან შედარებით, ბიჭებს გაუმართლათ. 18 წლამდე გოგონები სასჯელს სრულწლოვან ქალბატონებთან ერთად იხდიან, სადაც მათთვის არც სკოლა და არც რამე სხვა პირობა, რომელიც არასრულწლოვანი პატიმრისთვის შეიძლება იყოს საჭირო. კანონში კი მითითებულია, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის უნდა არსებობდეს ცალკე საცხოვრებელი ტერიტორია.

მოზარდებს, განურჩევლად იმისა,

არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულებაში იმყოფებიან თუ უკვე გადაყვანილი არიან სკოლის დამამთავრებელ და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები. თუმცა სკოლა, რომელიც არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულებაშია, არ არის აკრედიტებული განათლების სამინისტროში და მას არც ატესტატის გაცემა შეუძლია. განათლების სამინისტრო წელს ამ ლაფსუსის გამოსწორებას შეეცდება და მეტიც, დისტანციური სწავლების მეთოდებსაც განიხილავს. თუმცა აქ ერთი სირთულეა – პატიმარი მოზარდები 18 წლის შესრულებისთანავე სრულწლოვანთა კოლონიაში გადაწყავთ. განათლების ახალი სისტემის, ანუ 12-კლასიანი საშუალო განათლების შემოღების შემდეგ მოზარდს სკოლის დამთავრება სწორედ 18 წლის ასაკში უნევს. გამოდის, რომ პატიმარი მოზარდების აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ისწავლის მე-12 კლასში.

პატიმარ მოზარდებს არ აქვთ საკუთარი სახელმძღვანელოები, ხოლო სამუშაო რვეულებს სკოლაშივე ტოვებენ. ბიბლიოთეკა მწირია და მოძველებული. სკოლას მხოლოდ სამი კომპიუტერი აქვს, რომლებიც, ბუნებრივია, ინტერნეტში არ არის ჩართული და გაკვეთილების შემდეგ იკეტება. მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში პატიმართა რაოდენობა გაიზარდა, სკოლის ერთი, ყველაზე დიდი ოთახიც საკნად გადაკეთდა.

რწმენა ამ დაწესებულების სკოლის პროგრამის განუყოფელი ნაწილია. ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „მგელს“ განიხილავენ. მასწავლებელი ლაპარაკობს ცდუნებაზე, ცოდვაზე, შენდობასა და იმაზე, თუ რა ელის ადამიანს სიკვდილის შემდეგ – სამოთხე თუ ჯოჯოხეთი.

– სად მოხვდება ადამიანი, თუ ცოდვები არ მოინანიო? – კითხვას სვამს მასწავლებელი.

პასუხი ხმადაბლა ისმის, თუმცა ის ყველას ერთი აქვს. ჯოჯოხეთში, – ამბობენ მოსწავლეები.

– რა არის ნოეს კიდობანი? – სვამს კიდევ ერთ კითხვას მასწავლებელი და შემდეგ თავადვე პასუხობს, – ნოეს კიდობანი არის დედა ეკლესია.

აღმზრდელით დაწესებულებაში რეგულარულად დადის სასულიერო პირი. სახალხო დამცველის აპარატისა და იშვიათი გამოწვევის სტუმრების

გარდა, ის ერთადერთია, ვისაც პატიმრების საცხოვრებელ ნაწილში შესვლა შეუძლია. საპატრიარქოს საჩუქრებიდან ყველაზე სახალისო კურდღლები აღმოჩნდა. პატიმრებს გაზაფხულზე რამდენიმე კურდღელი აჩუქეს, ახლა კი არასრულწლოვან დამნაშავეთა აღმზრდელობითი დაწესებულების მთელი ეზო კურდღლებითაა სავსე.

ზაფხულში დაწესებულების პატარა ეზოში ეკლესიის მშენებლობა დაიწყო და უმეტესად პატიმრები არიან დასაქმებულები. სექტემბერში უკვე გუმბათს ასრულებდნენ. ეკლესიის დასრულებამდე პატიმრები დილაობით მშენებლობის წინ ლოცულობენ. მოზარდები საუბრისას ხშირად ახსენებენ უფალს. დაწესებულების დირექტორი გამორჩეულად უწყობს ხელს პატიმრებში რწმენის განმტკიცებას. როცა დირექტორს მობილურ ტელეფონზე ურეკავენ, ნკრიალის ნაცვლად, ეკლესიის ზარების რეკვა ისმის.

პატიმართა იერარქიაში მართლმადიდებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ერთი მუსლიმი ბიჭი აქ ქრისტიანად მოინათლა და ახლა დიდ ჯვარსაც ატარებს.

პატიმართა უმრავლესობას ამოტიფრული აქვს სვირინგი, რომელსაც წინასწარი დაკავებისას იკეთებენ საპატიმროში დამდნარი პლასტმასისგან. ერთ-ერთი ასეთი სვირინგია БПН – бог простит, братство – нет (ღმერთი გაპატიებს, სამშო – არა). ერთი შეხედვით, ბოლო წლებში სასულიერო პირი უფრო დიდი ავტორიტეტი გახდა არასრულწლოვანი პატიმრებისთვის, ვიდრე ქურდი. თუმცა წესები, თანაც დაუნერული, აქ ძალიან მკაცრია.

თითოეულ საკანს ჰყავს არაოფიციალური ზედამხედველი, იგივე მაყურებელი, რომელიც თავადაც პატიმარია. მთლიანად დაწესებულებასაც ჰყავს ერთი მაყურებელი, რომელიც ერთგვარი შუამავალია მოზარდებსა და ადმინისტრაციას შორის. აქ არიან ჩაგრულები და მჩაგვრელები, როგორც – ალბათ ყველგან. აქ ერთ პატიმარს შეიძლება მეორემ აიძულოს დალაგება, ნაგვის გატანა ან სხვა ფიზიკური სამუშაო, მხოლოდ იმიტომ, რომ მას რაღაც „შეეშალა“ – ვთქვათ, ითანამშრომლა პოლიციასთან. თუმცა „პერედაჩების“ ერთმანეთისთვის გაყოფა და ერთმანეთის დახმარებაც აქაური წესია. და ამ დახურულ სივრცეში თანაცხოვრებისას ვინ ძლიერის ადგილს იმკვიდრებს, ვინ – სუსტის. **□**

რეპროდუქციული მედიცინა

# დედობა მხოლოდ სხრა თვით

საქართველოში სუროგატი დედობის მსურველთა რიცხვი იზრდება. თუმცა ამ არჩევანს არა საექველმოქმედო, არამედ კომერციული მოტივი აქვს.

მარია ქოჩიაშვილი



სუროგატი დედა, თბილისი 2009

საქართველოს მედიკოსები



როდესაც დალიმ ბავშვის სქესი გაიგო, არ ალელვებულა. სიხარული არც მამინ უგრძენია, როცა მის მუცელში პატარა პირველად გაინძრა. ახლა ბავშვის მოძრაობას ყოველდღიურად გრძნობს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. დარწმუნებულია, რომ რეაქცია არც მის პირველ ტირილზე ექნება.

დალი სუროგატი დედაა. მის მუცელში სხვისი შვილი იზრდება, რომელსაც მასთან არანაირი გენეტიკური კავშირი არ აქვს. ბავშვი მშობლების ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ჩაისახა. ხუთი თვის წინ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი სუროგატი დედის სამვილოსნოში გადაიტანეს, ანუ მისი სხეული ერთგვარ ინკუბატორად გამოიყენეს. დაბადებისთანავე ბავშვს თავისი უცხოელი მშობლები წაიყვანენ და დალიც პატარას ველარასდროს შეხვდება

30 წლის დალი კახეთიდან არის. უკვე რამდენიმე თვეა, ბინას თბილისში ქირაობს, სოფელში კი ყველა დაარწმუნა, რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წავიდა. იცის, რომ თუ ყველაფერი კარგად დასრულდება, ცხრა თვის თავზე მის ანგარიშზე 10,000 დოლარი ჩაირიცხება.

9 წლის ქალიშვილი, ორი თვეა, არ უნახავს და კიდევ 4-5 თვეს ვერ ნახავს.

ბავშვიც დაარწმუნა, რომ სამუშაოდ საზღვარგარეთ მიდიოდა. დალის რთული არჩევანის შესახებ მხოლოდ მისმა მეუღლემ და მშობლებმა იციან.

მან ამ გადაწყვეტილების მიღებამდე თვეებით ადრე დაიწყო საკუთარი თავის დარწმუნება, რომ ბავშვი, რომელიც მის მუცელში განვითარდებოდა, არ უნდა შეჰყვარებოდა: „ვიცი, რომ მერე მომგლიჯავენ და არ მინდა, გული დამწყდეს. ვთვლი, რომ ეს არის საქმე და სხვა არაფერი. შეგნებული მაქვს, რომ ჩემ მუცელში სხვისი შვილი იზრდება და მე უბრალოდ ჭურჭელი ვარ!“

საკუთარი მუცლის ჭურჭლად გამოყენებას სუროგაცია ჰქვია. მას მერე, რაც ხელოვნური განაყოფიერება გავრცელებული მეთოდი გახდა, სუროგაცია უმეტი ცოლ-ქმრებისთვის ხსნად იქცა. პირველი ოფიციალური გარიგება სუროგატ დედასა და უშვილო წყვილს შორის ამერიკაში 1976 წელს გაფორმდა. ამით დაიწყო მსოფლიოში სუროგაციის გამოცდილება, რომელიც უნაყოფობის სანაწარმდევო ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მეთოდადაც იქცა.

სუროგატ დედებს ხან „ჭურჭელს“ ეძახიან, ხან „ინკუბატორს“, ხანაც – „მატარებელს“. 9 თვის განმავლობაში

ისინი თავიანთ საშვილოსნოს „აქირავენ“, 9 თვის შემდეგ კი მათ მაგივრად სიხარულს ბავშვის ნამდვილი, ბიოლოგიური მშობლები განიცდიან. სუროგატი დედების უმრავლესობა ბავშვს არც ძუძუს აწოვებს და არც ნახულობს. ნამდვილ მშობლებსა და სუროგატ დედას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც ხშირად წერია, რომ ბიოლოგიურ მშობლებს ახალშობილი ისე მიჰყავთ, რომ მას სუროგატმა დედამ არც უნდა შეხედოს. ეს ფსიქოლოგების რეკომენდაციით იმიტომ კეთდება, რომ სუროგატ დედას დედობრივი გრძნობები ტყუილურადად არ გაუჩნდეს.

თუმცა, რამდენად ნორმალურია ცხრა თვის განმავლობაში გრძნობდე, როგორ იზრდება შენ სხეულში ბავშვი და სამშობიაროდან შინ მარტო დაბრუნების შემდეგ საერთოდ აღარ გავლევებდეს ის? ფსიქოლოგების ნაწილი ფიქრობს, რომ მსგავსი გულგრილობა არანორმალურია. „დარწმუნებული ვარ, რომ 9 თვის განმავლობაში გრძნობები სუროგატ დედასა და ნაყოფს შორის აუცილებლად ჩნდება და თუკი არ ჩნდება – მით უარესა“, – ამბობს ფსიქოლოგი რუსუდან მირცხულავა და, პირველ რიგში, ახალშობილს გუ-

■ სუროგატ დედებს ხან „ჭურჭელს“ ეძახიან, ხან „ინკუბატორს“, ხანაც – „მატარებელს“.

9 თვის განმავლობაში ისინი თავიანთ საშვილოსნოს „აქირავენ“, 9 თვის შემდეგ კი მათ მაგივრად სიხარულს ბავშვის ნამდვილი, ბიოლოგიური მშობლები განიცდიან.



■ უორდნანას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2009

ლისხმობს. ბავშვი დედასთან კავშირს მუცლადყოფნის პერიოდშივე ამყარებს. რეაგირებს დედის ემოციებზე, განიცდის ყველაფერს, რაც დედას აწუხებს. ამიტომ, სუროგატი დედის საშობი გაზრდილი ბავშვი ყოველთვის „გრძნობს, რომ ის არ უყვართ და ეს შემოქმედებს მის ფსიქიკაზეც და ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც“. ფსიქოლოგის თქმით, სუროგაცია მავნედ მოქმედებს სუროგატი დედების ჯანმრთელობაზეც. „ქალის ორგანიზმისთვის ორსულობა და მშობიარობა ზოგადად უდიდესი ტრავმაა. ამიტომ არ მგონია, სუროგაციაში სუროგატი დედების ფსიქიკა დაინდოს“, – აღნიშნავს ის.

დალიც ხვდება, რომ თანხა, რომელსაც სხვისი შვილის გაჩენის სანაცვლოდ აიღებს, შვილის მონატრებით, ნათესავებისგან გამომდებული მალ-

ვით და ყალბი დედობით მიყენებულ სტრესს ვერ აუნაზღაურებს. თუმცა, „როცა უქონელი ხარ, სხვა გზა არ გაქვს! რამდენიმე თვე ვიყოყმანე, ქმარიც ძლივს დავიყოლიე და ბოლოს, ფული რომ მეშოვა, ეს ნაბიჯი მაინც გადავდგი“.

ახლა მეგობარ ლალისთან ერთად ნაქირავებ ბინას იყოფს. ლალი ქართველი ცოლ-ქმრისთვის ელოდება ტყუპებს. მომავალ დედებს ერთ ოთახში სძინავთ. ტელევიზორი მათი ერთადერთი გასართობია. არ მუშაობენ, ძირითად დროს შინ ატარებენ და მხოლოდ შებინდებისას გადიან სასაქონლო – შემთხვევით ქუჩაში ვინმემ რომ არ იცნოთ. საზოგადოების აზრი ორივეს აღელვებს. „ხალხს ვუმაღავთ. ყველა ვერ გაიგებს. ყველას ხომ ვერ ავუხსნით“.

სუროგატი დედის წყალობით, პირველი ბავშვი საქართველოში 2004 წელს

ბშიც ანუხებთ. ამიტომაც სუროგაცია რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში, მაგალითად გერმანია და საფრანგეთში, დღემდე იკრძალება. კანადაში, ისრაელში, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში კი კანონი მხოლოდ კომერციულ სუროგაციას კრძალავს. მოტივი ღარიბი ფენის დისკრიმინაციაა: კომერციული სუროგაცია მდიდარ ადამიანებს შესაძლებლობას ანიჭებს, „დაიქირავონ“ ქალები შვილების გასაჩენად.

საერთაშორისო კონვენციით „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, რომელსაც 2001 წელს საქართველოც მიუერთდა, სუროგაცია პირდაპირ აკრძალული არ არის, მაგრამ აღნიშნულია, რომ იკრძალება ადამიანების სხეულის ნაწილების გამოყენება ფინანსური სარგებლის მისაღებად. 1997 წელს მიღებულ კანონში კი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგე-

განაყოფიერებული ემბრიონის გადატანიდან 2 კვირის განმავლობაში ორსულობა დაახლოებით 35-პროცენტია იწინა ალბათობით გრძელდება. თუ ნაყოფი სხვის საშვილოსნოში 2 კვირას გასტანს, ეს ნიშნავს, რომ ემბრიონი განვითარებას დაიწყებს. არანაკლებ კრიტიკულია მეცხრე კვირა. თუკი ამ ფაზამაც გართულების გარეშე ჩაიარა, უმრავლეს შემთხვევაში, ორსულობა შენარჩუნებულად ითვლება.

უშუალოდ „დაორსულებას“ წინ სუროგატი დედის შერჩევის არცთუ ისე იოლი პროცედურა უძღვის. კლინიკაში მისული წყვილი რეგისტრაციაგავლილი ქალებიდან „საუკეთესო კანდიდატს“ არჩევს – ქალი უნდა იყოს სრულწლოვანი, ჯანმრთელი და მაქსიმუმ 37 წლის. უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი შვილი, რაც იმის შანსს ზრდის, რომ ქალი ახლაც დაორსულდება და თან სხვისი შვილის მიმართ დედობრი-

■ სუროგატი დედის დაქირავება საქართველოში 10 ათასი დოლარი ღირს, ამას ემატება ექიმის ანაზღაურებაც და სუროგატი დედის ყველა სამედიცინო ხარჯიც 9 თვის განმავლობაში. ეს ყველაფერი ერთად კი 20 ათას დოლარს სცილდება.

გაჩნდა. მას შემდეგ სუროგაციისადმი დამოკიდებულება წლიდან წლამდე იცვლება.

ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტოს სუროგაციის ცენტრში სუროგატი დედობის მოსურნეთა რაოდენობა იზრდება. 2008 წლიდან რეგისტრაცია 38-მა ქალმა გაიარა. ჟორდანის სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაცემთა ბაზაში კი სამი წლის განმავლობაში 100-ზე მეტი წარმატებული გარიგების ისტორია ინახება. „საზოგადოება ამ სიახლეს თანდათან ეგუება, თუმცა ბევრისთვის სუროგაცია, როგორც კომერციული პრაქტიკა, დღემდე მიუღებელია“, – აცხადებს ცენტრის დირექტორი მარიამ კუკუნაშვილი. მიზეზი ხშირად რელიგიურია. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას სუროგაციის მიმართ საჯაროდ და ოფიციალურად არასდროს გამოუთქვამს უარყოფითი დამოკიდებულება, საზოგადოების დიდ ნაწილს ამ სიახლის მიღება სწორედ რელიგიური შეხედულებების გამო უჭირს.

ეთიკური დილემა, რომელიც სუროგაციას ახლავს თან, ევროპის ქვეყნე-

მვის ერთ-ერთი ფორმა, დაშვებულია, მაგრამ კანონში არაფერია ნათქვამი არც კომერციულ საქმიანობაზე და არც იმაზე, თუ როგორ და რომელი სტრუქტურა უნდა არეგულირებდეს მას.

ვიდრე გამართული საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს და სუროგაციაც აბოლოტურად ლეგალურ საქმიანობად ითვლება, თბილისის სუროგაციის ცენტრს უამრავი კლიენტი აკითხავს. და რადგან ჩვენთან ეს უფრო იაფი ჯდება, კლიენტები ხშირად საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიან.

სუროგატი დედის დაქირავება საქართველოში 10 ათასი დოლარი ღირს, თუმცა პირველადი ხარჯი ხელოვნური განაყოფიერებაა, რომლის ფასიც 3500-დან 5000 დოლარამდე მერყეობს. ზოგ შემთხვევაში, თითო ხელოვნური განაყოფიერება შედეგის მისაღწევად არ კმარა, ზოგიერთ წყვილს ამ პროცესის გავლა 2-3-ჯერ ან მეტჯერაც უხდება. ამას ემატება ექიმის ხარჯებიც და სუროგატი დედის ყველა სამედიცინო ხარჯის ანაზღაურება 9 თვის განმავლობაში. ეს ყველაფერი ერთად კი 20 ათას დოლარს სცილდება.

ვი გრძობებიც არ გაუჩნდება. სუროგატმა დედამ უნდა შეიქმნას ორსულობისთვის ხელის შემწყობი პირობები. უნდა ცხოვრობდეს ჯანსაღი ცხოვრების წესით: აკრძალულია თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლური სასმელები, მძიმე ნივთების აწევა, პირველი სამი თვის განმავლობაში კი – სქესობრივი კონტაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს სუროგატი დედისგან გენეტიკურად არც ერთი მონაცემი არ გადაეცემა, მშობლები მაინც სიფრთხილეს იჩენენ, დედობის კანდიდატებს ხანგრძლივი და დეტალური გასაუბრება ელოდებათ. მომავალი მშობლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ეს ადამიანი „ღირსია“ მათი შვილი 9 თვე მუცლით ატაროს.

არც ისე იშვიათად ფსიქოლოგიური ბარიერები უშვილო დედებსაც აქვთ. სუროგატ დედებზე ეჭვიანობენ და არჩევანის გაკეთების შემდეგაც უმძიმით იმ ფაქტთან შეგუება, რომ საკუთარ შვილს სხვა ქალს ანდობენ. ცენტრის დირექტორს, მარიამ კუკუნაშვილს ეს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. რამდენიმე უშედეგო გინეკოლოგიური ოპერაციის შემდეგ სუროგატი დედის აყვანა გადაწყვიტა. თვითონ უკვე მუ-



შაობდა სუროგაციის განყოფილებაში. „შევარჩიე სუროგატი და დავინყეთ ეს პროცესები. ემბრიონის გადატანის დრო რომ მოვიდა, საშინელი ეგოიზმის გრძნობა გამიჩნდა. თითქოს არ მემეტებოდა საკუთარი შვილი სხვისთვის. ამის გააზრება ძალიან ძნელი იყო და დიდხანს ამ ქალის მიმართ საშინელ აგრესიას ვგრძნობდი. ხანდახან ჩემს თავს ვიჭერდი იმ ფიქრზე, – ნეტავ არ შეუნარჩუნდეს-მეთქი“. სუროგატ დედას მუცელი იმ ჯერზე მართლა მოეშალა. მარიამი კი ახლაც მორიგი სუროგატის შერჩევის პროცესშია. საკუთარ თავზე გამოცდილი ეჭვიანობის შემდეგ ამბობს: „თუ სიყვარულიც არ ჩადე, არაფერი გამოვა. ეს არ არის მხოლოდ საქმეში ფულის ჩადება, დაკვეთა და პროდუქტის მიღება“.

ფსიქოლოგებიც ასკვნიან, რომ მთავარია, სუროგაცია არ იქცეს ალებ-მიცემობად. აუცილებელია, თავისი წილი სიყვარული ორივე მხარემ ჩადოს, მშობლებმაც და სუროგატმა დედამაც.

მაკა პარიკმახერია. მატერიალურად არასდროს უჭირდა, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის წინ სუროგატობა გადაწყვიტა და ერთ ქართველ წყვილს, რომელსაც შვილი 18 წლის განმავლო-


ბაში არ ჰყავდა, გოგონა გაუჩინა. მისი ერთ-ერთი მოტივი ძალიან პირადული იყო: „ამით გარკვეულწილად წარსულში ჩადენილი დანაშაული მოვინანიე. აბორტი გავიკეთე და მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ თურმე ტყუპები მყავდა. ტყუპებზე კი ყოველთვის ვოცნებობდი. ამას დღემდე ვერ ვივინყებ, მაგრამ ფიქრი იმაზე, რომ დედობის სიხარული სხვა ქალს განვაცდევინე, მეც მაბედნიერებს“.

მაკას არაფერი დაუმაღავს და არც საზოგადოებას მორიდებია. ბოლო დღემდე მუშაობდა და არც სამსახურში მალავდა, რატომაც დაორსულდა. როგორც მაკა ამბობს, ყველა აღფრთოვანებული იყო. მას ბავშვის გულის ცემაც უხაროდა და ბოლოს, გაუტკივარების გარეშეც იმშობიარა.

მშობიარობას ბიოლოგიური დედაც ესწრებოდა. ბავშვი რომ დაიბადა, ახალშობილი ნამდვილმა დედამ შიშველ მკერდზე მიიკრა. „ამას რომ ვუყურებდი, ზღაპარში მეგონა თავი“, – ამბობს მაკა. ის ბიოლოგიურ დედასთან ერთად ერთ პალატაში დარჩა. ერთ მომენტში ბავშვთან მარტო აღმოჩნდა. „ბავშვი ატირდა და ხელში ავიყვანე. აი, მაშინ ამომიტრიალდა

გულ-მუცელი“, – იხსენებს დღეს, – ბავშვისკენ გული მიწევდა, მაგრამ თან ვნერვიულობდი, დედას არ ეეჭვიანა“. მეორე ღამე იქ ველარ გაათენა, სახლში დაბრუნდა. პირველი კვირა განსაკუთრებით მძიმედ გადაიტანა. სულ ბავშვის სახე ედგა თვალწინ და სამშობიაროში გადაღებულ სურათებს ათვალთვლებდა: „საშინელებაა, ამდენ ხანს მუცელში გყავს და უცებ, ბაც, არაფერი აღარ არის!“


მერე მაკა სამსახურში გავიდა და ნელ-ნელა დარდი მუშაობას გადააყოლა. ბავშვი ახლა მშობლებთან ერთად კანადაში ცხოვრობს. ამ ოჯახთან ურთიერთობა მაკას დღემდე არ შეუწყვეტია. ინტერნეტის საშუალებით პატარასაც ხშირად ნახულობს. „რომ არ მენახა, უარესი იქნებოდა, ინტერესი მომკლავდა, ასე უფრო მშვიდად ვარ!“

სუროგატ დედას შეუძლია იმდენი ბავშვი გააჩინოს, რამდენის საშუალებასაც ასაკი და ჯანმრთელობა მისცემს. შუალედი ორსულობებს შორის მინიმუმ 6 თვე უნდა იყოს. მაკა დაორსულებას კვლავაც აპირებს. მისი ერთ-ერთი მოტივაცია, ცხადია, ფინანსური მხარეც არის, მაგრამ ამბობს, რომ ამ საქმეს სიყვარულით აკეთებს. 

[www.shokoladi.ge](http://www.shokoladi.ge)

# ვაჟინგტონის მეგზური კოდეხის თანხლებით

მალხაზ ხარბელია



**The Lost Symbol**

by Dan Brown

დაკარგული სიმბოლო

დენ ბრაუნი

„და ვინჩის კოდი“ 4-5 წლის წინ ნავიკითხე კომპიუტერის ეკრანზე. წიგნი ერთ-ერთ ონლაინ ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე, უფასოდ და პირატულად. იმ პერიოდშივე გავიგე, რომ დენ ბრაუნს „და ვინჩის კოდადმდე“ კიდევ ერთი რომანი ჰქონდა დაწერილი, „ანგელოზები და დემონები“. სადღაც წელიწად-ნახევარში ეს რომანიც ჩავიგდე ხელში, ამჯერად წიგნის მალაზიიდან ვითხოვე 2-3 სამი დღით და 5-6 დღის მერე უკან დავაბრუნე, ცოტათი შეღახული. მოკლედ რომ ვთქვა, ორივე რომანის კითხვისას ძალიან გავერთე, ისე, რომ ამ გართობაში ფულიც არ გადამიხდია.

მრცხვენია ამას რომ ვამბობ, მაგრამ ეს ბოლო წიგნიც უფასოდ ვიშოვე, „დაკარგული სიმბოლოს“ გამოსვლიდან მეორე დღესვე გადავიყარე რომელიღაც ბლოგზე და მაშინვე ჩამოვტვირთე. არც შევმცდარვარ, რადგან წიგნი მეორე დღესვე გააქრეს ბლოგიდან, თუმცა სულ მალე ტორენტებზეც გამოჩნდა

რომანის არა მხოლოდ ტექსტი, არამედ აუდიოც.

„დაკარგულ სიმბოლოს“ 6 წელი ელოდნენ თავყანისმცემლები, ცხელი საკითხავის მოყვარულები, ცნობის-მოყვარენი, ადამიანები, ვინაც მხოლოდ ფილმად იცნობდა დენ ბრაუნის ნაწარმოებებს და მტკიცედ გადაწყვიტათ, ავტორის მორიგი წიგნი ფილმის გამოსვლამდე დაეძლიათ. თუმცა დასაძლევნი რომანში არც არაფერია. ეს ხომ საგანცხრომო ლიტერატურაა, რომანი-კვესტი, რომელიც კომპიუტერულ კვესტებზე გაცილებით მეტ სიამოვნებას გვანიჭებს.

აქაც, ისევე როგორც ბრაუნის წინა რომანებში, მოქმედება ელვის სისწრაფით ვითარდება და, რაც მთავარია, ძალიან მცირე დროის მანძილზე, სულ რაღაც 12 საათის განმავლობაში. რომანი იმით იწყება, რომ ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ ჰარვარდელ პროფესორს, რობერტ ლენგდონს მისი მეგობარი, მასონთა ორდენის წევრი, პიტერ სოლომონი ვაშინგტონში ინვესტიციის წასაკითხად, თუმცა მსმენელების ნაცვლად კონგრესის სკულპტურათა დარბაზში ვიღაც უცნობი დახვდება, რომელიც თავის თავს მალ'ახს (ძვ. ებრაულად, ანგელოზს ნიშნავს) უწოდებს და რომელსაც ტყვედ ჰყავს ჩაგდებული პიტერ სოლომონი და მისი მოკვლით იმუქრება, თუკი პროფესორი ლენგდონი 12 საათის განმავლობაში ვერ ახდის ფარდას ერთ საიდუმლოს, რომლის შესახებ მალ'ახს სოლომონმა აუწყა. იქვე, კაპიტოლიუმის გუმბათის ქვეშ პოულობს ლენგდონი მასონური ნიშნებით მოსვირინგებულ, პიტერ სოლომონის მოჭრილ ხელსაც, რომელიც გუმბათში, ჯორჯ ვაშინგტონის გამოსახულებაზე მიუთითებს, ფრესკაზე „ვაშინგტონის აპოთეოზი“. ლენგდონმა იცის, რომ ეს მინიშნებაა და იწყება მოქმედება, დევნა, რომლის დროსაც პერსონაჟები მთელ ვაშინგტონს შემოიბრუნენ.

როგორც სხვა რომანებში, ლენგდონს აქაც გამოუჩნდება ქალი „თანამემნე“, ვინც ყველა მის თავგადასავალში მონაწილეობს და რომელთან თანამშრომლობაც სიყვარულით მთავრდება (ამჯერად ეს ქალბატონი პიტერ სოლომონის უმცროსი დაა). როგორც „და ვინჩის კოდი“ კრიპტექსი, აქაც უძველეს არტიფაქტზე ბევრი რამ დამოკიდებულია, აქაც ჩნდებიან მრისხანე ძალოვანები, ამჯერად CIA ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი და მრავალი სხვ.

დენ ბრაუნის საგანმანათლებლო ინტენცია აშკარად ჩანდა წინა რომანებში, როცა მოვლენების უსწრაფეს განვითარებასთან ერთად ავტორი მცირე (ვიკიპედიურ) ექსკურსებსაც სთავაზობდა მკითხველს, უძველესი ცოდნით დანყებული, რომისა და პარიზის „მეგზურებით“ დასრულებული. ასეა „დაკარგული სიმბოლოშიც“. პერსონაჟები ქალაქის ყველა ღირსშესანიშნაობას მოივლიან – კონგრესის ბიბლიოთეკას, ჯორჯ ვაშინგტონის მასონურ მემორიალს, სმიტსონის მუზეუმს, თავისუფლების მოედანს, შეერთებული შტატების ზოგნაიკურ ბაღს, ვაშინგტონის საკათედრო ტაძარს და დაძაბულ სიუჟეტს ავტორი აქაც აზავებს სხვადასხვა ინფორმაციით. ოღონდ ერთია, წინა რომანებისგან განსხვავებით, ეს წიგნი აბსოლუტურად ამერიკულია, ანუ ბოდრიარის ენაზე რომ ვთქვათ, მთლიანად სიმულაკრებთანა გვაქვს საქმე, სიმბოლოთა მთელ რიგთან, რომელიც ცნობილმა სიმბოლოლოგმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა უნდა ამოიკითხოს. ჩვენი გარემოც ხომ საგვსა უძველესი სიმბოლოებით, საკამარისა კომპიუტერში Word an Character Map გახსნათ და იქ აუარება სიმბოლო აგიჭრელებთ თვალს, უძველესი სიმბოლოები, სავსე მრავალშრიანი შინაარსებით, რომელთა გამიფერა შორს ნავიკივანდა. ლენგდონიც ასე შიფრავს მის თანამედროვე ამერიკას, სადაც მასონური მესხიერება ყველაფერს მოიცავს, დოლარის „დიზაინიდან“ დაწყებული, შენობების არქიტექტურით დამთავრებული.

დენ ბრაუნის რომანებმა, როგორც ამბობენ, განსაკუთრებული როლი შეასრულეს XXI საუკუნის დასაწყისის ამერიკისთვის. მილიონობით ამერიკელმა „და ვინჩის კოდის“ გამოსვლის შემდეგ აღიარა, რომ სკოლის დამთავრებიდან მოყოლებული არც ერთი წიგნი არ წაუკითხავთ. ახლა ასეთებს უკვე მინიმუმ ორი წიგნი აქვთ წაკითხული, მესამეს კი ისინი აუცილებლად, სავალდებულო რეჟიმში წაკითხავენ, როგორც ყველაზე ამერიკულ ნაწარმოებს. იმედია, მოვა დრო, როცა ჩვენთანაც აღიარებს ბევრი, რომ სკოლის ან უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არაფერი წაუკითხავთ. რომც არ აღიარონ, მაინც მივხვდებით, მთავარია მწერალი გამოჩნდეს, ვინც ჩაითრევს მკითხველს ჩახვეული სიუჟეტით, ცოტა ვიკიპედიითა და პროვოკაციული ქართული თემებით. **■**



გვიხიანეთ

მთელ საქართველოში

უხვლელ სიხშირეზე 106.4

fm

www.106.4.ge

## უსმინეთ პირველი რადიოს ეთერში:

ყოველ სამუშაო დღეს

შემეცნებით - გასართობ გადაცემას:

“რადიო მრჩეველი ნანიკო ხაზარაძესთან ერთად”

დასაწყისი 13:30

ყოველ ორშაბათს და პარასკევს

მუსიკალურ - შემეცნებით გადაცემას:

“ძველი რადიოლა”

დასაწყისი 18:00

ყოველ ორშაბათს და პარასკევს

სპორტულ გადაცემას:

“Sports Prewive”

დასაწყისი 20:00







# ბაზანიჭვბუნი საქანთუბანს ბანკი

ბანკით ანაბანი,  
ჩუჩით ბათანაშუბანი,  
აოგბით ფანანე ჩიოზი  
და ბიანა



საქანთუბანს ბანკი  
BANK OF GEORGIA

